1
53/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

3

მარტი

1953

მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდაშვიდეთი

Тбилисский филиал
Библиотека
Института марксизма-ленинизма при ЦК ВКП(б)

3

★

მარტი

19 53
სახელგამი
თბილისი

საქართველოს
პარტიის ცენტრალური
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

პარტიის ყველა წევრს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უდიდესი მწუხარების გრძნობით აუწყებენ პარტიას და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს, რომ 5 მარტს საღამოს 9 საათსა და 50 წუთზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინი**.

შეწყდა ლენინის თანამებრძოლის და მისი საქმის გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინის** გულისცემა.

სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ლენინთან ერთად ამხანაგმა **სტალინმა** შექმნა კომუნისტების მძლავრი პარტია, აღზარდა და გამოაწრთო იგი; ლენინთან ერთად ამხანაგი **სტალინი** იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. განაგრძობდა რა ლენინის უკვდავ საქმეს, ამხანაგმა **სტალინმა** საბჭოთა ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. ამხანაგმა **სტალინმა** მეორე მსოფლიო ომში ჩვენი ქვეყანა მიიყვანა ფაშიზმზე გამარჯვებამდე, რამაც ძირეულად შეცვალა მთელი საერთაშორისო ვითარება. ამხანაგმა **სტალინმა** შეაიარაღა პარტია და მთელი ხალხი სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის დიადი და ნათელი პროგრამით.

გარდაცვალება ამხანაგ **სტალინისა**, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნიზმის დიადი საქმისადმი თავდადებულ სამსახურს, უმძიმესი დანაკლისია პარტიისათვის, საბჭოთა ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ცნობა ამხანაგ **სტალინის** გარდაცვალების შესახებ ღრმა მწუხარებას გამოიწვევს ჩვენი სამშობლოს მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენტთა და ყველა მშრომელის გულში, ჩვენი ძლევამოსილი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომართა გულში, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით მშრომელთა გულში.

ამ გლოვის დღეებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება დიად ძმურ ოჯახში ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ნდობით ეკიდება და მხურვალე სიყვარულით არის გამსჭვალული თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რადგან იცის, რომ პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია ხალხის ინტერესებისადმი სამსახური.

მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენტები, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელნი განუხრელად მისდევენ ჩვენი პარტიის პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს და რომლის მიზანია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება. კომუნისტური პარტიის ამ პოლიტიკის სისწორე შემოწმებულია ათეული წლების ბრძოლით, მან საბჭოთა ქვეყნის მშრომელებისათვის უზრუნველყო სოციალიზმის ისტორიული გამარჯვებანი. ამ პოლიტიკით შთაგონებული საბჭოთა კავშირის ხალხები პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდიან წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა იციან, რომ მოსახლეობის ყველა ფენის — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენტების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა და ძლიერება იზრდება და მტკიცდება, რომ პარტია ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს საბჭოთა არმიას, სამხედრო-საზღვაო ფლოტს და დაზვერვის ორგანოებს, რათა განუწყვეტლივ ვამაღლოთ ჩვენი მზადყოფნა იმისათვის, რომ გამანადგურებელი პასუხი გავცეთ ყოველ აგრესორს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკა იყო და არის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევი პოლიტიკა, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირის ხალხები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგულნი, განამტკიცებენ და ავითარებენ ძმურ მეგობრობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან, მეგობრულ კავშირს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის დიადი წარმმართველი, ხელმძღვანელი ძალაა ჩვენი კომუნისტური პარტია. პარტიის რიგების ფოლადისებური ერთიანობა და მონოლითური დარაზმულობა მისი ძალისა და ძლიერების მთავარი პირობაა. ჩვენი ამოცანაა თვალისჩინივით დავიცვათ პარტიის ერთიანობა, აღვზარდოთ კომუნისტები როგორც აქტიური პოლიტიკური მებრძოლნი პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიის კავშირი ყველა მშრომელთან, მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან, რადგან ხალხთან ეს განუყრელი კავშირია ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა.

პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ის მიაჩნია, რომ კომუნისტები და ყველა მშრომელნი აღზარდოს დიდი პოლიტიკური სიფხიზ-

ლის სულისკვეთებით, შინაურ და გარეშე მტერთან ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მიმართავენ რა ამ გლოვის დღეებში პარტიასა და ხალხს, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტია და ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელნი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მოახდენენ მთელი თავიანთი ძალებისა და შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის.

სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

გაუმარჯოს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიად, ყოვლისმძლე მოძღვრებას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

1953 წლის 5 მარტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

★

საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და მთელ ქართველ ხალხს თავზარი დასცა ცნობამ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების შესახებ.

ძნელია შევურიგდეთ იმ აზრს, რომ შეწყდა კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლის, ლენინის უკვდავი საქმის ბრძენი განმგრძობის, მთელი პროგრესული კაცობრიობის მამის, მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გულისცემა.

ამხანაგ სტალინის გარდაცვალების ამბავმა უდიდესი გულისტკივილი გამოიწვია საბჭოთა საქართველოს მუშებში, კოლმეურნეებსა და ინტელიგენტებში.

ქართველი ხალხი ამხანაგ სტალინს უნდა უმადლოდეს იმას, რომ ნახევარი საუკუნის წინათ, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, ახალგაზრდა სტალინმა პირველმა აღმართა საქართველოსა და კავკასიაში მარქს — ენგელს — ლენინის დიადი დროშა. ამ დროშით, ამხანაგ სტალინის პირადი ხელმძღვანელობით, თბილისის პროლეტარიატმა 1901 წელს, კავკასიაში პირველად გაუმართა აშკარა ბრძოლა ძველ წყობილებას, მოაწყო რა მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაცია თბილისის ქუჩებში.

ამხანაგ სტალინის მიერ დაარსებული საქართველოს კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია, საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი წარმოშობის პირველი დღეებიდანვე, განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის მუშაობასა და სახელთან.

ლენინ — სტალინის დროშით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ქართველმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება და დაადგა ეროვნული აღორძინებისა და კულტურული აყვავების ფართო გზას.

ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვებანი კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

საქართველოს სსრ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია განუხრელად მიჰყვებიან კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, კარგად იციან, რომ მშვიდობის განმტკიცების საქმე, მოსახლეობის ყველა ფენის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და დაზვერვის ორგანოების ყოველი ღონისძიებით განმტკიცების საქმე, რათა მუდამ ძლიერდებოდეს ჩვენი მზადყოფნა ყოველი აგრესორისათვის გამანადგურებელი წინააღმდეგობის გასაწევად, არის

საიმედო ხელში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელში.

საქართველოს კომუნისტური პარტია და მთელი ქართველი ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მოახდენენ მთელი თავიანთი ძალებისა და შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას კომუნისტური მშენებლობის საქმეში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად, კიდევ უფრო გააძლიერებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს, რადგან მტკიცედ ახსოვთ, რომ პარტიის რიგების ფოლადისებური ერთიანობა, მონოლითურობა და დარაზმულობა პარტიის ძალისა და ძლიერების მთავარი პირობაა.

მშობლიური და საყვარელი სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა საქართველოს კომუნისტების, მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენტების გულში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვა

★

1953 წლის 9 მარტს მოსკოვში წითელ მოედანზე მოხდა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვა.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს.

შემდეგ სიტყვას ამბობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

შემდეგ სიტყვით გამოდის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა

ძვირფასო თანამემამულენო, ამხანაგებო, მეგობრებო!

ძვირფასო საზღვარგარეთელო ძმებო!

ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა კაცობრიობამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს. დაასრულა თავისი სახელოვანი ცხოვრების გზა ჩვენმა მასწავლებელმა და ბელადმა, კაცობრიობის უდიდესმა გენიოსმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა.

ამ მძიმე დღეებში საბჭოთა ხალხის დიდ მწუხარებას იზიარებს მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა. სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის, დედამიწის ყველა ნაწილის ხალხთა უფართოესი მასებისათვის. განუზომელია ამხანაგ სტალინის მოღვაწეობის სიდიადე და მნიშვნელობა საბჭოთა ხალხისათვის და ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის. სტალინის საქმეები იცოცხლებენ საუკუნეებში. და მადლიერი შთამომავალნი ისევე, როგორც ჩვენ თქვენთან ერთად, დიდებით მოიხსენიებენ სტალინის სახელს.

ამხანაგმა სტალინმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ექსპლოატატორთა უღლისა და კაბალისაგან მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, გამანადგურებელი ომებისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეს, ქვეყნად მშრომელი ხალხის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეს.

ამხანაგმა სტალინმა, ჩვენი ეპოქის დიდმა მოაზროვნემ, შემოქმედებითად განავითარა ახალ ისტორიულ პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება. სტალინის სახელი სამართლიანად დგას კაცობრიობის მთელ ისტორიაში უდიდესი ადამიანების — მარქს — ენგელს — ლენინის სახელების გვერდით.

ჩვენი პარტია მისდევს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას, რომელიც პარტიასა და ხალხს ანიჭებს უძლეველ ძალას, ანიჭებს იმის ცოდნას, თუ როგორ გაკაფოს ახალი გზები ისტორიაში.

ლენინი და სტალინი მრავალი წლის მანძილზე იატაკქვეშეთის უძნელეს პირობებში ეწეოდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობის უღლისაგან, შემაბულეთა და კაპიტალისტთა ბატონობისაგან რუსეთის ხალხთა განთავისუფლებისათვის. ლენინისა და სტალინის მეთაურობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა უდიდესი მობრუნება კაცობრიობის ისტორიაში, ბოლო მოუღო კაპიტალიზმის წყობილებას ჩვენს ქვეყანაში და გამოვიდა ახალ გზაზე — სოციალიზმის გზაზე.

განაგრძობდა რა ლენინის საქმეს და დაუცხრომლად ავითარებდა რა ლენინურ მოძღვრებას, რომელიც პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს უნათებს წინსვლის გზას, ამხანაგმა სტალინმა ჩვენი ქვეყანა მიიყვანა სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე, რამაც ადამიანთა საზოგადოების არსებობის მრავალი ათასეული წლის მანძილზე პირველად უზრუნველყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა.

ლენინმა და სტალინმა დააარსეს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო. ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად შრომობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცე და ძლიერება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ კვლავაც დაუცხრომლად და ყოველმხრივ განვამტკიცოთ ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფო, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯი.

ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხის — ეროვნული საკითხის გადაჭრა. ეროვნული საკითხის უდიდესმა თეორეტიკოსმა ამხანაგმა სტალინმა ისტორიაში პირველად, უზარმაზარი მრავალეროვანი სახელმწიფოს მასშტაბით, უზრუნველყო საუკუნეობრივი ეროვნული შუღლის ლიკვიდაცია. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ დაძლია წინათ ჩაგრულ ხალხების ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, ერთიან ძმურ ოჯახად დარაზმა საბჭოთა კავშირის ყველა ერი და გამოჭედა ხალხთა მეგობრობა.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს განმტკიცება. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის პირობებში ჩვენთვის საშიში არ არის არც შინაური, არც გარეშე მტერი.

ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით იქმნებოდა, იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა არმია. ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაძლიერება ამხანაგ სტალინის დაუცხრომელი ზრუნვის საგანი იყო. საბჭოთა არმიამ თავისი დიდი მხედართმთავრის — გენერალისიმუს სტალინის მეთაურობით ისტორიული გამარჯვება მოიპოვა მეორე მსოფლიო ომში და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ძლევამოსილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები. ჩვენ უნდა ვიყოლიოთ ისინი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, რათა გამანადგურებელი წინააღმდეგობა გავუწიოთ მტრის ყოველ თავდასხმას.

ამხანაგ სტალინის დაუცხრომელი შრომის შედეგად, მის მიერ შემუშავებული გეგმებით, ჩვენმა პარტიამ წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა გადააქცი-

ძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, შექმნა ახალი ეკონომიკური წყობილება, რომლისთვისაც უცხოა კრიზისები და უმუშევრობა.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ უზრუნველვყოთ სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავება. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ სოციალისტური მრეწველობა, ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და სიმტკიცის ბურჯი. ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ საკოლმეურნეო წყობილება, მივაღწიოთ საბჭოთა ქვეყნის ყველა კოლმეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და აყვავებას, განვამტკიცოთ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი.

საშინაო პოლიტიკის დარგში ჩვენი მთავარი საზრუნავი ის არის, რომ განუხრელად უზრუნველვყოფდეთ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ჩვენი პარტიისა და მთავრობისათვის კანონია მოვალეობა — შეუნელებლად ზრუნავდნენ ხალხის კეთილდღეობისათვის, მის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

ლენინმა და სტალინმა შექმნეს და გამოაწრთეს ჩვენი პარტია, როგორც საზოგადოების დიდი გარდამქმნელი ძალა. ამხანაგი სტალინი მთელ თავის სიცოცხლეში იმას გვასწავლიდა, რომ არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე კომუნისტური პარტიის წევრის წოდება. მტრების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა დაიცვა ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობა, მონოლითურობა და დარაზმულობა.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ კვლავაც განვამტკიცოთ დიადი კომუნისტური პარტია. ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობაა მისი რიგების ერთიანობა და დარაზმულობა, ნებისა და მოქმედების ერთიანობა, პარტიის წევრთა უნარი — შეუერთონ თავიანთი ნება პარტიის ნებასა და სურვილებს. ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობაა ხალხის მასებთან განუყრელი კავშირი. პარტიისა და ხალხის ერთიანობის საფუძველია პარტიის მუდმივი სამსახური ხალხის ინტერესებისადმი. ჩვენ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ პარტიის ერთიანობას, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიის განუყრელი კავშირი ხალხთან, აღვზარდოთ კომუნისტები და ყველა მშრომელნი მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით.

დიდი სტალინის წინამძღოლობით შექმნილია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი. ამ ბანაკში მჭიდრო ძმური ერთიანობით საბჭოთა ხალხთან ერთად წინ მიდიან დიდი ჩინელი ხალხი, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მომძე ხალხები. შეუპოვარი ბრძოლით იცავს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობას გმირი კორეელი ხალხი. მამაცურად იბრძვის თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ვიეტნამის ხალხი.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ დავიცვათ და განვამტკიცოთ ხალხთა უდიდესი მონაპოვარი — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, განვამტკიცოთ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ხალხთა მეგობრობა და სოლიდარობა. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის მარადიული, ურღვევი ძმური მეგობრობა დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან.

ყველა ქვეყნის ხალხები ამხანაგ სტალინს იცნობენ როგორც მშვიდობის დიდ მედროშეს. ამხანაგი სტალინი თავისი გენიის უდიდეს ძალას ეძღვნებოდა იმისაკენ, რომ დაეცვა ყველა ქვეყნის ხალხთა მშვიდობის საქმე. საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა — ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა — ახალი ომის გაჩაღების გადამწყვეტი დაბრკოლებაა და შეესაბამება ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. საბჭოთა კავშირი მუდამ იცავდა და იცავს მშვიდობის საქმეს, რადგან მისი ინტერესები განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან. საბჭოთა კავშირი ახორციელებდა და ახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების თანმიმდევრულ პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას, რომელიც ემყარება ლენინურ-სტალინურ დებულებას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ორი სხვადასხვა სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ხანგრძლივი თანაარსებობა და მშვიდობიანი შეჯიბრება.

დიდი სტალინი ჩვენ გვზრდიდა ხალხის ინტერესებისადმი უსაზღვროდ ერთგული სამსახურის სულისკვეთებით. ჩვენ ხალხის ერთგული მსახურნი ვართ, ხოლო ხალხს სურს მშვიდობა, სძულს ომი. დაე წმიდათა-წმიდა იყოს ყველა ჩვენგანისათვის ხალხის სურვილი — არ დავუშვათ მილიონობით ადამიანის სისხლის დაღვრა და უზრუნველვყოთ ბედნიერი ცხოვრების მშვიდობიანი მშენებლობა!

საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი მთავარი საზრუნავი ის არის, რომ არ დავუშვათ ახალი ომი, ვიცხოვროთ მშვიდობიანად ყველა ქვეყანასთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას მიაჩნიათ რომ ყველაზე სწორი, საჭირო და სამართლიანი საგარეო პოლიტიკაა ყველა ხალხს შორის მშვიდობის პოლიტიკა, დაფუძნებული ურთიერთნდობაზე, ქმედითი პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა ფაქტებს და დადასტურებულია ფაქტებით. მთავრობები ერთგულად უნდა ემსახურონ თავიანთ ხალხებს, ხოლო ხალხებს სწყურიათ მშვიდობა, წყევლიან ომს. დამნაშავე იქნებიან ის მთავრობები, რომლებიც მოისურვებენ ხალხების მოტყუებას, წინაღუდგებიან ხალხთა იმ წმიდა სურვილს, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა და არ დავუშვათ ახალი სისხლისღვრა. კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას მიაჩნიათ, რომ ხალხთა შორის მშვიდობის პოლიტიკა ერთადერთი სწორი, ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისი პოლიტიკაა.

ამხანაგებო! ის, რომ ჩვენთან აღარ არის ჩვენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი, ყველა საბჭოთა ადამიანს აკისრებს მოვალეობას ამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაში, ზარდონ თავიანთი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საერთო საქმეში.

საბჭოთა კავშირის მშრომელები ხედავენ, მათ იციან, რომ ჩვენი მძლავრი სამშობლო ახალი წარმატებებისაკენ მიდის. ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა სრული კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად .

საბჭოთა ხალხი თავისი დაუშრეტელი ძალებისა და შესაძლებლობების მტკიცე რწმენით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს საბჭოთა საზოგადოების წინსვლა კომუნიზმისაკენ!

მშვიდობით, ჩვენო მასწავლებელო და ბელადო, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, მშობლიურო ამხანაგო სტალინ!

წინ ლენინ — სტალინის დიადი საქმის სრული გამარჯვებისაკენ!

ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ძნელია სიტყვით გამოითქვას დიდი მწუხარების გრძნობა, რასაც ამ დღეებში განიცდიან ჩვენი პარტია და ჩვენი ქვეყნის ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

აღარა გვყავს სტალინი — ლენინის დიდი თანამებრძოლი და მისი საქმის გენიალური განმგრძობი. აღარ არის ჩვენთან ყველა საბჭოთა დამიანის, მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელის ყველაზე მახლობელი და მშობლიური ადამიანი.

დიდი სტალინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ლენინიზმისადმი ერთგულების შთამაგონებელი მაგალითია, მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხისადმი, ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია.

დიდმა ლენინმა დააარსა ჩვენი პარტია, მიიყვანა იგი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე.

დიდ ლენინთან ერთად მისი, გენიალური თანამებრძოლი სტალინი განამტკიცებდა ბოლშევიკურ პარტიას და ქმნიდა მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინი თითქმის ოცდაათ წელიწადს მიუძღოდა ჩვენს პარტიასა და ქვეყანას ლენინის გზით. სტალინმა დაიცვა ლენინიზმი მრავალი მტრისაგან, განავითარა და გაამდიდრა ლენინის მოძღვრება ახალ ისტორიულ პირობებში. დიდი სტალინის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო ჩვენი ხალხისათვის სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში და საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში. კომუნიზმის დიდმა ხუროთმოძღვარმა, გენიალურმა ბელადმა, ჩვენმა მშობლიურმა სტალინმა კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამით შეაიარაღა ჩვენი პარტია და ხალხი.

ამხანაგებო! უსაზღვროა ჩვენი მწუხარება, განუზომლად მძიმეა დანაკლისი, მაგრამ არც ამ სიმძიმით შედრკება კომუნისტური პარტიის ფოლადისებური ნებისყოფა, არ შეირყევა მისი ერთიანობა და სიმტკიცე კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის რევოლუციური თეორიით შეიარაღებულმა, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლის ნახევარი საუკუნის გამოცდილებით აღჭურვილმა ჩვენმა პარტიამ იცის, თუ როგორ გაუძღვეს საქმეს, რათა უზრუნველყოს კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ლენინისა და სტალინის დიადი სკოლა გაიარეს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმეში.

სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის ქარცეცხლში, ნგრევისა და შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის ძნელ წლებში, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში, დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში, როცა წყდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი და მთელი კაცობრიობის ბედი, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ, რომლებიც სათავეში ედგნენ და წარმართავდნენ საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას, პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის უდიდესი გამოცდილება შეიძინეს.

ამიტომ საბჭოთა კავშირის ხალხებს შეუძლიათ კვლავაც სრული რწმენით ენდონ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს და თავიანთ საბჭოთა მთავრობას.

საბჭოთა სახელმწიფოს მტრებს იმის იმედი აქვთ, რომ მძიმე დანაკლისი, რაც ჩვენ განვიცადეთ, დაქსაქსულობასა და დაბნეულობას გამოიწვევს ჩვენს რიგებში.

მაგრამ ამაოა მათი ვარაუდი: მათ სასტიკად გაუცრუვდებათ იმედი.

ვინც ბრმა არ არის, ხედავს, რომ ჩვენი პარტია ამ მძიმე დღეებში კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება, რომ იგი ერთიანი და ურყევია.

ვინც ბრმა არ არის, ხედავს, რომ ამ გლოვის დღეებში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, დიდ რუს ხალხთან ძმური ერთიანობით კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა სახელმწიფოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას.

ჩვენს საშინაო პოლიტიკას საფუძვლად უდევს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა, ერთიანი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სისტემაში ყველა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკის მტკიცე გაერთიანება. ამ პოლიტიკის მიზანია ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცება, სახალხო მეურნეობის შემდომი განვითარება და მთელი საბჭოთა საზოგადოების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ჩვენი ქვეყნის მუშებს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას შეუძლიათ მშვიდად და რწმენით იმუშაონ, იციან რა, რომ საბჭოთა მთავრობა მუდამ მზრუნველობით დაიცავს სტალინურ კონსტიტუციაში ჩაწერილ მათს უფლებებს.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელი და გასაგებია. საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ლენინმა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა განსაზღვრა როგორც მშვიდობის პოლიტიკა.

მშვიდობის ამ პოლიტიკას განუხრელად ახორციელებდა ლენინის საქმის დიდი განმგრძობი ჩვენი ბრძენი ბელადი სტალინი.

საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა კვლავაც იქნება მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ლენინურ-სტალინური პოლიტიკა, ახალი ომის ძომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან ნაცვალგების საფუძველზე საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა.

საბჭოთა მთავრობა კიდევ უფრო განამტკიცებს ძმურ კავშირსა და მეგობრობას, თანამშრომლობას მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის საერთო ბრძოლაში, ფართო ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას დიდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ჩვენს საზღვარგარეთელ ძმებსა და მეგობრებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის, ლენინ—სტალინის დროშის ერთგული კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირის ნალხები კვლავაც განამტკიცებენ და განავითარებენ მეგობრულ ურთიერთობას კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

მეგობრობის დიდი გრძნობა აერთებს ჩვენს ხალხს გმირ კორეელ ხალხთან, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენი დიდი ბელადები ლენინი და სტალინი გვასწავლიდნენ დაუცხრომლად ვაძლიეროთ და ვამახვილოთ პარტიისა და ხალხის სიფხიზლე საბჭოთა სახელმწიფოს მტრების ხრიკებისა და ოინების მიმართ.

ახლა ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ სიფხიზლე.

ნურავინ იფიქრებს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მტრები შეძლებენ მოუმზადებელს მოგვისწრონ.

საბჭოთა სამშობლოს დასაცავად ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალები აღჭურვილი არიან ყველა სახეობის თანამედროვე იარაღით. ჩვენი ჯარისკაცები და მატროსები, ოფიცრები და განერლები, დიდი სამამულო ომის გამოცდილებით აღჭურვილნი, შეძლებენ სათანადოდ დახვდნენ ყოველ აგრესორს, რომელიც გაბედავს თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას.

ჩვენი სახელმწიფოს ძალა და უძლეველობა მარტო ის როდია, რომ მას ჰყავს ბრძოლებში გამოწრთობილი, დიდებით მოსილი არმია.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაა საბჭოთა ხალხის ერთიანობა, მისი ნდობა კომუნისტური პარტიისადმი — საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალისადმი, ხალხის ნდობა თავისი საბჭოთა მთავრობისადმი. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ ხალხის ამ ნდობას.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას იმ უაღრესად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა განხორციელების შესახებ, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრებისადმი შეუფერხებელი და სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა.

ამ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთია ის, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დაინიშნა ლენინის ნიჭიერი მოწაფე და სტალინის ერთგული თანამებრძოლი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ნათლად გამოხატავენ პარტიისა და სახელმწიფოს სრულ ერთიანობასა და დარაზმულობას პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში.

ეს ერთიანობა და დარაზმულობა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობაში იმის საწინდარია, რომ წარმატებით განხორციელდება საშინაო და საგარეო პოლი-

ტიკა, რომელიც ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ წლების მანძილზე შეიმუშავეს ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით.

სტალინმა, ისევე როგორც ლენინმა, ჩვენს პარტიასა და ქვეყანას დაუტოვა დიადი მემკვიდრეობა, რომელსაც თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ და განუწყვეტლივ ვამრავლებდეთ.

დიდმა სტალინმა აღზარდა და თავის გარშემო დარაზმა კოჰორტა ბრძოლებში ნაცადი ხელმძღვანელებისა, რომლებიც დაუფლებულნი არიან ხელმძღვანელობის ლენინურ-სტალინურ ოსტატობას, რომლებსაც დაეკისრათ ისტორიული პასუხისმგებლობა — ძლევამოსილად დაამთავრონ ის დიადი საქმე, რაც დაიწყო ლენინმა და რაც წარმატებით განაგრძო სტალინმა.

ჩვენი ქვეყნის ხალხებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა არ დაიშურებენ თავიანთ ძალღონეს და თავიანთ სიცოცხლესაც, რათა შეინარჩუნონ პარტიის რიგებისა და მისი ხელმძღვანელობის ფოლადისებური ერთიანობა, განამტკიცონ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, მუდამ დაიცვან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულება და ლენინისა და სტალინის ანდერძის შესრულებით კომუნიზმამდე მიიყვანონ სოციალიზმის ქვეყანა.

სამარადისო დიდება ჩვენს საყვარელ, ძვირფას ბელადსა და მასწავლებელს — დიდ სტალინს!

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ამ დღეებში ჩვენ ყველანი განვიცდით დიდ მწუხარებას — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებას, დიდი ბელადისა და ამასთან მახლობელი, მშობლიური, უსაზღვროდ ძვირფასი ადამიანის დაკარგვას. და ჩვენ, მისი ძველი და ახლო მეგობრები, და მილიონობით საბჭოთა ადამიანი, ისევე როგორც ყველა ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშრომელები, ვეთხოვებით დღეს ამხანაგ სტალინს, რომელიც ყველას ესოდენ გვიყვარდა და რომელიც მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში.

ამხანაგი სტალინი თავის თავს უწოდებდა ლენინის მოწაფეს. ლენინთან ერთად ქმნიდა იგი და ააშენა ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია, მასთან ერთად ხელმძღვანელობდა იგი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ჩვენს ქვეყანაში მემამულეთა, კაპიტალისტთა ბატონობის დამხობისათვის, მასთან ერთად ქმნიდა და ააშენა ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, მასთან ერთად ჩაუყარა საფუძველი დიდი და მცირე ხალხების ჩვენს თვალწინ მზარდ ძმურ თანამშრომლობასა და გაერთიანებას. სტალინი ლენინის დიადი საქმის დიდი განმგრძობია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი, საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში და გააჩაღა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის დიადი პროგრამის განხორციელება; მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ფაშიზმზე მეორე მსოფლიო ომში და ამით გადაჭრით შეასუსტა სსრ კავშირის გარეშე მტრების ძალები: გამოიყვანა საბჭოთა კავშირი საერთაშორისო იზოლაციის მდგომარეობიდან და უზრუნველ-

ყო შექმნა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა უძლეველი ბანაკისა, რომელთა მოსახლეობა 800 მილიონ კაცს შეადგენს; ჩვენს ქვეყანას გადაუშალა კომუნისტური საზოგადოების აშენების ნათელი პერსპექტივები, კომუნისტური საზოგადოებისა, რომელიც დამყარებულია ადამიანთა თავისუფალ შრომაზე, ნამდვილ თანასწორობასა და ძმობაზე.

ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე ვცხოვრობდით და ვმუშაობდით ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ჩვენ ლენინისა და სტალინის აღზრდილნი ვართ. ჩვენ ლენინისა და სტალინის მოწაფეები ვართ. და მუდამ გვეხსომება ის, რასაც უკანასკნელ დღეებამდე გვასწავლიდა სტალინი, რადგან ჩვენ გვსურს ვიყოთ ლენინის ერთგული და ღირსეული მოწაფეები და მიმდევრები, სტალინის ერთგული და ღირსეული მოწაფეები და მიმდევრები.

ამხანაგ სტალინის მთელი ცხოვრება, რომელიც გაშუქებულია კომუნიზმისათვის შთაგონებული სახალხო მებრძოლის დიადი იდეების მზის სინათლით, ჩვენთვის ცოცხალი და ცხოველმყოფელი მაგალითია.

სტალინი ხალხიდან იყო გამოსული, მუდამ გრძნობდა თავის სისხლხორცეულ კავშირს ხალხთან, მუშათა კლასთან და მშრომელ გლეხობასთან, ხალხს ახმარდა მთელ თავის მძლავრ ძალღონეს, მთელ თავის დიდ გენიას. სტალინმა ჯერ კიდევ ჭაბუკმა, თავისი ნათელი გონებით დაინახა და ღრმად შეიგნო, რომ ჩვენს დროში ხალხს შეუძლია ბედნიერი ცხოვრება მოიპოვოს მხოლოდ კომუნიზმისათვის ბრძოლის გზით. სწორედ ამან განსაზღვრა მისი ცხოვრების გზა. სტალინმა მთელი ძალღონე, მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნიზმისათვის ბრძოლას, მშრომელთა ბედნიერებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებულ ბრძოლას.

მუშათა მასებში რევოლუციონერი კომუნისტის ყოველდღიურ ძნელ მოღვაწეობას სტალინი მუდამ აერთებდა მარქსიზმის თეორიის ღრმად შესწავლასთან.

ასეთი იყო იგი ახალგაზრდობის წლებში თბილისში, ბაქოში. ასეთი იყო იგი რუსეთის რევოლუციის ქარიშხლიან წლებში და მეფის რეაქციის ძნელ წლებში, როცა იგი მტკიცედ იყო დაკავშირებული პეტერბურგის მუშებთან, მუდამ განიცდიდა რეპრესიებს, დევნას, პატიმრობასა და გადასახლებას.

ამხანაგ სტალინის, როგორც ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სწორუპოვარი ორგანიზატორისა და მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური თეორეტიკოსის განსაკუთრებული ნიჭი სავსებით გაიშალა რევოლუციის და სოციალიზმის მშენებლობის წლებში.

ამ წლების მანძილზე ჩვენი პარტია გაიზარდა, ამაღლდა და გადაიქცა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის დიდ ხელმძღვანელ ძალად და მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში წამყვანი ძალის მნიშვნელობა მოიპოვა. ამ წლებში საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის პრაქტიკული განხორციელების ნიმუში გახდა, — ამ წლებში ჩვენი სახელმწიფო, მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობაზე დაყრდნობით, განმტკიცდა, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის სახელმწიფო და დაადგა კომუნისტური საზოგადოების შექმნის გზას. მთელი ამ საქმისადმი, ჩვენი პარტიისა, და საბჭოთა სახელმწიფოს ძალების მთელი განვითარებისადმი ხელმძღვანელობაში გიგანტური როლი ეკუთვნის ამხანაგ სტალინს.

სტალინი მთელი ამ წლების მანძილზე სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის მარტო ყოველდღიურ ხელმძღვანელობას როდი ახორციელებდა. იგი მუდამ მუშაობდა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის თეორიულ პრობლემებზე და მთლიანად საერთაშორისო განვითარების პრობლემებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერების სინათლით აშუქებდა სსრ კავშირის შემდგომი განვითარების გზებს, თანამედროვე პირობებში სოციალიზმისა და კაპიტალიზმის განვითარების კანონებს. მან ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი შეაიარაღა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ახალი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენებით, რომლებიც მრავალი წლით აშუქებენ ჩვენს წინსვლას კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა წითელი არმიის ძალების შექმნასა და ორგანიზაციას და მის სახელოვან საბრძოლო საქმეებს ყველაზე გადამწყვეტ ფრონტებზე სამოქალაქო ომის წლებში. სტალინმა, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა დიდი სამამულო ომის წლებში, ჩვენი ქვეყანა მიიყვანა ფაშიზმზე გამარჯვებამდე, რამაც ძირეულად შეცვალა მდგომარეობა ევროპასა და აზიაში.

ვიყოთ სტალინის ერთგული და ღირსეული მიმდევრები — ეს ნიშნავს მუდამ გვახსოვდეს და განუხრელად ვზრუნავდეთ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის განმტკიცებისათვის, უზრუნველვყოფდეთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ჯეროვან მზადყოფნას იმ შემთხვევისთვის, თუ აგრესორი რაიმე გამოხდომას გაბედავს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ვიყოთ სტალინის ერთგული და ღირსეული მიმდევრები — ეს ნიშნავს აგრეთვე სათანადო სიფხიზლე და სიმტკიცე გამოვიჩინოთ ჩვენი მტრების, იმპერიალისტურ აგრესიულ სახელმწიფოთა აგენტების ყველა და ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს არა აქვს არავითარი აგრესიული მიზანი და თავის მხრივ არ ერევა სხვა სახელმწიფოთა საქმეებში. ჩვენი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც სტალინური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, არის ხალხთა შორის მშვიდობის დაცვის პოლიტიკა, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევი პოლიტიკა, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა იმ ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა, რომლებიც თვითონაც ესწრაფვიან ამას. ასეთი საგარეო პოლიტიკა შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს და ამასთან ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა საფუძველზე განხორციელებულია ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც თავისი სიმტკიცით, ხალხთა მატერიალური ძლიერების განუხრელი ზრდითა და კულტურის აღმავლობით ისტორიაში მაგალითი არ მოეპოვება. მთელ ამ საქმეში და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის ახალი, მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში ამხანაგ სტალინს განსაკუთრებული, უდიდესი როლი ეკუთვნის. ამასთან სტალინი არა მარტო ხელმძღვანელობდა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებას მრავალი წლის მანძილზე, არამედ თეორიულადაც გააშუქა ეროვნული და [illegible] ხალხის უმნიშვნელოვანესი თანამედროვე პრობლემები, აქაც [illegible] მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული საფუძვლები.

ახლანდელ პირობებში ყოველივე ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოთა შექმნასთან და კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით. სსრ კავშირის ხალხები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულნი, ავითარებენ და განუხრელად განამტკიცებენ ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან, მეგობრულ ურთიერთობას კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ამ ძნელ დღეებში ჩვენ ყველანი განსაკუთრებით კარგად ვხედავთ და მუდამ ვგრძნობთ, თუ საბჭოთა ხალხის რა მძლავრ, ურყევ და საიმედო ბურჯს წარმოადგენს ჩვენი კომუნისტური პარტია, მისი ფოლადისებური ერთიანობა, მისი განუყრელი კავშირი მშრომელთა მასებთან. ჩვენი პარტია, ასრულებს რა დიდი სტალინის ანდერძს, გვაძლევს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის შემდგომი ბრძოლის ნათელ მიმართულებას. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ, კიდევ უფრო მტკიცედ უნდა დავირაზმოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო.

სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში. ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ მის მიერ განხორციელებულ დიად საქმეთა დიდება საუკუნეებში იცოცხლებს!

გაუმარჯოს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიად, ყოვლისმძლე მოძღვრებას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს, ჩვენს გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას!

* * *

უკანასკნელი გზა

9 მარტს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ეთხოვებოდა ლენინის თანამებრძოლსა და მისი საქმის გენიალურ განმგრძობს, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. სამი დღე ზედიზედ, შეუწყვეტლივ, მოდიოდა ხალხის ცოცხალი ნაკადი კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, სადაც დასვენებული იყო კუბო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხედრით. განუზომელია ჩვენი სამშობლოს მშრომელთა უსაზღვრო სიყვარული ხალხის ბედნიერების შემოქმედის ამხანაგ სტალინისადმი, განუზომელია მათი ღრმა მწუხარება მძიმე დანაკლისის გამო. ასეულ ათასობით ადამიანმა ჩაუარა ბელადის კუბოს ამ სამი დღის განმავლობაში და ფიცს დებდა, რომ ერთგული იქნება ლენინ—სტალინის წმიდა დროშისა.

9 მარტის დილა. გამოთხოვების უკანასკნელი საათები... გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. ბელადის კუბოსთან რჩებიან მისი ნათესავები და მახლობლები, დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა აქტივი, მინისტრები, უცხოეთის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები, დარბაზში იმ-

ყოფებიან უცხოეთის მთავრობათა დელეგაციები, რომლებიც ჩამოვიდნენ ი. ბ. სტალინის დაკრძალვაზე დასასწრებად, საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებსაც თავიანთმა მთავრობებმა დაავალეს წარმომადგენლობა დაკრძალვაზე. ყოველ ორ-სამ წუთს იცვლება საპატიო ყარაული.

დილის 10 საათია. კუბოსთან დგებიან დიდი სტალინის ერთგული მოწაფეები და თანამებრძოლები — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. ბელადთან გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია.

10 საათსა და 5 წუთზე ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიკოიანი ფრთხილად იღებენ კუბოს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხედრით და ნელა მიემართებიან გასასვლელისაკენ.

კავშირების სახლიდან გამოაქვთ გვირგვინები. საბჭოთა კავშირის მარშლებს, გენერლებს მოაქვთ ალისფერი ატლასის ბალიშები, რომლებზეც არის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ორდენები და მედლები.

ოხოტნი რიადისა და მანეჟის მოედნის გაყოლებით ჩამწკრივებულია სამხედრო ესკორტი.

კუბოს ამხანაგ ი. ბ. სტალინის ცხედრით დგამენ საარტილერიო ლაფეტზე. კუბოს ხუფზე საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის ქუდია.

კუბოს მიჰყვებიან განსვენებულის ოჯახის წევრები, ბელადის უახლოესი თანამებრძოლები, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, საბჭოთა არმიის მარშლები და გენერლები, დაკრძალვაზე ჩამოსული უცხო სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მთავრობათა დელეგაციებს, აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებსაც თავიანთმა მთავრობებმა დაავალეს წარმომადგენლობა ი. ბ. სტალინის დაკრძალვაზე, და უცხო ქვეყნების სხვა წარმომადგენლები.

სამგლოვიარო მარშის ხმებში სამგლოვიარო კოლონა ნელა მიემართება წითელი მოედნისაკენ.

წითელ მოედანზე შეიკრიბნენ ქალაქ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების დელეგაციები. აქ არიან დიდი ჩინელი ხალხის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლები, სხვა ქვეყნების დელეგაციები და წარმომადგენლები.

ტრიბუნაზეა დიპლომატიური კორპუსი.

მდუმარედ ჩამწკრივებულან მოსკოვის გარნიზონის ჯარების ნაწილები.

10 საათი და 45 წუთია. სამგლოვიარო კორტეჟი გაჩერდა მავზოლეუმთან. იხრება საბრძოლო დროშები შემოსილი საბჭოთა არმიის უჭკნობ გამარჯვებათა დიდებით, რომლებიც მოპოვებულია დიდი სამამულო ომის წლებში ყველა დროისა და ხალხის უდიდესი მხედართმთავრის ამხანაგ ი. ბ. სტალინის წინამძღოლობით.

კუბო გადმოაქვთ ქვემეხის ლაფეტიდან და დგამენ მაღალ კვარცხლბეკზე, რომელსაც შემოვლებული აქვს წითელი და შავი ტილოები.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, უცხო სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურები, რომლებიც მთავრობათა დელეგაციებს ხელმძღვანელობენ, აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებსაც თავიანთმა მთავრობებმა დაავალეს წარმომადგენლობა ი. ბ. სტალინის დაკრძალვაზე, უცხოეთის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები ადიან მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

10 საათი და 52 წუთია. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით გახსნილად აცხადებს სამგლოვიარო მიტინგს, მიძღვნილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნისადმი.

პირველი სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს.

შემდეგ სიტყვას ამბობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

შემდეგ სიტყვით გამოდის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

11 საათი და 54 წუთია. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი დახურულად აცხადებს სამგლოვიარო მიტინგს, მიძღვნილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, უცხოეთის მომძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები ჩამოდიან მავზოლეუმის ტრიბუნიდან. ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიკოიანი იღებენ კუბოს და ნელა მიაქვთ იგი მავზოლეუმში, რომლის შესავლის თავზე წარწერილია ორი უსაზღვროდ ძვირფასი უკვდავი სახელი:

ლენინი
სტალინი

გრიალებს საარტილერიო სალუტის ოცდაათი ზალპი... კრემლის მაცხოვრის კოშკზე საათმა თორმეტჯერ დარეკა. მოსკოვში, მთელ საბჭოთა ქვეყანაში სამ წუთს განუწყვეტლივ გუგუნებენ ფაბრიკების, ქარხნების, ორთქლმავლების, გემების საყვირები... სამშობლო სალუტს აძლევს ხალხთა დიდ მამასა და მასწავლებელს. ყველგან, ბალტიკის ნაპირებიდან კურილის კუნძულებამდე, მთელ საბჭოთა მიწაწყალზე, ხუთი წუთით შეწყვიტა მუშაობა ყველა საწარმომ. შეწყდა მატარებლების მოძრაობა, გაჩერდა გემები, ავტომობილები... ჩვენი ქვეყანა ღრმად გლოვობს დიდ დანაკლისს. მაგრამ სტალინის სახელი, სტალინის საქმე უკვდავია. სტალინი მარად იცოცხლებს ხალხის გულში, კომუნიზმის ასაშენებლად განხორციელებულ მის საქმეებში.

სამგლოვიარო მელოდიას ცვლის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული საზეიმო ჰანგები.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები კვლავ ადიან მავზოლეუმის ტრიბუნაზე. მავზოლეუმს მტკიცე ნაბიჯით ჩაუარეს ჯარებმა, მაღლა ცაში მწყობრად მოფრინავენ თვითმფრინავები, უკანასკნელ სამხედრო პატივს აძლევენ დიდ ბელადსა და მხედართმთავარს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. (საკდესი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი გამარჯვებებისაკენ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის ბრძოლაში

„პრავდის“ 11/III მოწინავე

★

ცხრა მარტს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა გამოეთხოვა ლენინის თანამებრძოლს და მისი საქმის გენიალურ განმგრძობს — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. თავისი ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის კუბოსთან კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა საქვეყნოდ განაცხადეს თავიანთი ერთგულება ლენინ-სტალინის წმიდა ყოვლისმძლე დროშისადმი.

ამხანაგმა სტალინმა ჩვენს პარტიას უდიდესი იდეური მემკვიდრეობა დაუტოვა. გენიალურმა მოაზროვნემ, მან ყველა მტრისაგან დაიცვა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება, შემოქმედებითად განავითარა და გაამდიდრა იგი ახალ ისტორიულ პირობებში. სტალინის სახელი სამართლიანად დგას მარქსის, ენგელსის, ლენინის სახელების გვერდით, მარქსიზმ-ლენინიზმი, სტალინის გენიალურ შრომებში განვითარებული და უმაღლეს საფეხურზე აყვანილი, უძლეველ ძალას აძლევს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს.

ლენინთან ერთად სტალინი ქმნიდა და აწრთობდა კომუნისტურ პარტიას, როგორც საზოგადოების დიად გარდამქმნელ ძალას. ჩვენმა პარტიამ, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციური თეორიით შეიარაღებულმა, მშრომელთა ინტერესებისათვის ნახევარი საუკუნის ბრძოლის გამოცდილებით გამობრძმედილმა, ხალხის უფართოეს მასებთან განუხრელად დაკავშირებულმა, იცის საით წაიყვანოს საქმე, რათა უზრუნველყოს კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ამხანაგი სტალინი მთელ თავის სიცოცხლეში გვასწავლიდა, რომ არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე კომუნისტური პარტიის წევრის წოდება. მტრების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა დაიცვა ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობა, მონოლითურობა და დარაზმულობა. პარტიული

რიგების ამ ერთიანობასა და დარაზმულობაშია კომუნისტური პარტიის ძალა და უძლეველობა. ამხანაგი სტალინი მუდამ იჩენდა უდიდეს ზრუნვას ხალხის მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცებისათვის, ეს მიაჩნდა ჩვენი პარტიის ძალისა და უძლეველობის წყაროდ.

ეთხოვებოდნენ რა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს, საბჭოთა ადამიანები გამოთქვამდნენ ურყევ გადაწყვეტილებას, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ რიგებს მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მთელ ძალღონეს მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის სტალინური პროგრამის განხორციელებას.

ი. ბ. სტალინის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. მ. მალენკოვმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა ამხ. ლ. პ. ბერიამ და ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მოუწოდეს საბჭოთა ადამიანებს ამრავლონ ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეს მოწოდება მხურვალე გამოხმაურებას პოულობს უფართოეს მასებში.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ კვლავაც განვამტკიცოთ დიადი კომუნისტური პარტია, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ პარტიის ერთიანობას, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიის განუყრელი კავშირი ხალხთან, აღვზარდოთ კომუნისტები და ყველა მშრომელნი მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით.

ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება მოასწავებდა უდიდეს მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში, მან ბოლო მოუღო კაპიტალიზმის წყობილებას ჩვენს ქვეყანაში და გამოიყვანა საბჭოთა ხალხი ახალ გზაზე — სოციალიზმის გზაზე.

ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი იყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. ი. ბ. სტალინი დაუცხრომლად შრომობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის და გადააქცია იგი სოციალიზმის ურყევ ციხე-სიმაგრედ. საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცე და ძლიერება უმნიშვნელოვანესი პირობაა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენებისა. ჩვენ მოვალენი ვართ კვლავაც დაუცხრომლად და ყოველმხრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვამტკიცებდეთ დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯს.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინი თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში მიუძღოდა ჩვენს პარტიასა და ქვეყანას ლენინის გზით. განაგრძორა ლენინის უკვდავი საქმე, ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე.

კომუნიზმის გენიალურმა ხუროთმოძღვარმა, მშრომელთა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პროგრამით შეაიარაღა პარტია და ხალხი, მარქსისტულ-ლენინური თეორიის მკაფიო შუქით გაგვინათა სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ ჩვენი სამშობლოს განვითარების გზა.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ უზრუნველვყოთ სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავება. საშინაო პოლიტიკის დარგში პარტიის მთავარი საზრუნავი ის არის, რომ განუხრელად უზრუნველყოფდეს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ჩვენი პარტიისა და მთავრობისათვის კანონია მოვალეობა — შეუნელებლად ზრუნავდნენ ხალხის კეთილდღეობისათვის, მის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის შემოქმედია. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კომუნისტურმა პარტიამ მოსპო საუკუნეობრივი ეროვნული შუღლი და შექმნა მძლავრი მრავალეროვანი სახელმწიფო, უზრუნველყო წინათ ჩაგრული ხალხების ეკონომიკური და კულტურული აყვავება, ერთიან ძმურ ოჯახად დარაზმა საბჭოთა კავშირის ყველა ერი და გამოჭედა ხალხთა ურღვევი მეგობრობა. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა ქვეყნის ერთიანობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს განმტკიცება, რადგან სანამ ეს ურღვევი მეგობრობა იქნება, ჩვენთვის საშიში არ არიან არც შინაური, არც გარეშე მტრები.

ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად ზრუნავდა სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით იქმნებოდა, იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა არმია — ჩვენი ხალხის ღვიძლი შვილი. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა ამხანაგ სტალინის მითითებებით, ჩვენი ქვეყანა მოამზადა აქტიური თავდაცვისათვის, საბჭოთა არმია გადააქცია უძლეველ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს

უზრუნველყოს სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესები.

თავისი დიდი მხედართმთავრის — გენერალისიმუს სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა და მისმა სახელოვანმა არმიამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს ფაშიზმზე მეორე მსოფლიო ომში, ევროპისა და აზიის ხალხები იხსნეს ფაშისტური დამონების საფრთხისაგან. საჭიროა კვლავაც ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ძლევამოსილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები, ვიყოლიოთ ისინი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, რათა გამანადგურებელი წინააღმდეგობა გავუწიოთ მტრის ყოველ თავდასხმას.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ძირეულად შეიცვალა მთელი საერთაშორისო ვითარება. შეიქმნა დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი 800 მილიონი კაცი მოსახლეობით. ამ ბანაკში საბჭოთა ხალხთან მჭიდრო ძმური ერთიანობით წინ მიდიან დიდი ჩინელი ხალხი, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოძმე ხალხები. ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლით იცავს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობას კორეის გმირი ხალხი. მამაცურად იბრძვის იმპერიალისტ დამმონებელთა წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ვიეტნამის ხალხი.

მთელი მსოფლიოს მშრომელებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირის ხალხები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის, ლენინ-სტალინის დროშის ერთგულნი, კვლავაც განამტკიცებენ და განავითარებენ ძმურ ურთიერთობას კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ლენინმა განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, როგორც მშვიდობის პოლიტიკა. ამ პოლიტიკას განუხრელად ახორციელებდა ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი, მშვიდობის დიდი მედროშე ი. ბ. სტალინი.

საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მთავარი საზრუნავი ის არის, რომ არ დავუშვათ ახალი ომი, ვიცხოვროთ მშვიდობიანად ყველა ქვეყანასთან. კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას მიაჩნიათ, რომ ხალხთა შორის მშვიდობის პოლიტიკა ერთადერთი სწორი, ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისი პოლიტიკაა.

მშრომელთა მტრების სურვილია იხილონ დაბნეულობა და პანიკა საბჭოთა ხალხის რიგებში, ხალხისა, რომელმაც მძიმე დანაკლისი განიცადა. მაგ-

რამ ამაოა მტრების ვარაუდი: მათ სასტიკად გაუცრუვდებათ იმედი. დიდი მწუხარების დღეებში საბჭოთა კავშირის ხალხები, მუშები, გლეხები და ინტელიგენცია კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან, კიდევ უფრო მტკიცედ ერთიანდებიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო.

საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ სჯერა თავისი კომუნისტური პარტიისა და ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა სახელმწიფოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანები ხედავენ, მათ იციან, რომ ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა, ამხანაგ სტალინის ერთგულ მოწაფეთა და თანამებრძოლთა საიმედო ხელშია.

საბჭოთა ხალხი თავისი დაუშრეტელი ძალებისა და შესაძლებლობების მტკიცე რწმენით, კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს საბჭოთა საზოგადოების წინსვლა კომუნიზმისაკენ.

ლენინ-სტალინის დროშით წინ — კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

მე გორისაკენ მივქროდი სწრაფად

★

მე გორისაკენ მივქროდი სწრაფად...
ფარების შუქზე გზა ყვითელ ძაფად
თითქოს მანქანის ღერძს ეხვეოდა...
მორჩა არაგვის ლურჯი ხეობა,
მუხრანს გავცილდით ისრის სიჩქარით,
მაგრამ საათის მოგვდევს ისარიც...
შვიდის რვა წუთი... შვიდის თორმეტი...
ასოც კილომეტრს წერს სპიდომეტრი...
მაგრამ საათის მოგვდევს ისარიც.

მე გათენებას გავურბი ახლა,
მინდა მივიჭრე ბელადის სახლთან,
სანამ ჯერ ბნელა, სანამ მზეს სძინავს...
დღეს უსტალინო დადგება დილა,
მზე გაათენებს დღეს უსტალინოს...
მინდა მივასწრო გორში ალიონს.
მინდა მის სახლთან ანაზდად შევდგე,
რომ შევეფარო იმ უკვდავ კედლებს,
რომ ვთქვა: — გათენდი... არა ვარ მარტო...
ტირიფონისკენ გაიჭრა ავტო.

მე გორისაკენ მივქრიოვარ სწრაფად...
მთაგრეხილების მუქ-ლურჯი დაფა
ზეცის შორეულ კალთებს მიჰკვრია...
ცხელ გონებაში ერთი ფიქრია: —
მინდა, ო, მინდა დღეს ვიყო მასთან....
ასფალტს პირველი მზის სხივი ასხლტა,
ჰაერში ფერთა გაჩნდა რიალი:
აგერ ილვიძებს აშურიანი,
აგერ, ტრამალზე აფრინდა ქორი,
აგერ, ხევსიქით გამოჩნდა გორი!

ბელადო! მამავ კაცთა და ხალხთა,
აჰა, მე ვდგავარ შენს უკვდავ სახლთან,
შენს მშობელ მთებთან, ლიახვის პირას,
აქ ვხვდები პირველ უშენო დილას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრს სევდა აწევს, თვალს ცრემლი ალღობს,
მაგრამ ვარ შენთან, ვარ შენთან ახლოს;
აქ, შენთან, თითქოს სულს სევდა სტოვებს,
აქ, თითქოს გული სიმშვიდეს ჰპოვებს,
აქ, თვალთაც თითქოს მშვიდობა ნახეს,
აქედან ვხედავ შენს ცოცხალ სახეს.

არა, არ ჰქვია ჩვენს ცრემლებს ცრემლი,
ამგვარად აფრქვევს ნაპერწკლებს გრდემლი,
ვართ მისებრ მტკიცე მარად და მარად,
რადგან კვლავ იქვე დგას, სადაც მდგარა,
პატარა გორი და დიდი კრემლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო ადამია

ბელადისადმი

★

ძმები

რა ძმობა გქონდათ!
ქვეყნად ამგვარის
ძმობის არა ვართ ჩვენ ჯერ მნახველი!
ერთის გულს როცა სწვავდა ხანძარი —
იწვოდა ორთავ გულის სახელით...
ძმობა, მსახვრელი ყოველთა მტერთა,
ჩვენთვის ნათელი, ჩვენთვის დიადი!
ორივე მოდით ამქვეყნად ერთად
როგორც სიმღერა და განთიადი.

... მერე შენ ერთმა ზიდე უღელი,
მაგრამ ორივე გმირის სახელით:
ნათელი იყავ, —
და განუყრელად
მარად თან გახლდა იმ ძმის ნათელი!

მერე შენ ერთი წარუძეხ ერებს,
მაგრამ არ შედრკი მტკიცე და სალი
და რაც შეჰქმენი
ზედ დააწერე
ორი დიდება —
ლენინ და სტალინ!

სურათი

★

დარბაზის მყუდრო, ნათელ უბეში
ნაირფერებით არის შემკული —
დიდი ბელადი სიჭაბუკეში
ქარიშხალივით ამხედრებული.

ზღვისპირი.

ქარი.
ქარში ლერწმები,
ატოტებული ტალღების ღელვა!
და თვალებიდან მას ნაპერწკლები
ცვივა და აჩენს ხანძარს და ელვას, —
და გულთან ახლოს აქვს მიტანილი
ძალმიცემული მარცხენა ხელი...
ეს სურათია:
„ი. ბ. სტალინი
ბათუმი, 901 წელი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ბელიაშვილი

დიადი სიცოცხლე

★

რა თავზარდამცემი იყო ის პირველი ცნობა, როდესაც რადიომ შეგვატყობინა ამხანაგ სტალინის მძიმე ავადმყოფობა. საბჭოთა ქვეყნის ყოველი ადამიანი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, დაზგასთან მომუშავე სტახანოველი, წიგნებში ჩაფლული პროფესორი, მინდვრად გასული კოლმეურნე, სასკოლო მერხზე დაყრდნობილი მოსწავლე თუ აკვანზე დახრილი დედა, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა გამსჭვალული იყო ერთადერთი სურვილით, ერთადერთი იმედით, რომ მსოფლიოს უდიდესი გენიოსი, მშრომელი კაცობრიობის ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი განკურნებულიყო. არვინ მოშორებია იმ დღეებში რადიოს. სულ ერთია, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, სამუშაოზე თუ ოჯახში, ყოველი ადამიანი სულგანაბული, მოუთმენლად ელოდა მორიგი ბიულეტენის გამოქვეყნებას.

მაგრამ ყოველი ახალი ცნობა, რომ სტალინის გულისცემის რიტმი დარღვეული იყო და სუნთქვა გაძნელებული, ასევე არღვევდა ყველა ჩვენგანის გულისცემას და სუნთქვას გვიკრავდა.

განა შეეძლო მშვიდად მოესმინა ცნობა ამხანაგ სტალინის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ ჭალარით მოსილ მუშას, რომელიც ერთ დროს ბელადს ედგა გვერდით და მასთან ერთად იერიშით მიდიოდა ძველი წყობილების დასამხობად; განა შეეძლო მშვიდად მოესმინა ეს ამბავი კოლმეურნეს, ოდესღაც უმიწაწყლო დაბეჩავებულ გლეხს, ახლა რომ სტალინმა შვილები ქვეყნის მმართველებად, მეცნიერებად, ინჟინრებად, აგრონომებად და ექიმებად დაუზარდა, მძიმე, გაუტეხელი ყამირები ტრაქტორებით რომ დაუხნა, ეზო-გარემო ბაღ-ვენახებით რომ მოუქარგა და სახლ-კარი ხვავით და ბარაქით აუვსო; განა შეეძლო ეს ცნობა მშვიდად მოესმინა დაზგასთან მომუშავე ახალგაზრდა მუშას, რომელსაც სტალინმა შრომა გმირობად გადაუქცია, სახელმწიფო საქმეთა გადასაწყვეტად გვერდით რომ მოისვა და სიცოცხლის ნამდვილი სიხარული განაცდევინა; განა შეეძლო ეს ცნობა მშვიდად მოესმინა იმ გმირს, რომელსაც სამშობლოსა და სტალინისათვის გაევლო სახელოვანი ბრძოლების გზა სტალინგრადიდან ბერლინამდე; განა შეეძლო მშვიდად მოესმინა ეს ცნობა იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოებით მოიხაროდნენ დედაქალაქისაკენ, რათა თავიანთი მიღწევით გაეხარებინათ ბელადი; განა შეეძლო ეს ცნობა მშვიდად მოესმინა ნამდვილ საბჭოთა ადამიანს, იმ საბჭოთა ადამიანს, რომელიც მსგავსად სახისა თვისისა აღზარდა და სულიერად აღამაღლა დიდმა სტალინმა.

...და აი რადიომ ამცნო ყველას, რომ შეწყდა გულისცემა იმ ადამიანისა, რომლის მთელი სიცოცხლე ხალხისათვის დაუღალავ შრომას წარმოადგენდა, სამუდამოდ დაიხუჭა მისი გამჭრიახი და ყოვლისმხედველი თვალები. აღარა გვყავს ის ადამიანი, რომლის ცოცხლად ნახვას ნატრობდა ყოველი ქვეყნის, ყოველი კუთხის წარმომადგენელი.

ველარ ვიხილავთ მას გამარჯვებათა დიად პარადებზე, ველარ გადმოგვხედავს იგი ღიმილით მავზოლეუმის ტრიბუნიდან. დამთავრდა მისი დიადი ცხოვრების გზა, მაგრამ სტალინი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში. ის ყოველთვის გაგვიღიმებს ჩვენი გაზეთების ფურცლებიდან, დიდი, სქელტანიანი ტომებიდან, ზვიადად ამართული კვარცხლბეკებიდან. მუდამ ლია იქნება მისი გამჭრიახი თვალი და მუდამ იქუხებს მისი ბრძნული სიტყვა.

სტალინი აღარა გვყავს, მაგრამ უკვდავია მისი უძლეველი პარტია, რომელიც გაუძღვება ხალხს ახალი გამარჯვებებისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუგა ბერულავა

გორი ლაპარაკობს

★

მე, ვინც მრავალი ქარიშხალი გამოვიარე,
დღეს ვლაპარაკობ ცრემლიანი და მგლოვიარე.

ძაძით მოსილი არის ჩემი ციხეც ბებერი,
ტირის აკვანი ჩემი სოსოს დამბადებელი.

მარტის მეხუთე დღე გამოდგა ავდარიანი,
იმ დღეს მომიკვდა შვილი, ბრძენი ადამიანი;

დედამიწაზე გამოცხადდა სახალხო გლოვა...
გადაწყდა: იგი ყრმობის სახლში აწ ვეღარ მოვა!

მე ვლაპარაკობ, მე — სტალინის მშობელი გორი,
მომიკვდა შვილი... არა! ვცდები, არა ვარ სწორი, —

ის არ მოკვდება, ჩვენთან არის, ჩვენთან დარჩება,
როგორც სიცოცხლე, სიამაყე და გამარჯვება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოჰანეს ბეხერი

უკვდავს

★

არა, ვერ გასტეხს ჩვენს სიმტკიცეს ეს მწუხარება, —
შთაგვაგონებდა ის, ლენინის კუბოსთან მდგარი,
ამნაირ ნაღველს რომ სიკვდილი ვერ ეკარება,
იმ მწუხარე ჟამს ძლიერ კარგად ესმოდა სტალინს.

იდგა, მეგობარს დასცქეროდა გულდალონებით
და ხალხს ალმოხდა: „ხედავთ, ტირის, ის ტირის მწარედ...“
მყის შემჭიდროვდნენ მის გარშემო მილიონები
და ღრმა დუმილში იფრქვეოდა ცრემლები ცხარე.

მაგრამ სტალინმა თავი უცებ მაღლა ასწია
და დიდი ფიცის დასადებად აღმართა ხელი:
„არ შევშფოთდებით, ეს გზა სწორი და წარმტაცია,
ჩვენ დავასრულებთ საქმეს შენსას, ძვირფასო ლენინ!“

მძლავრად შეირხა სავსე მკერდი მადლიან მიწის,
მასზე ნათესი ლენინისა აღელდა ყანად.
ხალხმა თქვა: „ხედავთ, შეასრულა სტალინმა ფიცი,
მკას მივყოთ ხელი, დიდებული დაგვიდგა ხანა.

იმ უდიდესი გამარჯვების დილის შემოსვლა,
იმ დიდ ბრძოლაში დალუპულთა წმიდა სახელი
დიდმა სტალინმა უკვდავების შუქით შემოსა,
ცრემლს ღვრიდა უხმოდ ხალხი, ტანჯვის გადამლახველი.

ხალხმა თქვა: „ხედავთ, არ მომკვდარა ლენინი, არა,
სტალინის გულში ცოცხლობს იგი, ის დარჩა აქვე.
ჩვენი გმირები იქნებიან უკვდავნი მარად,
მკვდრეთით აღადგენს ამათ ჩვენი დიადი საქმე.

ისევ გაისმა ტირილის ხმა გულშემლონები,
რა მკაცრი იყო გამარჯვება და რარიგ ძნელი.
ბელადმა უხმო და შემოკრბენ მილიონები,
ზეიმის ნიშნად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

დიდი ქარხნები, უდაბნონი მოყვავილენი,
მწვანე ჭალები და არხებში წყალთა ხმაური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სასახლენი, ლაჟვარდებში შეტყორცნილები —
ეს იყო ხალხის მშენებლობის დღესასწაული.

ხალხმა თქვა: „ვაგებთ მშვიდობის ბურჯს მოუღლელ მკლავით,
მას ჰქმნის სტალინი — ჩვენი დიდი მოჭირნახულე.
ხოლო იმათ კი, ვინაც ჩვენთვის გასწირეს თავი,
ძეგლად ეს დიდი მშენებლობა დაიმსახურეს.

იმ ღამით, როცა განსაცდელი დაგვატყდა თავზე
და მშობლიური გულის ცემა უცებ შენელდა,
იდგა დუმილი საოცარი, წუხილით სავსე,
ცრემლს ღვრიდა ხალხი, გულს ზარავდა საშინელება.

და როს სტალინმა დაასრულა გზა სიცოცხლისა
როცა ბელადის გულისცემა შეჩერდა უცებ,
კრემლის კედელთან ოქროს რტოთი მტრედი მოფრინდა.
და ეს, მშვიდობის უჭკნობი რტო, დაადო გულზე.

„არა, ვერ გასტეხს ჩვენს სიმტკიცეს ეს მწუხარება,
ასე ამბობდი შენ ლენინის კუბოსთან მდგარი, —
თქვა ხალხმა მაშინ, სევდიანმა, გულმდუღარემა, —
როგორც ლენინი, შენ ყოველთვის იცოცხლებ, სტალინ!

ხალხების გულში ის ოდესმე მოკვდება განა,
ვინაც მსოფლიომ გააცილა ცრემლით, ნაღველით.
შენი სუნთქვაა, ჩვენს დროშას რომ გაჰყვება თანა,
მუდამ იცოცხლებს დიდებული შენი სახელი.

ამ საუკუნეს სტალინური ვუწოდეთ ყველამ,
ლენინს და სტალინს — ხალხთა დიდი ბედნიერება...
და როცა ჭმუნვით ვეთხოვებით საყვარელ ბელადს,
ვიცით, ამ სევდას თვით სიკვდილიც ვერ მოერევა.

ხედავთ, კრემლს თავზე თეთრი მტრედი ვით დასტრიალებს:
სტალინი არის მშვიდობა და თავისუფლება!
იგი დროშაა ყოველ ბრძოლის სამართლიანის,
უკვდავს სიკვდილი ვერასოდეს დაეუფლება!“

ოარგმანი **ვახტანგ გეწუკელისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბოგოსიძე

მსოფლიო გლოვობს მშობლიურ სტალინს

★

მთელი მსოფლიო სულგანაბული
მძიმე ფიქრებით ღამეს ათევდა;
გათენდა, ვხედავთ, გლოვობს მამული,
ძაძით მოსილი დილა გათენდა.

გლოვობს დიადი კავშირი ხალხთა,
გლოვობს მოსკოვი — დედა-მშობელი;
ჩვენს თბილისს ჰხურავს წუხილის
კალთა,
ცრემლი გვდის, ცრემლი შეუშრობელი.

თითქოს ნათელ მზეს ჩაუქრა ალი,
ბნელის წინაშე თავი დახარა;
დიდმა სტალინმა დახუჭა თვალი,
მოგვიკვდა მამა — ბრძენი, ჭაღარა.

ეს მწუხარება — სახალხო სევდა,
აქ ყოველ სახლს და ხესაც ატყვია;
მაგრამ ვმხნევდებით, როდესაც ვხედავთ
მტკიცედ დარაზმულ გმირულ პარტიას.

ძმებო და დებო, ცრემლები კმარა,
სტალინის დროშა ავწიოთ მაღლა;
მის სადიდებლად მარად და მარად
მოდის და მოდის ხალხების ტალღა!

ვიტყვით — „ლენინი“ და წინ დადგება
დიდი ოქტომბრის გმირთა გვარდია;
ვიტყვით — „სტალინი“ და გვეხატება
ძლევამოსილი ჩვენი პარტია;

პარტია, — ხალხის სუნთქვა და აზრი,
კომუნისტების დიდი პარტია,
მტრის გამგმირავი მახვილი ბასრი —
კაცობრიობის განთიადია.

იგია ბურჯი ხალხთა მშვიდობის,
დასძლევს მტარვალს და მოსპობს
ჯალათებს
და სტალინური დროშა დიდების
საუკუნეებს გადაანათებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ გაბესკირია

ბელადის გარდაცვალების დღეს

★

სადაც ვყოფილვართ: ოჯახში, გზაზე,
მღელვარე ზღვასთან, თუ მაღალ მთებთან,
ხშირად, როდესაც გავშლიდით გაზეთს, —
შენი სურათი მოგვანათებდა.

ის იმედს გვგვრიდა. მამურად, ბრძნულად
გვიცქეროდა და სული მხნეობდა...
ვინ იფიქრებდა, რომ ძვირფას სურათს
შავი არშია მოეხვეოდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკვდავი სტალინი

★

საბჭოთა ხალხმა დაკარგა თავისი გენიოსი შვილი, რომელსაც მგზნებარე კოლხიდელს უწოდებდა დიდი ლენინი. საბჭოთა კავშირის ხალხებს, მთელი მსოფლიოს მშრომელებს თავზარი დასცა ამ მწუხარებამ. აღარ ფეთქავს ის დიდი გული, რომელიც თანაბარი სიყვარულით ძგერდა როგორც ტყვარჩელის და ურალის მეშახტეებისათვის, ისე რურისა და მანჩესტერის ქარხნების მუშებისათვის, მალაელი გლეხებისა და ლივერპულელი მტვირთავებისათვის, ლონდონისა და ვაშინგტონის უმუშევრებისათვის.

წაიქცა უზარმაზარი, შტომრავალი მუხა, რომლის ტოტებს ქვეშ მშვიდობიან შემოქმედებასა და შრომას ვეწეოდით მწერლები და მეცნიერები, მუშები და კოლმეურნენი, ინჟინრები და ექიმები. უგუნურ სიკვდილთან შეტაკებისას წამიერად დამარცხდა ყველა ომში გამარჯვებული, მრავალნაცადი სტრატეგი, ჩვენი ეპოქის უდიდესი ფილოსოფოსი, ასეთივე მწერალი, რომლის ელვარე კალამი ახალსა და ახალ ნათელს ჰფენდა პოლიტიკისა და სამხედრო ხელოვნების, ფილოსოფიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ეკონომიკის ურთულეს პრობლემებს, ვის სიტყვასაც „ხულ-ფეხი ესხა“, ვის თქმას „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“, ვისი გამოთქმის სიძლიერე სიმარტივესა და სინათლეში ცხადდებოდა, ვისი ფრაზაც ფოლადივით მკვეთრი იყო და სარკაზმი — მტერთა შემმუსვრელი!

აღარა გვყავს მშვიდობის დიდი მედროშე, უბრწყინვალესი სარდალი, გენერალისიმუსი სტალინი, რომელმაც მოსკოვთან და ლენინგრადში, ვორონეჟსა და სტალინგრადში უსასტიკესად დაამარცხა ჰიტლერული გერმანიის მექანიზებული დივიზიები და მთელს ქვეყანას უჩვენა ისეთი მაღალი კლასი სტრატეგიისა, რომელთანაც ბალღების ომობანად გამოჩნდნენ მარათონის, აუსტერლიცისა და ვატერლოოს ბრძოლები.

მთელი საბჭოეთის ბავშვებისა და ქალების ქვითინი, ყოველი ჩვენთაგანის გულში აღძრული გლოვა მრავალმა ათასმა რადიორუპორმა ამცნო მსოფლიოს პატიოსან მშრომელებს, კეთილ ნების ადამიანებს, რომ აღარა გვყავს ჩვენი საყვარელი მამა და მასწავლებელი, ჩვენი ზნეობრივი ბარომეტრი, რომლის შრომითა და ბრძოლით აღსავსე უმწიკვლო ცხოვრება მუდამ აღაგზნებდა ჩვენს გულში განცვიფრებასა და წაბაძვის ხალისს. ხელიდან გამოგვეცალა ორგანიზატორი ჩვენი გამარჯვებებისა, სტიმულის მიმცემი ჩვენი საქალაქო და საკოლმეურნეო მშენებლობისა, კომუნიზმის დიად მშენებლობათა ინიციატორი, ჩვენი პრესისა და ლიტერატურის, პოეზიისა და მხატვრობის შთამაგონებელი, ჩვენი ქვეყნის დიდ საქმეთა თავკაცი.

სტალინის გარდაცვალების ამბავი თანაბარი სიმძაფრით შესძრავდა დონბასელ მემაღაროებს, ტაიგაში მიმჭროლავ ლოკომოტივების მემანქანეებს, ყარაყუმის უდაბნოს მეექსკავატორეებს, უკრაინელ მემინდვრეებს, ბელორუს მეტორფეებს, ამსტერდამისა და სოუსგემპტონის ვერფების მუშებს, ჰუდზონ ბაისა

და ბაფინბაის მეთევზეებს, ლაბრადორს მიმავალი გემების მატროსებს, ავსტრალიელ მეცხვარეებს, სკანდინავიის ფიორდების მენავეებს, მალაკას პლანტაციების მომვლელებს, ნიკარაგუას და ჰაიტის — ფერადკანიან აბორიგენებს, ჰამბურგელ დოკერებს, ფორდისა და სიტროენის ავტოქარხნების მექანიკოსებს, ჩინელ გლეხებსა და ჯონკას ლოცმანებს, ბოსფორის გემების მტვირთავებს, იტალიელ ლაკარონებს, ამერიკელ და აფრიკელ ზანგებს, ყველას, ყველას, ვისაც სტალინი უყვარდა, როგორც დამონებულთა უდიდესი ქომაგი, მოძალადეთა რისხვა, უფლებააყრილისათვის კაცური უფლების მიმნიჭებელი და პროგრესული აზროვნების ჩაუქრობელი კანდელი. ისე, როგორც ყოველ ჩვენთაგანს, ზოგ მათგანს მალულად დასცდებოდა ქუთუთოებიდან ცრემლი, ზოგი ისევე შეუფარველად გადმოღვრიდა კაცთა გულების ამ კეთილშობილ გამჭღავნებას, როგორც ეს მოუვიდათ ჩვენს ბავშვებსა და ქალებს სტალინის გარდაცვალების ამ საშინელ დღეს.

საბჭოთა საქართველოს მშრომელი ხალხი ამ განუზომელი მწუხარების ჟამს მოიგონებს დიდი შოთას სიტყვებს: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

საუკუნეთა უწყვეტ ბრძოლებში გამობრძმედილო, ჭირში შეუდრეკელო და ომში მამაცო ქართველო ხალხო აღარა გყავს შენი ლომგულოვანი შვილი — იოსებ ჯუღაშვილი, მაგრამ ჩვენ ისევე მისგანვე ავიღებთ ჭირთათმენისა და მამაცობის უბადლო მაგალითებს.

საბჭოთა კავშირის ხალხები მოიგონებენ ბორკილებში ჩაჭედილ და ბორკილების დამამსხვრეველ ჭაბუკ სტალინს, ბათუმის, თბილისისა და ბაქოს მუშებთან ერთად იატაკქვეშ მომუშავე ციმბირიდან გამოქცეულ სტალინს. მოიგონეთ დავაუკაცებული სტალინი, სტალინი — ცარიცინთან, კოლჩაკის ბანდებთან მებრძოლი, სტალინი — ლენინგრადის დამცველი, სტალინი — მოსკოვში, როცა მან გერმანელების „ბატონობა“ ლიონები უკუაგდო, ფაშისტების ჰაუბიცები და მესერშმიტები შემუსრა, სტალინი — სტალინგრადის ოპერაციებში გამარჯვებული სარდალი! სტალინის შეუდრეკელი სული არ მომკვდარა და არც მოკვდება არასოდეს.

ქართველი ხალხი ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს უფრო მჭიდროდ ამოუდგება გვერდით დიდ რუს ხალხს. ქართველი ხალხი ეავთანდილება საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებს, დემოკრატიული ქვეყნების ერებს, ყველა კეთილი ნების ხალხებსა და ადამიანებს, ყველას, ვინც იბრძოლებს ომის მახინატორთა წინააღმდეგ.

საბჭოთა საქართველოს ქარხნები და ფაბრიკები, შახტები და მაღაროები მეტი ნაყოფიერებით იმუშავებენ, როგორც ეს მოეწონებოდა დიდ სტალინს. კოლმეურნენი, აგრონომები, მემინდვრეები, მეველეები და მეტყეველები ისე მოუვლიან ჩვენს ვენახებს, ჩვენს ციტრუსოვანებს, ჩვენს ყანებსა და ტყეებს, ისე გულმოდგინედ და ბეჯითად, როგორც ეს გაეხარდებოდა დიდ სტალინს.

მემანქანეები, ინჟინრები, ხუროთმოძღვრები, მგლინავები, ელექტრომექანიკოსები, ფეიქრები, რკინიგზელები, დურგლები და ზეინკლები, პატიოსანი მშრომელები, ისე შეასრულებენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებას, როგორც ეს ეკადრება სტალინისადმი სიყვარულს.

ჩვენი სახელმწიფო საზღვრების გუშაგები, შინაური და გარეული მტრების მოთვალთვალენი ისე ფხიზლად დაიცავენ თავიანთ ქვეყანას, როგორც ეს დიდ სტალინს ჩვევოდა.

მოწაფეები და სტუდენტები, ჩვენი მომავლის იმედები, ისე ბეჯითად მოეკიდებიან თავიანთ საქმეს, როგორც ამას მოითხოვდა ჩვენი საყვარელი ძია სტალინი.

ქართველი მწერლები და მეცნიერები ისე ნათლად და გულმართლად იმუშა-

ვებენ, როგორც ამას გვიკარნახებს სტალინისადმი სიყვარული და პატივისცემა.

სტალინის ბიოგრაფია სისპეტაკის აუმღვრეველი წყაროსთავია, რომელიც უდიდესი შთაგონებით გაამდიდრებს არა მარტო ჩვენი ეპოქის მწერლების, არამედ მომავლის პოეტებისა და რომანისტების შემოქმედებასაც, რადგან სტალინი ისეთი თვალშეუწვდენი მწვერვალია, რაც უფრო შორიდან შეხედავენ მას, მით უფრო გაიზრდება მისი სიდიადე.

გარდაიცვალა სტალინი, მაგრამ მან თავის დიად საქმეთა განმგრძობად დატოვა უძლეველი კომუნისტური პარტია, თავისი მრავალნაცადი თანამებრძოლები, რომლებიც კომუნიზმის გამარჯვებამდე მიიყვანენ ლენინისა და სტალინის დიად საქმეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

დიდება სტალინს

★

რად შებარბაცდა წუხელ მნათობი,
რად მიელულა ვარსკვლავს თვალები,
კლდე — ქარიშხლების ორად გამპობი
რატომ გვიყურებს ფერნამკრთალები?

რატომ დადუმდა ბაღში ნიავი,
რატომ მინელდა ზღვების გუგუნი,
გზას თვითეული ადამიანი
რატომ მიჰყვება თავდაღუნული?

რატომ შეთრთოლდნენ ქვები, ლოდები,
რატომ ქვითინებს წყარო ანკარა,
ძაძითმოსილი ნეტავ დროშები
რად შრიალებენ გულმოსაკლავად?

ნუთუ შეჩერდა სუნთქვა სტალინის,
ჩაჰქრა მზე-კაცის თვალების ბრწყინვა?
არა! ისვენებს შრომით დაღლილი;
არ უძინია და ახლა სძინავს.

დიადო სტალინ, ქვითინებს, გესმის,
ომში დაღუპულ ცხრა შვილის დედა.
მის თვალებს ახლა მოაწვა ცრემლი,
როცა შეხედა შენს ძვირფას ცხედარს.

როდესაც ჩვმი ტიკტიკა შვილი
შენზე ლექსს ამბობს, უღვივის ლოყა.
თვალს რომ გაახელს ადრიან დილით,
მას როგორ ვუთხრა „სტალინი მოკვდა?"

ო, სტალინ, ნუთუ შეჩერდა გული,
ეს რა მწუხარე ხმები გაისმა.
მშრომელთა წინსვლით აღტაცებული
ხელს ულვაშებზე ვეღარ გადისვამ.

შენა ხარ ფუძე ჩვენი მიღწევის,
შენ გზას უნათებ კორეელს, ჩინელს.
შენ სიკვდილისგან ბევრჯერ გვიხსენი,
ჩვენ ერთხელაც ვერ გადაგარჩინეთ.

თვალცრემლიანი, დაღონებული,
ვით მზეს, შენს დიად სურათს
შევცქერით.
შენ ისე აწრთე ხალხების გული,
რომ, სტალინ, სულით არ დავეცემით.

მოკვდაო, არა, კვლავ თავს დაგვნათის,
წინ მიგვიძღვება დაუძლეველი.
მისი ძეგლია მზე-სხივმარადი
და დედამიწა თვალუწვდენელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასო გორგაძე

მის ნათელ ხსოვნას

★

სამგლოვიაროს მტკვარი რად მღერის?
რად დანისლულა მყინვარის მზერა?
ნუთუ იალბუზს ჩამოტყდა წვერი —
დიადმა გულმა შეწყვიტა ძგერა?

ვისაც ლენინის დროშა ნათელი
გამარჯვებული მაღლა ეჭირა,
ვინც ამოსუნთქვა უკანასკნელი
თავისუფლების საქმეს შესწირა;

ვინც დაგვიმარცხა მტერი მრავალი,
მჩაგვრელს ლახვარი გულში აძგერა,
ვინც გაგვიკაფა გზა მომავალის —
არა, სიკვდილი მისი არ მჯერა!

ვერ შევადარებ მას ზეცის ტატნობს,
ვერც მთიებს, ცაზე შუქანთებულებს,
მზე მარტო მიწის ზედაპირს ათბობს,
ის კი ბრძოლისთვის რაზმავდა გულებს!

მინახავს, მეხი მუხას რომ აპობს,
ხევს რომ წაგრაგნის ზვავი ქუხილით,
მაგრამ სად არის სიტყვა, რომ გვამცნოს
ქვეყნის უსაზღვრო გულის წუხილი?

რომელი ფერი, ჰანგი მგოსანთა
იმ დიდ სიყვარულს აჰკინძავს მთელად,
რომლითაც ხალხის გული მოსავდა
თავის მამას და საყვარელ ბელადს?

მაგრამ ამ გრძნობის გამოსათქმელად
ათასჯერ მეტი გმირობა გვმართებს,
შევფიცოთ მამას უკანასკნელად,
არ ვუღალატებთ მის დიად აზრებს,

რომ თავდადებით გავხდებით ღირსი
საქმის, რასაც მან შესწირა თავი,
მხოლოდ ეს საქმე იქნება მისი
სამარადისო ძეგლი უკვდავი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხარიზონ ვაჩნაძეშვილი

მზეკაცის სახსოვარი

★

გარდაიცვალა...
ხალხი ტირის, — მოიცვა გლოვამ,
მოკვდა მზეკაცი, სიყვარულით გულთა მპყრობელი.
სიბრძნით, გმირული თავდადებით ვინც მოიპოვა
მარადიული ბრწყინვალება ჩაუქრობელი.

უდიადესი გმირის გულმა შეწყვიტა ძგერა,
დადუმდა ბაგე, სიმართლის და სიბრძნის მეტყველი,
ხალხის გულიდან მომსკდარ კვნესით ცა დაისერა,
ისმის გოდება სევდის ცეცხლით გულდამსეტყველი.

ო, გლოვის ზარი აცახცახებს დედაბუნებას,
მთათა მწვერვალებს ჩაჰხვევია ნისლი მწუხარე.
გორის ციხესთან მტკვრის შემზარავ ადუდუნებას
მოსკოვისაკენ მიაქვს ქართლის გოდება მწარე.

— მოკვდა მზეკაცი! — ისმის ხმები მთასა და ბარში,
შოპენის ჰანგებს ზეცისაკენ ქარი მიარხევს.
— ძია სტალინი მომკვდარაო, — წარმოთქვამს ბავშვი,
ტირის და ცრემლით უსველდება ფერმკრთალი სახე.

გლოვაა ყველგან, თითქოს ცრემლით მზეც დაინამა,
გრძნობს, მისი ტოლის კვლავ დანახვა აწ აღარ ელის,
მთელი მსოფლიოს მშრომელებმა დაკარგეს მამა —
დიდი სტალინი მშობლიური და საყვარელი.

დაკარგეს გმირი, ტიტანური ცეცხლით გზნებული,
დიდი ბელადი, ალამდარი მილიონების,
ქვეყნად მონობის დასამხობად დაბადებული
ფოლადის კაცი, გენიოსი აზრის, გონების.

მისი ხმა ჰქქდა ყველგან, როგორც მეხის გუგუნი,
იგი სწვდებოდა შორეული უდაბნოს მიწას,
მან მილიონებს იმედებით აუნთო გული
ხალხთა მშვიდობის მესაჭედ და სიმბოლოდ იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლება მიანიჭა დაჩაგრულ ერებს,
აღორძინების სარბიელი მათში გაშალა,
სული ჩაუდგა უსიცოცხლო მთებსა და ველებს,
შუღლი და მტრობა ხალხთა შორის მოსპრ, წაშალა.

მუნჯს მისცა ენა, ბრმას აუნთო თვალი ნათელით
და მოუპოვა ჩაგრულ მონას უფლება კაცის.
დაიმორჩილა თვით ბუნება სასტიკი, მკაცრი,
გადაანათა ზეცა ბნელით გადანათელი.

მოკვდა მზეკაცი, მაგრამ უქრობ შუქად ანთია
მისი აზრების ელვარება სამარადისო:
მსოფლიოს ჩაგრულთ გაუთენებს იგი განთიადს,
ვინც ჩვენი აწმყო სილამაზის სხივით აგვივსო.

არა, არასდროს არ მოკვდება საქმე სტალინის,
გასალკლდევდება ხალხი გლოვა-ვაების დროსაც.
ბრძოლის ქარცეცხლში გმირთა ხელით გამოტანილი
არასდროს ძირს არ დაიხრება სტალინის დროშა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ ზედგინიძე

გორი მწუხარების დღეებში

★

თუნდება, მაგრამ მზე მაინც არ ჩანს. ჩამუქებული ღრუბლები მძიმე სევდას ხატავენ ცაზე. დროდადრო შემოუბერავს მყინვარწვერიდან მოვარდნილი, ტრიფონის ველზე ფრთაგაშლილი მარტის ცივი ქარი, შეიმართება, ყალყზე შედგება, თითქოს ლამობს ღრუბლები ჩამოხიოს, რომ მზე გამოაჩინოს, მაგრამ ტყვიასავით მძიმე და შავი ცა უცვლელი რჩება...

ხალხი თავდახრილი მიაბიჯებს, უზომო სიმძიმეს გრძნობს. მაღლა არ იხედება, აღარ ახარებთ ქალაქის გულთან აზიდული მთისა და ცის ფონზე ლამაზ ხარატულად აღმართული ციხის შეხედვა. აღარ ესმით ლიახვის მშფოთვარე შხუილი დედამდინარესთან შეხვედრის წამს, ხალხი ზღვად არის გადაქცეული და ღელავს მწუხარებაში...

წამოიშალნენ ადამიანთა მდინარეები ხელთუბნიდან, ხიდისთავიდან, ატენიდან, ტყვიავიდან, მეჯვრისხევიდან, სწორედ ისე, როგორც გაზაფხულობით იცის მოზვავება მთიურმა ნაკადებმა.

... და აი, აქ, პატარა ქალაქის გულში, პატარა, უბრალო სახლის ზღურბლთან, როგორც საყვარელ და სანატრელ ნაპირისაკენ, მოეშურება ხალხი.

დილაა, ღრუბლიანი, უმზეო დილა...

ძაძით მოსავენ ამ სახლს...

სამოცდაცამეტი წლის წინათ, შავბნელ დროში, აქ, ამ კერაში დაინთო ნაპერწკალი. ეს ნაპერწკალი ალად გადაქცა და როგორც დიდმა სინათლემ მთელ მსოფლიოს გადააშუქა.

შემზარავი ხმა გაისმა — ეს სინათლე ჩაქრაო!..

ხალხს არა სჯერა!

ხალხს კვლავ თვალწინ უდგას თავის სიყვარულში ამაღლებული მზეკაცი, რომელმაც ყოველ ადამიანს შეუქმნა დიდი და აზრიანი ცხოვრება, ვინც ყოველი ადამიანის გულის მესაიდუმლე და ხალხთა ბედნიერი ცხოვრების დიადი მშენებელი იყო...

მოვიდნენ თალხებში გამოწყობილი ქართველი დედები. უარშიო ლეჩაქებითა და შავ ხილაბანდებით შემოსილებს ჩიხტიკოპიდან ბრჭყვიალა შუბლის ქინძისთავები მოუხსნიათ... მგლოვიარენი არიან...

მწარედ ქვითინებს მოხუცი დედა ელისაბედ მამულაშვილი. ცრემლს ვერ იკავებს მარო შოშიტაშვილი. ერთხანს გულმოკლული შესცქეროდა ელისაბედ გვერდწითელი იმ ახალგაზრდებს, რომელნიც ბელადის სახლს ძაძებში ახვევდნენ, მაგრამ ველარ მოითმინა და მდუღარე ცრემლებით შესტირა მათ:

— რა მამა დაკარგეთ, შვილებო, რა მზრუნველი ადამიანი! ჩვენი ბელადის არე-მარეს არ უხდება ეს შავი ძაძები. სტალინს წითელი ფერი და გამარჯვება სჩვევოდა! ამ ბედნიერ სახლში ყოველთვის სასიხარულოდ ვიკრიბებოდით, ახლა კი სატირლად მოვსულვართ. ჩვენი ბელადის ფოლადის ჯანი დაჩაგრული ხალხის ზრუნვას მოხმარდა!...

დედები შევიდნენ ოთახში. მშობლიური თვალი მოავლეს იქაურობას...

აქ იზრდებოდა პატარა სოსო... გაახსენდათ მისი ბავშვობა... ბევრჯერ უთამაშნიათ ერთად ეზოში, აივანზე, ამ პატარა ოთახშიც. ახლა კი მოხუცი და მზრუნველი დედები გულდათუოქული არიან. გულში ეფერებიან, ეალერსებიან პატარა, გონებანათელ ბავშვს!

მარო შოშიტაშვილი მაგიდას მიუახლოვდა. მოგონებებში შეცურდა. ის ხომ სოსოზე ბევრად უფროსი იყო.

თვალწინ დაუდგა პატარა სოსო, რომელიც მაგიდას უზის და „დედაენას“ კითხულობს.

მარომ სანათს პატრუქი აუწია.

— კარგად გაინათე, გენაცვალე!.. — წაიჩურჩულა და ფიქრებში გართულს აკვანი წარმოუდგა თვალწინ. ფეხაკრეფით მიუახლოვდა. რამდენჯერმე დაარწია.

— იძინე ტკბილად! — დუდუნებდა მისი გული.

შებრუნდა და ფანჯარაში გაიხედა.

ზამთრის ყინვისგან გაძარცული ხეები დაეხატა თვალწინ. დაქროდა ქარი, ბოძებზე გადაჭიმული მავთულები ზუზუნებდნენ.

მზე კვლავ არა ჩანს...

მუქი ღრუბლები ისევ ტყვიასავით პირქუშად დასცქერიან დედამიწას.

შავად შესუდრული მსუბუქი მანქანა გაჩერდა სახლის კარიბჭესთან. სწრაფად იღება კარი და გადმოდიან დიდლილოელი კოლმეურნე ქალები—მაშო და ელენე ჯუღაშვილები. მათ ახალგაზრდა კოლმეურნეები უდგანან გვერდში. ხალხი გზას უთმობს მრავალი კილომეტრით დაშორებულ სოფლიდან ჩამოსულ მგლოვიარეებს. ისინი წინათაც ბევრჯერ ყოფილან აქ, მაგრამ მაშინ დიდი და ბრძენი ბელადის ნათელ სახლში გულმხიარულნი შედიოდნენ, ახლა კი ისინი ხალხის მწარე მოთქმამ შეაცილა.

მაშო ჯუღაშვილმა ათრთოლებულ ხელში კალამი აიღო, დააცქერდა ხალხის გულიდან ამომსკდარ გრძნობათა საუნჯის წიგნს და ჩაფიქრდა... აზრი არ ემორჩილება, თითქოს გულში რომელიღაც ძარღვი ჩაწყვეტოდეს, არ იცის როგორ გამოხატოს მძიმე განცდა..

მწარე ცრემლები დაეცა ქაღალდის ფურცელს და ზედ ამ ცრემლებზე დაწერა სასოების სტრიქონები:

„რა სიტყვები გამოხატავს ჩვენს მძიმე გულის წუხილს!.. ნუ თუ სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ჩვენს საყვარელ ბელადს?.. არა, ის ცოცხალია! მისი გენიის შუქით შთაგონებული კიდევ უფრო მტკიცედ გავწევთ მის მიერვე ნაჩვენები ნათელი გზით!“.

აი, წითელი ხელსახვევებით ალმოდებული სახეები შემოანათეს ბავშვებმა. უმწიკვლო ცრემლი ამშვენებს მათ წამწამებს. მწუხარედ უცემთ ჩიტივით გული. შესცქერიან ბელადის სურათს, მთრთოლვარე ბაგენი კი ფიცს დებენ:

„... მტკიცედ ვიბრძოლებთ ლენინ—სტალინის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისთვის. პირობას ვდებთ ისე ვიცხოვროთ და ისე ვისწავლოთ, რომ სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი გავხდეთ“.

მოდიან ადამიანთა ულეველი რიგები გარემო სოფლებიდან და აი, აქ, პატარა ქალაქის გულში, პატარა უბრალო სახლის კედლებთან, როგორც ძვირფას კვრასთან ფიცს სდებენ დაირაზმონ კომუნისტური პარტიის ირგვლივ.

ფიცს სდებს გორის ბამბეულის კომბინატის მქსოველი ქალი მარო ილურიძე და ხელთუბნელი კოლმეურნე ქიტა მერაბიშვილი, მეთერთმეტეკლასელი მოსწავლე ზამირა ციციბაძე და ახალგაზრდობის აღმზრდელი ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ხარაული.

ბელადის სახლის წინ ხალხის ზღვა მღელვარებს...

მათ შემზარავი ხმა მოესმათ—დიდი სინათლე ჩაქრაო!...

ხალხს ეს არ სჯერა!

ხალხს ისა სწამს, რომ სტალინი უქრობი სინათლეა, რომლის შუქითაც განათებულია ყოველი ადამიანის გული და გონება!

ხალხს ისა სწამს, რომ კომუნისტური პარტია სტალინის სამარადისო სიცოცხლისა და დიდების უკვდავი განსახიერებაა.

სტალინმა კომუნიზმის ხარაჩოებზე დატოვა საბჭოთა ხალხი, რომელიც მშვიდობის დროშით ხელში ააშენებს ამ დიდ ნაანდერძევს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

დედის ხმა

★

აკლდამებს ჩაწვდა მთაწმინდაზე ხმა ანთებული,
მძიმე გლოვის ხმა, ხალხის გლოვის ხმები მწუხარე;
წამოიშალნენ ქვეყნისათვის თავდაბდებულნი
და დედის ირგვლივ თავდახრილნი დადგნენ მდუმარედ
დედა კი ამბობს: — შვილო ჩემო, მზეო ქვეყნისა,
ხალხისთვის ზრუნვით სიყრმიდანვე ხარ აგზნებული.
ვერ მოიცალე, ვერ ჩამოხველ, ველარ მეღირსა,
რომ ამ შენს კუთხეს კვლავ ენახე გალიმებული.
შვილო, დაობლდა შენი მხარე, მკვდრეთით ამდგარი,
შენივე ღვაწლით სხივმოსილი, აყვავებული.
დედა ვარ, ჩემო ერთადერთო, და გულდამწვარი
ვარ უმძაფრესი მწუხარებით გაქვავებული.
ვიცი, უკვდავი შენი დროშა არ დაიხრება,
მარად წინ ივლის, ყველა ნაპირს გადაჭდობილი;
ახალ სიცოცხლის შემოქმედად ყველგან მიწვდება
შენი პარტია, შენი გულის ცეცხლით წრთობილი.
მე კი დედა ვარ, ერთადერთო, უმწვერვალესო,
მძიმე გლოვით და მწუხარებით გულავსებული.
მომხვიე ხელი, მძლეთამძლეო, რომ გეალერსო
და ლამპრად ვენთო, სადაც შენ ხარ დასვენებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ იმედაძე

აწ მზეს დაერქვას შენი სახელი

★

ვინ თქვა, მოკვდაო იმედი ხალხის,
სიკვდილს სად ჰქონდა ამდენი ძალა?
ჩამოახიეთ დროშებზე თალხი,
ძეკაცი იყო, მზედ გარდიცვალა.

სულ იბრწყინვალებ მნათობის დარად,
ვერ გაგეკაროს სიკვდილის ჩერო.
ლენინთან ერთად იცოცხლებ მარად,
ჩვენო მამავ და ბელადო ჩვენო!

ვიდრე შავი ზღვა არ დადუმდება,
ვიდრე ლაჟვარდებს მთიები შვენის,
ვიდრე დღეთა სვლა არ დამთავრდება,
არ დასრულდება სიცოცხლე შენი.

ვით ერთი კაცი, დავდგებით ისე
დიად საბჭოთა სამშობლოს ფარად.
შევმჭიდროვდებით კვლავ უფრო მტკიცედ,
შენი ნათელი გზით ვივლით მარად.

ძეკაცი იყავ, მზედ გარდიცვალე,
ისევ ჩვენთან ხარ, განა წახველი!
აწ მზის მაგიერ შენ იბრწყინვალებ,
აწ მზეს დაერქვას შენი სახელი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ისაკოვსკი

ჩვენ შევასრულებთ სტალინის ანდერძს

★

ყველა მოვკვდებით, — ვერ გავექცევით
დედაბუნების მაღალ ბრძანებას,
ვერ ვიფიქრებდით მხოლოდ ვერცერთი
დიდი სტალინის გარდაცვალებას.

მასთან, ბელადთან სიკვდილს რა უნდა!
თვალზე ცრემლი გვდის შეუშრობელი;
მისი სიკვდილით მიწა დაობლდა,
ხალხმა დაკარგა მამა მშობელი.

რაც გაგვაჩნია, სულ მისით არის,
რაც მოვიხვეჭეთ, რაც შევიძინეთ,
და რაგინდ ბევრი ცრემლებიც ვღვაროთ,
სტალინს ვერასდროს გამოვიტირებთ.

ვერ მოვიშორებთ გულზე კაეშანს
რაგინდ უზომო ცრემლად ვდნებოდეთ,
მაგრამ ხელები რომ ძირს დავუშვათ,
ჩვენ მისი ღირსი არ ვიქნებოდით.

ის გვასწავლიდა: — არ გავახაროთ
მტერი, ათასი ჭირიც გვეწვიოს,
თავი არასდროს ძირს არ დავხაროთ.
რა ფათერაკიც არ დაგვეწიოს.

და ჩვენც შევკრულვართ ურყევი ფიცით,
მის უკვდავ ანდერძს ჩვენ გავანაღდებთ;
რა ვალიცა გვაქვს, ჩვენ კარგად ვიცით,
ხვალ რა მწვერვალზე უნდა ავმაღლდეთ.

და სიტყვას ვაძლევთ დიად პარტიას, —
თუმც დღეს დაგვატყდა დიდი ავდარი, —
ვიბრძოლებთ, როგორც რკინის გვარდია
სტალინურ გზაზე მტკიცედ დამდგარი.

თარგმანი ირ. აბაშიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

უკვდავი

★

რა განსაცვიფრებლად დიადი და გმირული, რა განუზომლად კეთილშობილი იყო მთელი ცხოვრება დიდი ბელადისა, რომელმაც ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის დაუცხრომელ ბრძოლას, თითოეულ ჩვენთაგანზე ზრუნვას და ჩვენზე ფიქრს შეალია მთელი თავისი სიცოცხლე.

ჯერ კიდევ იმ ასაკში, როცა ყველა ჭაბუკი უდარდელად და უზრუნველად ცხოვრობს, სტალინმა თავისი მგზნებარე გული და გონება მიუძღვნა მშრომელი კაცობრიობის სამსახურს და დაიწყო მშფოთვარე ცხოვრება მებრძოლისა, რომ მშრომელი ხალხი გამოეხსნა მონობისა და ჩაგვრისაგან.

სტალინის თავზე მრავალმა ქარიშხალმა გადაიარა, მისი ახალგაზრდობის წლებმა უმეტესად დევნაში, გადასახლებაში, ციხეში გაიარა, მაგრამ ორსად და არასოდეს ბრძოლის ხალისი არ შენელებია და მისი მაღალი სულის ერთადერთი პირადი ბედნიერება და სიხარული მუდამ ის იყო, რომ განეგრძო ბრძოლა ბნელეთის წინააღმდეგ და ქვეყნად ნათელი დაემკვიდრებინა.

სტალინი გამოვიდა ხალხის გულიდან და ამიტომ იყო, რომ მასავით არავინ იცნობდა ხალხს, მის ფიქრებს, მის მისწრაფებებს. ამიტომ იყო, რომ ყოველი მისი აზრი, ყოველი მისი საქმე შეუმცდარი იყო და ყოველთვის გამარჯვებით მთავრდებოდა.

სტალინმა თავისი ცხოვრებით და მოქმედებით გვასწავლა, როგორ უნდა ბრძოლა და შრომა, როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო, როგორ უნდა ვიცავდეთ მას.

ჩვენთვის სტალინი იყო და რჩება წინამძღოლად კომუნიზმის დამკვიდრებისათვის.

კეთილი ნების ყველა ადამიანისთვის მთელ ქვეყანაზე სტალინი იყო და რჩება შუქურად, რომლისკენაც მიმართულია მათი ფიქრები.

ყველა დევნილი და ჩაგრული ერისათვის ის იყო და რჩება უდიდეს იმედად ადამიანური უფლებების და თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში.

სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა დაუშრეტელი წყაროა შემოქმედებისათვის. მას უმღეროდნენ და უმღერებენ ყველგან და ყოველთვის, დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ხალხების ენაზე და ამ სიმღერას დასასრული არასოდეს არ ექნება.

რამდენი წიგნი, რამდენი მხატვრული ნაწარმოებები მიეძღვნება მომავალში ამ დიდი, განუმეორებული ადამიანის ცხოვრებას! მე მეხარბება ბედი იმ მკითხველებისა, რომლებიც მომავალში არაერთ ნაწარმოებებს იხილავენ, სტალინის გენიით გაბრწყინვებულს და ამღერებულს! ამ წიგნებში ის მუდამ იქნება უდიდეს გამოსახულებად ადამიანის დანიშნულებისა და უმაღლესი მორალისა.

სტალინს ვუყვარდით ჩვენ და სტალინი განუსაზღვრელად გვიყვარდა და გვიყვარს ყველას.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო დაავადებული გულის შეცვლა სხვისი საღი გულით, ეჰვი არ შეიძლება გვქონდეს,

რომ მრავალი მილიონი ადამიანი შესთავაზებდა თავისას.

მოხდა ის, რაც არ ეგუებოდა ჩვენს გონებას. ჩვენმა დიდმა სამშობლომ, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, ყველამ, ვინც ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის იბრძვის, დაჰკარგა დიდი ბელადი, მშვიდობის მედროშე, დიდი სარდალი. შეწყდა ჩვენი მზრუნველი კეთილი მამის გულისცემა.

ძნელია ამასთან შერიგება, მაგრამ ვნუგეშობთ იმით, რომ ეს მხოლოდ ფიზიკური სიკვდილია. სტალინი მუდამ ცოცხალია ხალხის გულში, მისი სახელი უთვალავ საუკუნეებს გადაანათებს. ის უკვდავია და მარადი, როგორც მზის ელვარება და წყაროს დინება მიწის გულიდან.

ამ დიდი გლოვის დღეებში ჩვენ ყველანი ერთი გრძნობით ვართ გაერთიანებულნი მთელ მოწინავე კაცობრიობასთან, ყველა მებრძოლთან, ყველა ჩაგრულთან დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა ცხოვრობდეს ის — ეს არის სიყვარული სტალინისადმი, მისი საქმისადმი.

სტალინმა თავისი სიკვდილის წუთებშიაც კი მშრომელი ხალხის სამსახურში ჩააყენა თავისი თავი — კიდევ უფრო შეამჭიდროვა, დარაზმა და საძმოდ შეაფიცა ყველა.

უდაბნოები ბაღნარებად აქცია მისმა დიდმა აზრებმა, კიდევ მრავალი უდაბნო ამწვანდება მისი გენიალური გეგმების მიხედვით, მთელი ბუნება ადამიანის სამსახურში ჩადგება სწორედ ისე, როგორც მან დასახა და ყველგან და ყველაფერი, რასაც ის ფიქრობდა, საქმედ იქცევა. ხალხის სამსახურში ჩამდგარ მდინარეების ხმაურში, ჩვენი ყანებისა და ვენახების სიმწვანეში, ქარხნების გუგუნში, აკვანზე დახრილი დედის ტკბილ ნანაში, ჩვენი ცხოვრების ყველა გამოვლინებაში მუდამ გვესმოდა და მარად გავიგონებთ დიდი ბელადის ხმას, დიდი საყვარელი სტალინის გულისცემას.

ის ყოველთვის ჩვენთან იყო და სამუდამოდ ჩვენთან იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლოს აუგუსტო ლეონი

ის არ მომკვდარა, არა!

„ის არ მომკვდარა, არა!“
სიტყვებს იმედით მოქსოვილს
ქარბუქს გასძახის მოსკოვი.

„ის არ მომკვდარა, არა!“
თბილისში რომ თქვა მოსწავლემ, —
ცრემლები იყო მოწამე.

„ის არ მომკვდარა, არა!“
შორს როგორც გრგვინვა გაისმა
საბჭოთა მეფოლადის ხმა.

„ის არ მომკვდარა, არა!“
კოლმეურნის ხმა მქუხარე
ციმბირს მოესმა მწუხარეს.

„ის არ მომკვდარა, არა!“
სიტყვა, ვით ფიცი, დაიძრა,
გადასწვდა ტაშკენტს, სტალინგრადს.

„ის არ მომკვდარა, არა!“
იბრძვიან მტკიცე იმედით
მოხალისენი ჩინეთის.

„ის არ მომკვდარა, არა!“
ჰქუხს ვიეტნამის ძახილი,
როცა მტერს გმირავს მახვილი.

„ის არ მომკვდარა, არა!“
ანრი მარტენის სიტყვები
ციხეს ეხეთქა, ვით ქვები.

„ის არ მომკვდარა, არა!“
ხმა მისწვდა ღამით პარიზსაც
სწავლულის, ჯარისკაცისა.

„ის არ მომკვდარა, არა!“
რომაელ პოეტს, ინგლისელ
პასტორს სიტყვის აქვთ სიმტკიცე.

„ის არ მომკვდარა, არა!“
ბუდაპეშტს უხმობს ვარშავა,
სიმხნევის დროშა გაშალა.

„ის არ მომკვდარა, არა!“
დემოკრატიულ ბერლინის
მიწა ჰქუხს სხივმოფენილი.

„ის არ მომკვდარა, არა!“
ესმის ტირანას მწუხარეს,
პრაღა ხმას აწვდენს ბუქარესტს.

„ის არ მომკვდარა, არა!“
ნიუ-იორკს სწვდა ძლიერი
ხმა ყველა სინდისიერის.

„ის არ მომკვდარა, არა!“
მესმის... შენი ხმა სულ ღელავს,
სამშობლოვ, ვენესუელა.

„ის არ მომკვდარა, არა!“
მილიონები გრგვინავენ —
დროშები თავს დაბრწყინავენ.

„ის არ მომკვდარა, არა!“
ის არც მოკვდება არასდროს,
მის გზას პარტია განაგრძობს.

„ის არ მომკვდარა, არა!“
დიდებითმოსილ მის სახელს
ძაძა არ მოეკიდება...
ვიცით და უნდა ვიცოდეთ —
მზეს ბინდი არ ეკიდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სანამ ხალხი იცოცხლებს,
ისიც ცოცხალი იქნება.

„ის არ მომკვდარა, არა!“
მსოფლიო ხედავს ერთადერთს —
დიად საქმეთა შემოქმედს.

„ის არ მომკვდარა, არა!“
მან შექმნა მიწა მზიანი,
ახალი ადამიანი.

„ის არ მომკვდარა, არა!“
ააყვავილა მან მიწა,
ცაზე გაჰფანტა წყვდიადი,
წინ ვაჟკაცურად გაგვიძღვა,
გზები გაგვიხსნა დიადი.

„ის არ მომკვდარა, არა!“
სიღრმეში სწვდება მხნე გულებს —
სადაც მანქანა გუგუნებს.
მისი ღიმილით ელვარებს
ბავშვების მზერა მღელვარე.

„ის არ მომკვდარა, არა!“
ყველა მშრომელს და დაჩაგრულს
სიცოცხლის ძალა მან მისცა,
მონების თავისუფლება
მის უკვდავებად გადიქცა.

„ის არ მომკვდარა, არა!“
ყველგან, ყოველთვის ხალისით
მისი სახელი გაისმის.

„ის არ მომკვდარა, არა!“
მას მუდამ ხედავს თვალი —
ცოცხლობდა, ცოცხლობს, იცოცხლებს
ძვირფასი მამა — სტალინ.

თარგმანი ვასილ ლაფერაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლორთქიფანიძე

ბელადისადმი

★

თავი დახარეს დაუხრელმა ჩვენმა დროშებმა,
ეს შავი თალხი დროშებისთვის მწარე ცრემლია.
თავი დახარეს უძლეველმა სიმაგრეებმა,
თავი დახარეს... უეცარი ელდა სცემიათ.

თავდახრილები ვეთხოვებით ბელადს ტირილით,
ქარხნის საყვირნი შეცხადებით მძიმედ ყვირიან.
თავდახრილია ყველაფერი ირგვლივ ტკივილით
და მწუხარებით სტრიქონები თავდახრილია.

ცრემლმა უშველოს ეგებ ახლა გულთა წამებას,
ვიგლოვოთ იგი, ვინც მარადი შუქი გვიჩვენა.
მაგრამ შეჩერდით! არ ჰგავს ნამდვილ გარდაცვალებას,
ჩვენ გვჯერა წამით, დაქანცულმა გზად შეისვენა.

ის ჩვენთან არის, უფრო მაღლა წამოიმართეთ,
შენც, თავდახრილო, გაიმართე, ლექსის სტრიქონო,
როგორც აქამდე, ყველაფერში ვიყოთ ნათელი,
გამარჯვებათა საამაყო მარშით ვიქროლოთ,

ძირს დაუხრელი ზე ასწიეთ ჩვენი დროშები,
დროშებს ცრემლები შევუმშრალოთ — მოვხსნათ თალხები.
წამოიმართოს უძლეველი სიმაგრეები
მტერთა ბანაკში შიშის ზარის ხმათა დამრხევი.

მივყვეთ, ვაკეთოთ სასახელო ჩვენი საქმენი;
ჩვენი არხები, სასახლენი, ჩვენი ჰესები.
მტრებსაც სიკვდილის დავახუროთ მძიმე სარქველი.
დიად ქვეყანას შევეზარდოთ უჭკნობ ფესვებით.

მივყვეთ, შევებათ გადაუდებ საქმეს მადლიანს,
ბალჩა-ბაღებად ვაყვავებდეთ გამხდარ ტრამალებს,
ამას გვავალებს ხალხის გული, ბრძნული პარტია,
დიდი ბელადის უკვდავება ამას გვავალებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხრან მაჭავარიანი

მსოფლიოს ცრემლი

★

შემოეცალა დედამიწას სინათლე ვრცელი;
ერთხმად,
ერთბაშად,
ყოველმხრიდან დაიძრა ცრემლი;
ლიახვი,
განგი,
მისისიპი,
ხუანხე,
კონგო, —
ყველა მდინარე
მოაწყდა
მოსკოვს.
ცრემლის მორევში გლოვის ზარებს აყლერებს კრემლი,
ტირის პლანეტის ყველა მშრომელი;
ვერ განასხვავებ:
— რომელია ქართველის ცრემლი,
— რუსის რომელი?!
— უყვარდა ხალხი,
ყველა ერის სიკეთე სურდა;
კაცი თუ იყო ვინმე,
კაცი
აი
ის
იყო!
იყო და არის გაზაფხულში სტალინის სუნთქვა;
სტალინს უკვდავყოფს სტალინი თვითონ!
მოკლედ:
ყველა და ყველაფერი, —
კარგი რაც არი;
ეს არის არხი,
ქარხანაა,
ქუჩა თუ ხიდი,
ყანა არი თუ არი დიდი ცოდნის ტაძარი, —
ყველაფერია: —
— სტალინი დიდი!
ხალხზე ზრუნვაში დაიხარჯა სიცოცხლე ვისიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი სახელიც ჰფენს სინათლეს
კიდითიკიდე;
ყველგან,
ყოველდროს იცოცხლებს, ვიცით,
კაცობრიობა არსებობს ვიდრე.

ვიცი:
პარტიას უანდერძა სტალინმა სითბო,
ვიცი:
პარტიას უანდერძა სტალინმა გული;
ვინც უნდა იყოს,
ჩვენში
ვისაც არ უნდა ჰკითხო;
გეტყვის:
სტალინმა
მისახსოვრა
ეს გაზაფხული!

მიხეილ მრევლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლოვა რუსთავში

★

ცივი დღე იყო. სუსხიანი. გაზაფხულს პირი არ უჩანდა. მზე თავს ვერ აღწევდა მარტის ცვალებად ცას. სადღაც ტრამალებში ამოვარდნილი ქარის უცაბედი ტალღა კვნესით მისდევდა მავთულებს და სამგლოვიარო ჰანგებს ჰაერში ფანტავდა.

სევდიანად შრიალებდნენ შავარშიამოვლებული, თავდახრილი დროშები. ღრუბლებიდან გამომკრთალი მზე ათასში ერთხელ თუ ააფერადებდა მათ, ისიც ცივად და უნდოდ.

გულჩათხრობილი და შუბლშეკრული ხალხი ჩუმად იკრიბებოდა ახალი ქალაქის ახალ მოედანზე. იკრიბებოდა, რომ კიდევ ერთხელ გამოეთქვა თავისი უსაზღვრო მწუხარება.

ხმაამოუღებლივ მოსდევდა ქუჩებს ადამიანთა ცოცხალი ნაკადი. მოედანი ხალხით ივსებოდა. მოდიოდნენ ქართული ფოლადის ცნობილი მდნობელები. მოდიოდნენ მილნამზადის საამქროს ოსტატები, სოციალისტური რუსთავის სახელოვანი მშენებლები, რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის მოწინავე მუშები. მოდიოდნენ მასწავლებლები და მოწაფეები, მოხუცები და ახალგაზრდები. დიასახლისები და ქალაქში სტუმრად ჩამოსული მოქალაქენი.

ფართო მოედანი ყველას გულჩათხრობილი სიჩუმით ხვდებოდა. გარშემო მხოლოდ გულამომჯდართა ოხვრა-ღა ისმოდა.

გლოვობდა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი სტალინის სიკვდილს, ...ლოვობდა ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქი თავისი მშობლის გარდაცვალებას.

ყველა იქ მყოფთ უნებლიეთ აგონდებოდათ გასული წლის ივლისის თვის მზიანი დღე.

იმ დღეს ამავე მოედანზე სადღესასწაულოდ ფრიალებდა დროშები და საზეიმოდ ახმიანებული ხალხი მხურვალე ტაშით ხვდებოდა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ამხანაგი სტალინის საპატიო სახელის მინიჭების ცნობას.

რუსთავის მოწინავე ადამიანები ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ. მათი ხმა ფოლადისებურად ჟღერდა. ისინი ფიცს აძლევდნენ ბელადს და მტკიცედ აღუთქვამდნენ მას, რომ მუდამ მაღლა ატარებდნენ საბჭოთა მეტალურგების დროშას, კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა საამაყო სახელს.

დიდი მონდომებით ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს რუსთაველი მეტალურგები. იწრთობოდნენ სოციალისტურ შრომაში მარტენის ოსტატები — ვ. გიგიბერია და გ. სიგუა, ცნობილი მეფოლადეები — შ. კუხალეიშვილი და გ. ბერეკაშვილი, მგლინავები — ი. მეტრეველი და ბ. კერვალიძე, მშენებლები — ა. წიკლაური და კ. ლიხოტა. მაგრამ ისინი გამონაკლისი როდი იყვნენ წარჩინებულთა შორის. მათი რიგები ახალ-ახალი ნაკადით ივსებოდა. მათი მიღწევები საქვეყნო საკუთრება ხდებოდა. ერთსულოვნად მუშაობდა რუსთაველთა მრავალათასიანი კოლექტივი. ახარებდა მათი გამარჯვება ხალხს, ბელადს და პარტიას.

ულრუბლო ცას საავდრო პირი არ უჩანდა...

მაშ რად მოიღრუბლა უეცრად ცა. საიდან მოიტანა ასეთი გულშემზარავი და დაუჯერებელი ამბავი მავთულებზე ატირებულმა ქარმა. როგორ დაარხია რადიომიმღებმა დიდი ბელადის ავადმყოფობისა და გარდაცვალების ხმა.

დაუჯერებელი მოხდა. ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოაცალა საბჭოთა ხალხს ყველაზე საყვარელი და ძვირფასი ადამიანი. ადამიანი, რომელსაც ყველა საბჭოთა მოქალაქე თავის საკუთარ სუნთქვას მისცემდა უყოყმანოდ, თავის საკუთარ გულს მისცემდა დაუფიქრებლად.

გლოვის ზარივით დაუარა ამ ამბავმა ქარხნის ბუმბერაზ საამქროებს, ხარაჩოში ჩასმულ შენობებს, მუშათა უბნებს და მოედნებს.

უსაზღვრო იყო ახალგაზრდა ქალაქის გლოვა.

ბელადის შთაგონებამ დაბადა რუსთავი და ბელადის ზრუნვამ გააკაჟა, დაავაქკაცა. ხუთი წლის რუსთავმა ათასწლოვან ქალაქებს და დაბებს გაუსწრო. ამ უჩვეულო ამირანმა სიყრმიდანვე კვნეტა დაუწყო მადანსა — და ფოლადს ჩამოსხმა.

მშენებლობის პირველი დღიდანვე ქალაქის მშრომელებს თავს დასტრიალებდა სტალინის ზრუნვა და მისი ამაგი. რუსთავი მთელი საბჭოთა ხალხის საზრუნავი გახდა: მოსკოვიდან, შორეული სოლიკამსკიდან, ლენინგრადის ქარხნებიდან, ურალიდან, სვერდლოვსკიდან, კრამატორსკიდან, დნეპროპეტროვსკიდან თუ ჩელიაბინსკიდან შეუწყვეტელი ნაკადით მოდიოდა რუსთავისაკენ ქარხნის სხვადასხვა ნაწილები, რთული ტექნიკური მოწყობილობანი და ელექტროდანადგარები.

კრასნოიარსკის, ტაშკენტის და ირკუტსკის ქარხნები დაკვრითი წესით ასრულებდნენ რუსთავის დაკვეთებს.

დღითიდღე იზრდებოდა ქარხნის ბუმბერაზი საამქროები. შენდებოდა სახლები, ქუჩები, მოედნები. იღვიძებდა საუკუნოებით მიძინებული უდაბნო, ხორშაკისა და მგლების სათარეშო ველი. ემორჩილებოდა ბუნება საბჭოთა ადამიანის ნებასა და დიდი სტალინის შთამაგონებელ ძალას.

მძიმე იყო მშენებლობის პირველი წლები ამ უკაცურ და მიუსაფარ უდაბნოში. ტრამალების ერთადერთი ბატონ-პატრონი თმაგაბურძგნული ქოფაკივით გაანჩხლებული ქარი, ბრაზმორეული ღრენით შეხვდა ხე-ტყით დატვირთულ საბჭოთა პირველ ეშელონებს.

მატარებლიდან გადმოსული მუშების თვალწინ შემაზრზენი ხრიოკები გადაიშალა. ტრიალ ველზე თვალს არაფერი ახარებდა. მზისგან გადამწვარ უდაბნოში კუდიანი ქარი დაჰქროდა და მშენებლებს გაცხელებულ ქვიშას აყრიდა პირსახეში. სუნთქვა უჭირდა ადამიანს.

ზამთარი აქ კიდევ უფრო მკაცრი აღმოჩნდა. ცხელი ქარი ცივმა შეცვალა, მტვერი ჭყანტმა და სინესტემ. აყალო მიწის ტინიანში მანქანები ვერ გადიოდნენ. იარაღი ლაფში იფლობოდა, მიწის მთხრელები, დურგლები და კალატოზები ძლივს უმკლავდებოდნენ ავდარს და ქარს.

ძნელი იყო მკაცრ ბუნებასთან ბრძოლა-ჭიდილი, მაგრამ საბჭოთა მშენებლები სიძნელეებს არ შეუშინდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ამ ქალაქს კომუნიზმის უდიდესი ხუროთმოძღვარი დიდი სტალინი აშენებდა.

ლენინ-სტალინის ცხოველმყოფელი იდეებით აღზნებული მშენებლები გეგმავდნენ ქალაქს, საამქროებს, ხიდებს და გზებს. სიცივისაგან გათოშილი, ჯარისკაცის ფარაჯაში გამოხვეული, ომგადახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილი ვაჟკაცები ასუფთავებდნენ საშენებლო მოედნებს და თხრიდნენ საძირკვლებს, ასწორებდნენ ღრეჩოსა და კლდეს, გაჰყავდათ გზები, აგურს აგურზე ადებდნენ და აგებდნენ ქარხნის მომავალ საამქროებს, მუშათა ლამაზ სახლებს, მრავალბინიან შენობებს და მწვანით მორთულ სასპორტო მოედნებს.

დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე ისმოდა გამოცოცხლებულ უდაბნოში გრგვინვა აფეთქებული მიწისა, ქოთქოთი სამშენებლო მანქანებისა, ღრჭენა მიწისმთხრელი ვეშაპებისა და ჭრიალი მძლავრი ამწეებისა.

ასობით ბრუნდებოდნენ კადრები რუსეთში და უკრაინაში სიყვარულით გამოზრდილი ქართველი მეტალურგებისა. სამშობლოში დაბრუნებული, ფოლადისმდნობელი ახალგაზრდა ოსტატები თვალწინ აღიმართა კორპუსები მეტალურგიული გიგანტისა, რომელსაც ხალხმა საყვარელი სტალინის სახელი უწოდა.

აქეთ მოისწრაფოდნენ კოლმეურნე ახალგაზრდები, რომელთაც სამშენებლო ტექნიკის დაუფლება სურდათ და სოციალისტური ქალაქის მშენებლობაში მონაწილეობის მიღებას ლამობდნენ.

არასოდეს არ დაავიწყდება თერჯოლის რაიონიდან ჩამოსულ ალექსანდრე დათიაშვილს 1949 წლის აგვისტო. კოლმეურნეთა წრიდან გამოსულ ახალგაზრდას სურდა ახალ საქმეს დაუფლებოდა და რუსთავის მშენებლობაში თავისი წვლილი შეეტანა.

მატარებელი რუსთავის პატარა სადგურთან შეჩერდა. ვაგონიდან ოცდაექვსიოდე წლის ვაჟკაცი გადმოხტა. მას ხელში ერთი პატარა ჩემოდანი ეჭირა.

მატარებელმა გზა განაგრძო.

ახალგაზრდა კაცი დინჯად დაჰყვა ხარაჩოებში ჩასმულ შენობების გაუთავებელ წყებას. საამქროების ვეება კონტურებს. მგზავრი მოჯადოებულივით გაჰყურებდა მშენებლობის ხმაურით აგებგაშებულ ქალაქს. მას ჯერ ბევრი რამ არ ესმოდა.

კადრების განყოფილებაში მისულმა ახალგაზრდამ თავისი სურვილი განუცხადა უფროსებს. დათიაშვილი მექანიკურ საამქროში გაგზავნეს შეგირდად.

სწრაფად დაეუფლა მონდომებული ახალგაზრდა ზეინკლის ხელობას და ჩქარა ქარხნის მშენებელთა მოწინავე რიგებში ჩადგა. მის წინ გადაიშალა იმედიანი მომავლით აღსავსე მჩქეფარე ცხოვრება.

ალექსანდრე დათიაშვილი წარმოების რაციონალიზატორი გახდა. მისი წინადადებით საამქროებში კომპლექსური ბრიგადები შეიქმნა. გეგმის ორმაგმა შესრულებამ ყოველთვიურად სოფელ ოქტომბრის ყოფილ კოლმეურნეს სახელი გაუთქვა. წარმოებაში გამოწრთობილი ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში შევიდა და ლენინ-სტალინის იდეების აქტიური მქადაგებელი გახდა.

ჩქარა ვაჟკაცი დაცოლშვილდა. კეთილმოწყობილი ბინა მიიღო ახალგაზრდა სპეციალისტების ქუჩაზე და ქალაქ რუსთავის მკვიდრთა სიაში ჩაეწერა.

ასე გადაეჭდო ახალგაზრდა ოსტატის ბედი ახლადშობილ ქალაქის ბედს. ასე დაიბადა დიდი სტალინის შთაგონებით ნაკარნახევი ქართველ მეტალურგთა სოციალისტური ქალაქი და ამ ქალაქის მოწინავე ახალგაზრდობა.

დათიაშვილი როდი არის გამონაკლისი. ის ერთია მრავალთა შორის — რუსთავმა რომ დაბადა და დაავაჟკაცა.

აი ქართული ფოლადის პირველი გამომდნობი შალვა კუხალეიშვილი, რომელმაც 1950 წლის აპრილში რუსთავის მარტენიდან პირველი ფოლადი მიიღო და კომუნიზმის მშენებლობას კიდევ ერთი აგური შეჰმატა. აი საქვეყნოდ ცნობილი კალატოზი ლიხოტა, რომელ-

მაც რუსთავში პირველი სახლის პირველი საძირკველი ჩაყარა. აი დურგალი სინჯიკაშვილი, რომელმაც თბილისის გარეუბნიდან რუსთავში გადაინაცვლა და სოციალისტური ქალაქის სტახანოველთა რიგებში ჩადგა.

ისინი ახლა ათასობით მოდიან მოედანზე, რომ პატივი სცენ დიდი ბელადის ხსოვნას. რუსთაველებმა კარგად იციან, რომ მათი დაბადება, მათი სიცოცხლე და გამარჯვება სტალინის უკვდავ სახელთანაა დაკავშირებული.

მათ იციან თუ როგორ უნდა უპასუხონ კარს მომდგარ უბედურებას საბჭოთა ადამიანებმა, როგორ უნდა გაიკაჟონ გული, რომ დარდმა არ ჩაჭკლეს სტალინელი მებრძოლების ნება-სურვილი.

მათ ახსოვთ როგორ ვაჟკაცურად უმკლავდებოდა ყოველივე განსაცდელს დიდი სტალინი. მათ ზეპირად იციან სტალინის ფიცი ლენინის ცხედართან.

იციან ეს და ამიტომ იყო, რომ ახალგაზრდა მეფოლადე გრიგოლ ბერეკაშვილი, რომელიც საბედისწერო დღეს მარტენის ღუმელთან იდგა, ვერ მოსტეხა კარს მომდგარმა უბედურებამ. მან დარდი გულში ჩაიკირა, ცრემლი დამალა და ბელადის იდეების უკვდავსაყოფად ფოლადის ახალი ზოდები ჩამოქნა, იცოდა გრიგოლმა, ნამდვილად იცოდა, რომ ბელადი მხოლოდ ამას მოუწოდებდა, მის მიერ ნაწრთობ ახალგაზრდას.

სუსხში იწურებოდა ცხრა მარტის დილა. სამგლოვიაროდ განწყობილ მოედანს თანდათან ემატებოდა ხალხი. ყველა, ვინც კი ცვლაში არ იყო, მოედნისკენ მოისწრაფოდა. გულს სახლში არ ედგომებოდა. ყველას უნდოდა სიმწუხარის ამ მძიმე წუთს ტოლმეგობრებს მხარით მხარში ამოსდგომოდა.

გულჩათხრობილი უსმენდა ხალხი სამგლოვიარო მიტინგზე გამოსულ ამხანაგებს, უსმენდა ორატორთა ამაღელვებელ სიტყვებს და ამ მძიმე წუთებში კიდევ უფრო იზრდებოდა ნაკადი ხალხის ბელადისადმი დაუშრეტელი სიყვარულისა და გრძნობა-[illegible]-დანაკლისისა.

ბიბლიოთეკა

მიტინგზე გამოსული ამხანაგები მოუწოდებდნენ ამხანაგ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე კოლექტივს და სოციალისტური რუსთავის მშენებლებს, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმულიყვნენ ამ მძიმე წუთებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო და თავისი უანგარო შრომით კიდევ უფრო განემტკიცებინათ კომუნიზმის მშენებლობის ცხოველმყოფელი იდეის უშრეტი წყარო — საბჭოთა ქვეყნის ძლიერება.

ახლოვდებოდა წუთი განშორებისა.

მოედანზე შეკრებილი ხალხის მღელვარე ფიქრი მოსკოვისაკენ მიქროდა. მიქროდა იქით, სადაც დიდი ბელადის ძვირფასი კუბო ეგულებოდა. მიისწრაფოდა წითელი მოედნისაკენ, სადაც მოსკოვის მშრომელები მთელი საბჭოთა ხალხის სახელით საყვარელი სტალინის ნეშტს ეთხოვებოდნენ.

რადიო წითელი მოედნიდან სამგლოვიარო მიტინგს გადმოსცემდა. ქვეყანა უსმენდა ამხანაგ მალენკოვის, ამხანაგ ბერიას და ამხანაგ მოლოტოვის მღელვარე სიტყვებს და გრძნობდა, რომ მონოლითური მთლიანობა კომუნისტური პარტიისა და სტალინური მეგობრობა საბჭოთა ქვეყნის ერებისა კომუნიზმის დიად დროშას საბოლოო გამარჯვებამდე მიიტანდა, რომ კარს მომდგარი გასაჭირი სტალინის მიერ გამოზრდილ ხალხს კიდევ უფრო აფოლადებდა.

თბილისიდან მოვარდნილმა ზარბაზნების სალუტის ხმამ შეარხია დროშები და გულსაკლავმა საყვირებმა ცას შესტირეს დანაკლისი.

გაირინდა წარსულში ბევრი უბედურების მნახველი ბოსტანქალაქი.

უჩვეულოდ დადუმდა დამდნარი ფოლადივით მუდამ მჩქეფარე მეტალურგთა ქალაქი რუსთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობაში გაიყინა თვალუწვდენელ საამქროებში ჩამწკრივებული ვეება დაზგები. ქანდაკებასავით გაშეშდნენ დაზგებთან მდგომი მგლოვიარე ოსტატები.

ხუთი წუთით შეჩერდა ქარხნები.

ხუთი წუთით შესწყვიტა მაჯისცემა სიცოცხლემ.

არაფერი არ არღვევდა ამ სამგლოვიარო სიჩუმეს. მხოლოდ მარტენის ღუმელები გუგუნებდნენ გაბმით და ყრუდ, თითქოს ჯავრობდნენ, რატომ ჩვენც არ გაგვაჩერეთ, რატომ ჩვენც არ დაგვადუმეთო.

... და კიდევ ისმოდა რადიომეთხრობელის სევდიანი ხმა. უსმენდა ხალხი ამ ხმას და გრძნობდა, როგორი მოწიწებით ასწიეს ძვირფასი კუბო დიდი ბელადის თანამებრძოლებმა, როგორ შეასვენეს მავზოლეუმში და როგორ მიემატა უძვირფასეს ლენინის სახელს მარმარილოზე ამოჭრილი უძვირფასესი სტალინის სახელი.

გრძნობდა ხალხი, როგორი მტკიცე და შეუპოვარი ნაბიჯით ჩაუარეს საბჭოთა მებრძოლებმა მავზოლეუმს.

სევდიანი სიმფონია შრომის წარმტაც ჰიმნს შეუერთდა. სიცოცხლისა და ბრძოლის მაუწყებელი ჰიმნი მალამოსავით მოედო დაკოდილ გულს.

შეირხა მგლოვიარე ხალხი. კვლავ დაიძრა ცხოვრება დიდი სტალინის ნაკვლევი გზით.

დაუბრუნდნენ რუსთაველი მეტალურგები მარტენის ღუმელებს და დაზგებს. დაუბრუნდნენ ერთი სურვილით და ერთი დიდი მონდომებით: ქვეყანას მისცენ მეტი ქართული ფოლადი და თავისი დაუღალავი მუშაობით საშვილიშვილოდ ადიდონ უკვდავი სტალინის დიადი სახელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარლამ ჟურული

სტალინის უკვდავება

★

მიმძიმს სიკვდილზე ლექსის გამოთქმა,
სიტყვა გამირბის, ენა დამება,
დიდია ხალხის გლოვა და მოთქმა,
რომ გვირგვინებში წევს უკვდავება.

მზემ არ ინდომა თვალის გახელა,
როცა კუბოში მზეკაცს ხედავდა,
ძაძით შემოსა ცამ ცისარტყელა,
შვიდფრად ნათებას ცა ვერ ბედავდა.

ვერ დავიჯერეთ ბრძენის სიკვდილი,
გორს მივაშურეთ, შევტირეთ ლიახვს;
წყალსაც ტირილი სურდა იმ დილით,
— სოსო არ გვყავსო! — უმხელდა ნიავს.

მისგან ვიყავით ჩვენ გულმტკიცენი,
ვისაც მსოფლიო გულში ეტია.
მაგრამ... ვაი, რომ ველარ ვიხსენით,
გაზაფხულს სუნთქვა შეუწყვეტია.

სიცოცხლეს თვალი ვინ დაუხუჭა!
ვინ გაიგონა სიცოცხლის ძილი!
გმინავდა გორის ყოველი ქუჩა:
— ვიტიროთ მამა, დავკარგეთ შვილი!

არწივის გვერდით არწივი მიწვა,
მყინვარის თოვლი თმაში ერია,
მის უკვდავებას სიცოცხლე იცავს,
სიკვდილი სიბრძნეს ვერ მოერია.

განთიადივით ქვეყნად ინათებს
მისი დროშა და ბრძნული სახება.
ძეგლად ავუგებთ ახალ გიგანტებს,
ათას თაობებს შეენახება.

გული დასეტყვა მუხის დაცემამ,
ჭირს გავუმაგრდეთ, ცრემლი გვეყოფა.
სტალინის ხსოვნის პატივსაცემად
კომუნიზმისკენ გვიხმობს ეპოქა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სამხარაძე

მარად ცოცხალი სიბრძნე

★

სიმართლის კაცო, სინათლის კაცო,
კაცო კი არა... თვით მზეევ დიადო!
ეს რა თავზარი დაგვცა რადიომ,
მდუღარე ცრემლი ქვასაც კი ადნობს.

ახლა ვიგრძენით, გულს ტრფობით სავსეს,
რა მწუხარების ძალა ჰქონია...
ძვირფასო, შენზე მზრუნველი მამა
კაცობრიობას ჯერ არ ჰყოლია.

დიად ბრძოლებში ჩვენს გმირ მეომრებს
ლენინის წმინდა დროშით ჰფარავდი.
სიმხნევის მამა, ფოლადის კაცი
ჩვენზე ზრუნვაში გაჭაღარავდი.

გფიცავთ — ვიქნებით მუდამ ერთგულნი
შენი საქმისა, შენი მიზნისა,
გფიცავთ — ვიქნებით მტკიცე მებრძოლი
მშვიდობისა და კომუნიზმისა.

გფიცავთ — დავიცავთ სტალინურ ძმობას,
ყველა შენს სიტყვას გულში ვატარებთ,
გფიცავთ — არ დავხრით ნაომარ დროშას,
ბრძოლის ცეცხლში რომ გამოატარე.

გფიცავთ—ვიქნებით მუდამ ერთგულნი,
შენ რომ აანთე, იმ დიდი მზისა,
გფიცავთ — ვიქნებით მარად ერთგულნი
მარად ცოცხალი შენი სიბრძნისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲡᲔ ᲛᲐᲜ ᲘᲠᲘ

ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

★

ის ავად არის, მძიმე ავად, ეს სამი სიტყვა
გულში ჩაგვესო მწუხარებით, როგორც მახვილი.
შეძრწუნდა ხალხი, სულში ჩადგა სუსხი და ყინვა,
და ყურს ვუგდებდით ყოველ წუთში ჩვენ თავდახრილი,
თუ როგორ მძიმედ,
როგორ სუსტად
უცემდა გული,
ჩვენს დიად სტალინს...
და ვიდექით გაოცებული.

დიდო ბელადო, მწუხარებით ავსილი თასი
ჩვენ გამოვცალეთ და ამ მძიმე უბედურებით
აქ, კორეაშიც, გვიკვდებოდა ჩვენ შენი წასვლით
შენგან ნაწრთობი, რწმენით სავსე, მტკიცე გულები.

შენ აღარა ხარ,
მზე ჩაგვიქრა და სევდით ვშფოთავთ,
მაგრამ წუხილშიც არა ვკარგავთ მხნეობას, ძალას.
დღეს უფრო მაგრად ხელთ გვიჭირავს ჩვენ შენი დროშა,
მამულისათვის შეუპოვრად რომ ვიბრძვით ახლა.

ამ თავზარდამცემ,
გულისმომკვლელ უბედურებით,
მწარე წუთებშიც დაფანტულნი როდი დაგვტოვე.
შენ ისე წახველ, რომ ჩვენ, მტერზე შემართულები,
დაგვაწყვე მწყობრში რომ არ გვეგრძნო დღეს სიმარტოვე.

შენ არ მომკვდარხარ,
ჩვენ შენს სიტყვებს აქ კვლავაც ვისმენთ,
ჩემს ქვეყანაში სად დაზგები მიწისქვეშ გრგვინავს,
თვალწინ გვიდგია შენი სახე დიადი ისევ,
და ყოველ წუთში ბრძოლის ველზე მტარვალსა ვგმირავთ.

კვლავ შენი შუქი,
შენი რწმენა გვინთია თვალში,
და ჩვენი გლეხიც გამოცდილი, მტკიცე მარჯვენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მარცვალს აგდებს სისხლით მორწყულ
ჩვენს მიწის კვალში,
რომ ეს მარცვალი ამოვიდეს მზედ გამარჯვების.

აქ ფხენიანის თავზე ახლა კვლავ ბრწყინავს დროშა —
დროშა, ბელადო, შენი სიბრძნით განათებული,
აქ ჩემს მშობლიურ, გაუტეხელ ჩემს კორეაში
კვლავ სიცოცხლისთვის ვიბრძვით, ვიბრძვით გააფთრებული.

თარგმანი **შალვა ფოჩრჩხიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე სიმონოვი

როგორც თქვენ გვასწავლიდით

★

საუბედუროდ, ვერ მოვძებნე სიტყვა იმგვარი,
გადმოსცეს დარდი, მწუხარება დაუსაბამო,
ვერ გამცნობთ სიტყვა ქვეყანაზე ვერავითარი,
როგორ დავმწუხარდით, ამხანაგო სტალინ, თქვენ გამო.

ჭირისუფალი ხალხი გლოვობს მკერდდასეტყვილი,
მწუხარებისგან დედამიწაც გაჭალარავდა,
მაგრამ უმძიმეს წუთსაც განა ხელდაკრეფილნი
შევხვდებით? — ასე გვასწავლიდი, მამავ, მარადჟამს.

ნუ დაიდარდებ, არ დაგვტოვე დასადარდებლად,
ჩვენ სტალინურად — მხოლოდ საქმით, განა სიტყვებით
მოყვრის სალხენად და მტრის თვალის დასაბრმავებლად,
დავადასტურებთ თქვენგან როგორ ვართ დაზრდილები.

ძმები — ბრძოლაში უფრო მჭიდრო შეკავშირებით
კაცობრიობას დავუმტკიცებთ ჩვენ მაგალითით,
რომ დიდ მიზნისთვის არაფერს არ შევუშინდებით,
როგორც ლენინი გვასწავლიდა — თქვენ გვასწავლიდით.

ვერ დაგვაჩოქებს, სტალინ, ძალა ვერავითარი,
განა ამაოდ გაგვიკაფე ქვეყნად გზა დიდი,
შვუდრეკელნი უნდა ვიყოთ, როგორც გვითხარი,
დინჯნი, მტკიცენი, სტალინ, როგორც თქვენ გვასწავლიდით.

და სტალინური რკინის ცეკა, მხნედ გამოზრდილი,
რომელსაც ხალხი ჩააბარეთ მამის იმედით
კომუნიზმისკენ წაგვიძღვება ძლევამოსილი,
წინ გაგვიძღვება თქვენი შუქით და მითითებით.

თარგმანი **ოთარ ჭელიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჩრდილ სულაქაური

ის ცოცხალია

★

ახლა ქუჩებში სიწყნარეა
სრული სიწყნარე.
აჰა, თენდება!
გათენებას უხმოდ ხვდებიან.
ღრუბლიანი ცა
დაცემულა დაბლა მიწამდე,
თითქოს ქვეყანას
შავ არშიად შემოვლებია.

დაწყნარდი, გულო,
შენგან მხოლოდ სიმშვიდეს ვითხოვ,
ო, რომ გვხედავდეს,
უსათუოდ დაგვემდურება,
ჩვენ ხომ სტალინმა,
მზემ და მამამ,
გვასწავლა თვითონ,
თუ როგორ უნდა
ავიტანოთ უბედურება.

დამშვიდდი, დედა!
ვიცი,
ცრემლი არ გსურს მიჩვენო,
თვალებზე გატყობ,
ჩემთვის რაღაც გინდოდა გეთქვა.
არ დაიჯერო,
არასოდეს არ დაიჯერო,
თითქოს სტალინის
გულმა უკვე შეწყვიტა ფეთქვა.

აი, გასინჯე ჩემი მაჯა,
ჩემიც და სხვისიც,
მე დავუძახებ მილიონებს,
გასინჯე,
მიდი!

თუ შეწყდა ხალხის მაჯისცემა, —
შემწყდარა მისიც,
თუ არა,
მაშინ
კვლავ ზეიმობს სიცოცხლე დიდი.

ხომ ვერ ვიფიქრებთ
ვერასოდეს უმზეოდ ყოფნას,
ნათელი სხივი სიცოცხლისა
გაჰქრეს,
გათავდეს?...
აი, სტალინი ისევ მიდის
მინდორში,
სოფლად,
გალიმებული
ხელის გულზე იფშვნის თავთავებს.

ის ცოცხალია
და ცოცხალი იქნება მარად,
გულის სითბოთი
და სიცოცხლის ხალისით გვავსებს.
გალიმებული
კვლავ დაჰყურებს დაზგასთან ხარატს,
კმაყოფილია
და მარჯვენას დაადებს მხარზე.

ის ცოცხალია,
ის ნათელი, დიდი აზრია,
მის გამოჩენას ტრიბუნაზე
უსიტყვოდ ველით.
აი, სტალინი ტრიბუნაზეა,
ნათელ მომავალს
კვლავ გვიჩვენებს გაწვდილი ხელით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ფაშალიშვილი

შენს უკვდავ სახელს

★

როგორ გიტიროთ! მწუხარებას რა დააყუჩებს,
მძიმედ დაჭრილი გული ცრემლით რომ გავიწამოთ, —
შენ ხომ ვარსკვლავად გვინათებდი და ახლა, უცებ,
შენი ვარსკვლავის ჩასვენება როგორ ვიწამოთ!

როგორ გიგლოვოთ! შენ რომ ლხენას გვაჩვევდი, ასე, —
ჩვენი ცხოვრების გზა მზესავით გიდარებია
და ჩვენი ხალხი — უბრწყინვალეს მომავლის გზაზე
გამარჯვებების სიხარულით გიტარებია!

შენი სიბრძნე ხომ დედამიწას სხივებით მოსავს,
ოკეანეთა ბობოქარო გულო და კიდევ! —
შენ ხომ მაღალი დროშა იყავ, და, ხალხის დროშას
რა დახრის ქვეყნად — ვიდრე ხალხი არსებობს კიდევ?

არა, არასდროს! — უკვდავების გამომჭედელი
გენია სიკვდილს ვერ დარჩება დასაბნელებლად, —
ხალხს დაუბრუნდა შენი სუნთქვა დაუშრეტელი,
შთამომავლობის სიცოცხლეში გასაგრძელებლად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

შენ უკვდავი ხარ

★

როგორ ვიფიქრებ,
რომ აღარ ხარ,
რომ აღარ სუნთქავ,
რომ შენ სიკვდილი მოგერია ცივი და გულქვა.
როცა მსოფლიოს წინ მიუძღვის შენი ნათელი.
როს ცაც და მიწაც შენი რწმენის სინათლით ბრუნავს
და შენით სუნთქავს დედამიწის შორი მთა-ველი.

როგორ ვიფიქრებ,
რომ აღარ ხარ, რომ აღარ სუნთქავ,
რომ შენ სიკვდილი დაგეუფლა ცივი და გულქვა.
როს შენი ნებით ზღვები ჩნდება ჩვენს თბილ მიწაზე,
როს უდაბნოსაც შენგან შექმნილ სიცოცხლით ვკურნავთ

და შენი სახე თვალწინ გვიდგას, ყველგან დიდ გზაზე.
შენ ცოცხალი ხარ!
სიბრძნის ბაგე რატომ მდუმარებს? —
ვერ მოგვერევა სევდა მწარე და დამდაგველი.
შენ აღვიძებდი მკვდრეთით თვით ჩვენს შოთა რუსთაველს,
მას სამარეშიც გულზე ადგა შენი ნათელი.

როგორ ვიფიქრებ,
რომ აღარ ხარ,
• რომ აღარ გვხედავ,
როს შენმა სიბრძნემ აქ უკვდავი ფესვი გაიდგა.
შენ გელოდება კახოვკის ზღვა, — ტალღების რხევა,
შენ გელოდება ვით გაზაფხულს მწვანე ტაიგა.

შენ გელოდება დედამიწის ყოველი კუთხე,
შენ ყველგანა ხარ, დრო და სივრცის გადამლახველი.
ეძრწოლონ!
მჯერა: მტრებს ხერხემალს კვლავაც გაუტეხს
შენი მოძღვრება,
შენი საქმე,
შენი სახელი.

შენ გელოდება კორეელი და ინდოელი,
ის ჯარისკაცი, მტერს რომ ებრძვის გააფთრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან მან იცის, რომ სიცოცხლე მასაც მოელის
შენი გონებით და ოცნებით განათებული.

როგორ ვიფიქრებ,
რომ აღარ ხარ, რომ აღარ სუნთქავ,
აგერ კახოვკის ზღვიდან ნიავს მოაქვს სურნელი.
და თუმცა, სტალინ,
დღეს ჩვენს თვალებს ცრემლები თუთქავს,
შენ ისევ აქ ხარ მახლობელი და განუყრელი.

აი, ჩვენ შენგან დარაზმულნი ვდგავართ დიდ გზაზე,
შენც ჩვენთანა ხარ,
შენი სიბრძნით მუდამ წინ ვივლით.
და გვჯერა, როცა მოვსპობთ მტრობას დედამიწაზე,
შენ გაგვიღიმებ კომუნიზმის დიდი ღიმილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი

ისტორიის ნამდვილი გმირი

★

რუსეთის პირველი რევოლუციის წინაწლებში აღმობრწყინდა სტალინის სახელი საქართველოში. ეს იყო ნახევარი საუკუნის წინათ. — თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ჭიათურა, — აი, მისი პატარა სამშობლოს მაშინდელი მუშათა მოძრაობის ცენტრები, სადაც მან ფეხი აიდგა, როგორც რევოლუციონერმა.

მან თავიდანვე გამოააშკარავა უბადლო ნიჭი მუშების დარაზმვისა თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი შთამაგონებელი სიტყვა და საქმე მის მიმდევართა გულებს ახალი რწმენითა და იმედებით აღავსებდნენ. მას, ჯერ კიდევ ყრმას, მასწავლებლის სახელი შეერქვა მუშათა ფართო წრეებში, რომლებსაც ის ბრძოლებში ხელმძღვანელობდა. ეს არ იყო საკონსპირაციო სახელწოდება, მისი ვინაობის დასაფარავად გამოგონილი. ეს სახელი ამჟღავნებდა მუშების უსათუოეს დამოკიდებულებას საყვარელი ხელმძღვანელისადმი და მათ ურყევ ნდობასთან ერთად უღრმეს რწმენასაც გამოხატავდა მისი მართალი სწავლისა და ნათელი საქმისადმი. დრომ გაამართლა მუშების ალღო: მუშათა კლასმა და მთელმა მშრომელმა კაცობრიობამ სტალინი თავის მასწავლებლად შეიცნეს, და ეს იშვიათი სახელწოდება, მის მიერ პირველად გაღვიძებულ მუშურ შეგნებაში დარხეული, ისე შეეზარდა მის პიროვნებას სამარადისოდ, როგორც აუცილებელი და უძვირფასესი სამკაული მისი უკვდავი სახელისა.

სამოქმედო სარბიელზე გამოსვლის დღიდანვე მას გზას უნათებდა მეცნიერული კომუნიზმის დიდი ფუძემდებლის მარქსის მოძღვრება, რომელსაც მთელი თავისი ახალგაზრდული გატაცებით დაეწაფა ჯერ კიდევ მაშინ, როცა თბილისის სემინარიაში სწავლობდა და ფარული გულისფეთქვით ოცნებობდა თავის მომავალ მოწოდებაზე, რომელიც საკაცობრიო იდეალებისათვის შეუპოვარი ბრძოლის სახით ეხატებოდა.

ამავე დროს ეკუთვნის ყრმა სტალინის ცხოვრების უბედნიერესი დღის განათება: სემინარიაში ის პირველად გაეცნო დიდი ლენინის არალეგალურ წიგნს, რომლის წაკითხვამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი ნაფიქრი და ნააზრევი დაემთხვა უდიდესი რევოლუციონერისა და მოაზროვნის ნააზრევს. ახალგაზრდა რევოლუციონერმა ენთუზიასტმა ამ წიგნის ავტორი თავის მასწავლებლად აღიარა. ერთი შეხედვით თითქოს კერძო შემთხვევას მალე ისტორიული მნიშვნელობა მიეცა. ეს გახდა სათავე მარქსიზმის ერთი დროშის ქვეშ მებრძოლი ორი დიდი ადამიანის, რევოლუციის უდიდესი ხუროთმოძღვრისა და მისი კონგენიალური მოწაფის — იდეური დაახლოებისა.

ვ. ლენინის გაცნობა, მასთან დამეგობრება და შემოქმედებითი ურთიერთობის დამყარება სტალინის გმირული ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალ საფეხურს წარმოადგენს. ამიერიდან ი. სტალინი მოექცა სათავეში რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრა-

ობას თავისი საყვარელი მასწავლებლის გვერდით.

აქედან იწყება სტალინის უმაგალითო ზრდა, დღითიდღე აღმავალი რევოლუციის თვალშეუსწრები განვითარების ტემპებთან შეფარდებული. ლენინის ხელმძღვანელობით ის ეუფლება რევოლუციური ბრძოლის ურთულეს სტრატეგიას, და ბრძოლების ქარცეცხლში ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ დარაზმულ აჯანყებულ პროლეტარიატს წინ მიუძღვება ძველი სამყაროს ციტადელების ასაღებად.

სტალინის გენიის სრული გამოვლინება განსაკუთრებით მაშინ დაიწყო, როცა იგი ულენინოდ დარჩა იმპერიალისტური ომით, ინტერვენციით და სამკვდრო-სასიცოცხლო სამოქალაქო ბრძოლებით დაქსაქსულ, დაქანცულ, და დანგრეულ რუსეთში. საჭირო იყო უმაგალითო, ყოვლისშემძლე ნებისყოფა, დიდი გენიის შორსმჭვრეტელი გონება და თვალი ახალი რუსეთის შესაქმნელად. საჭირო იყო ახალი სახელმწიფოს ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო ძლიერების შექმნა, რათა ქვეყანა გარსშემორტყმულ იმპერიალისტურ აგრესორებს გამკლავებოდა.

სტალინური ხუთწლედები უმაგალითო მოვლენაა მსოფლიოში.

შეიძლება ითქვას, რომ სტალინის ნებისყოფას თვითონ ისტორია დამორჩილდა და თავისი საქმე, რომელსაც იგი მანამდე ასე ბოროტად და უკუღმართად იყენებდა, სტალინს გადასცა მის სრულ განკარგულებაში. ისტორიამ სტალინი თავის ნამდვილ გმირად შეიცნო.

სტალინს აუსრულდა სიყრმის დროინდელი ოცნება თავის მოწოდებაზე: კაცობრიობის იმპერიალისტური მონობისაგან განთავისუფლებული ერთი მესამედი მან დიადი კომუნიზმის კარიბჭემდე მიიყვანა.

და აქ შეწყდა მისი გულის ცემა.

მაგრამ ეს იყო ადამიანის სიკვდილი მხოლოდ — იგი სტალინის გენიას არ შეხებია. — სტალინის უკვდავი საქმე და სახელი დროთა უსაზღვროებაში განაგრძობენ სამარადისო სიცოცხლეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

ის არ მომკვდარა

★

დღეს მოსკოვიდან ჩამოტანილი
ცნობა გავრცელდა ელვისებრ, ჩქარა:
გარდაიცვალა დიდი სტალინი,
მაგრამ ხალხთ გულში იცოცხლებს
მარად!

ის არ მომკვდარა, იგი ამაღლდა
და თავს დაგვადგა შარავანდედად.
მაინც დაგვძლია ჯავრმა ამაღამ,
გაყინა სისხლი და შეადედა.
ვერ ავიტანეთ, ვერ მოვითმინეთ:
ცრემლებმა თავად დაიწყეს თოვა,
მთელი ქვეყანა მწარედ ქვითინებს
და ვერ დააცხრო ქვითინმა გლოვა.
ლამის გადიქცეს ზღვად და მდინარედ
ჩამოდენილი თვალთაგან ცრემლი.
გლოვობს ქვეყანა და უწინარეს
დაობლებული გორი და კრემლი.
ისმის რადიოს კვნესა, ძახილი,
ზღვა და ხმელეთი რომ გადალახა.
მთელი მსოფლიო დგას თავდახრილი,
დამუნჯებული დარდისგან ახლა.
დგას თავდახრილი მაო ძე-დუნი
და მასთან დიდი ჩინეთის ხალხი,
თითქო მოესმით მტკვარის დუდუნი,
თითქო იხილეს პატარა სახლი.
შორ ქვეყნებიდან მოსკოვს მოსულნი
დგანან: დიუკლო, ჯოუ ენ-ლაი,
დგას ტოლიატი გლოკით მოცული
და იბარური მწუხარე დაი...
ძილს მისცემია იმედი ხალხის,
ვინც დაამსხვრია მონობის ხუნდი
და მის წინაშე, მკლავებზე თალხით,
თანამებრძოლთა დამდგარა გუნდი.
დგანან ბელადის ძვირფას ცხედარის
ჭირისუფალნი, ლამის მთეველნი,
დგანან მტირალნი გმირი მხედარნი,
მტერს რომ ლაშქრავდნენ დაუძლეველნი.

ნეტავ რა ძალამ დაჭკრა, დასძლია
ბრძენი ბელადი, მხედართმთავარი?
სიმართლის დროშა ვინც ზეასწია
და მისი ტოლი ქვეყნად არ არი.
ფაშიზმისაგან ვინც გამოიხსნა
ევროპისა და აზიის ხალხნი,
მოსპო, ჩააქრო მტარვალის რისხვა,
ომის ხანძარი, ცეცხლი და ალხი.
ვინც გამარჯვების ალმართა სვეტი,
კაცობრიობას შვება არგუნა
და ყველა ჩაგრულ ხალხების ბედი
ახალი გეზით შემოაბრუნა.
ვინც ყველა მშრომელთ, დაჩაგრულ
ერებს
გულმშვიდ ძილს ჰგვრიდა, მათთვის
ქველობდა,
ხოლო მჩაგვრელებს და სისხლისმსმე-
ლებს
ამოწვდილ ხმალად ესიზმრებოდათ.
ვინც მოაშორა ქვეყანას ჭირი
და დარჩა ხალხთა კვლავ გამგებელი;
მისი იმედი, რჩეული გმირი,
ქვეყნად მშვიდობის მქადაგებელი.
კორეელთ, ჩინელთ, ზანგებს, კუბელებს
გატეხილი აქვთ ძილი ამაღამ.
ის ყველა გმირზე, საუკუნეზე
მაღლა ავიდა, უფრო ამაღლდა.
არ დაიშლება მტკიცე შენობა,
ბელადო, შენი ხელით ნაგები.
არ დაეტყობა მას უშენობა, —
ფიცს დებს სოფლები და ქალაქები.
არ შეფერხდება შრომის ფერხული,
ქვეყანა შენგან განამდიდრები,
სანამ იდენენ მტკვარი, ენგური
და საბჭოეთის დგანან მინდვრები.
შეწყდა სიცოცხლე, რა გულის ფეთქვა?
ის კომუნიზმის დიად წიგნს წერდა

და მილიონ ხალხს რაც უნდა ეთქვა,
მის გულში მარად ჩანგივით ელერდა.
იგი სიკვდილით არ იცელება,
როგორც მზე, სხივი, შუქი ნათელი
იწერებოდა და იწერება
ზეცის კალთაზე მისი სახელი.
მას სანეტარო ნიშნად სახავენ
ყველა ერები, ყველა მაშვრალნი.
მის დიად სახელს შეინახავენ
ჩვენი ეპოქის შთამომავალნი.
მან სხვა დინება მდინარეთ მისცა,
უდაბნოები ბაღად აქცია,
ზღვა დაადგინა, გააპო მიწა
და დიდ სიცოცხლით სიკვდილი სძლია.
იგი ხალხისთვის მაგალითია,
მზე, აღტაცება და მაისობა.
მილიონები მისკენ ილტვიან,
რადგან თვით არის მარადისობა.
შემოჰხვევია ხალხი ამაგდარს,
ვით ფუტკრის გუნდი საყვარელ დედას.
ის არ მომკვდარა, იგი ამაღლდა
და ხალხს დაადგა შარავანდედად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი შაგბერაშვილი

ის უკვდავია

★

ჩვენ ვუმღეროდით მის უკვდავებას,
ახლა კი გლოვის გაისმის ზარი,
იქნებ მოქანცვა იგრძნეს მკლავებმა
იქნებ ეს არის ავი სიზმარი?.

იქნებ ისვენებს ბრძოლით დაღლილი,
მიყუჩდა წამით
და მშვიდად სძინავს:
მაშ ულვაშებზე მის კეთილ ღიმილს
რატომ სჭვრეტს თვალი ისე ვით წინათ?

მაგრამ დუმილი სევდის მომგვრელი
იქცა ქვითინად, იქცა ცრემლებად,
გლოვობს თბილისი, გუგუნებს კრემლი..
სიკვდილი უგავს მზის ჩასვენებას.

*

არა, ამგვარად არ გამოითქმის
გულში რომ გლოვის ტრიალებს ალი, —
ამ მწუხარებას, ცრემლებს და ქვითინს
გულის ჭრილობა დავარქვი, სტალინ!

უფრო მძიმეა ჭრილობა გულის,
რა არი მასთან ცრემლი და მოთქმა?
უხმოდ უსიტყვოდ, უცრემლოდ
თქმული, —
ასე სჩვევია ვაჟკაცთა მოდგმას.

თუმც შეგვასწავლე დაძლევა ჭირთა
დიდი მომავლის იმედით, რწმენით,
ერთი ჭრილობა შენს გულსაც სჭირდა—
შენც ხომ ამგვარად გლოვობდი ლენინს.

მაგრამ, შეგვინდე თამამად თქმული:
ჩვენი ჭრილობა უფროა ძნელი,
სტალინ, წუხილით შეთრთოლდა
გული —
ჩვენ ხომ ტკივილი ორჯერ ვიგრძენით!

*

ეი კუბოსთან იხრება დროშა,
ლენინის დროშა, სტალინის დროშა...
ეს ის დროშაა რომ შეიყვარე
და შეაყვარე შენ მშობელ მხარეს;

ნაძალადევით, ისნით, დიდუბით
რომ მოუხმობდა გულთა მღელვართა,
მლაშე ტბებისკენ მიგქონდა უბით,
თბილისის თავზე რომ აგემართა.

გადამლახველი მრავალ ქარბუქის
ამ დროშას მაშინ მკერდით ფარავდი,
შენ ამ დროშის ქვეშ დადექ ჭაბუკი
და ამ დროშის ქვეშ გაჭაღარავდი.

ვინ მოსთვლის ტანჯვას გაუძელ
რამდენს,
რამდენ განსაცდელს შეხედე მშვიდად,
და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე
იგი ხელიდან არ გაგიშვია.

დროშა დიადი, მთურგვნელი ჩრდილის
შენ შეაყვარე ადამიანებს,
ახლა ის დროშა კრემლზე აწვდილი
მსოფლიო ზეცას თავს დასტრიალებს!

თუმც დიდი გლოვის დაგვიდგა ჟამი,
თუმცა იხრება — იცოდნენ მტრებმა:
იგი შენს თავზე იხრება წამით
უკვდავი ძალის შესამატებლად!

არც დაიხრება, თუმცა ამგვარი
არ ახსოვს დღემდე მოსკოვის ზეცა...
პატარა გორში იძვრის აკვანი,
შორიდან ესმის მთაწმინდის კვნესა.

თუმც ირგვლივ ისმის ხმა საკვირველი,
მთელი ქვეყანა დგას თავდახრილი,
ეაცთა გულების და საყვირების
ისმის გუგუნი, ისმის ძახილი;

თუმც შედგნენ ყველა მატარებლები,
შეჩერდა დონი, შეჩერდა ვოლგა
და შენის ნებით შექმნილი ზღვების
მოისმის ღელვა, მოისმის ბორგვა;

სტალინ! დამარცხდა ულვთო სიკვდილი,
ვერ შეასრულა განზრახვა ავი,
ის შენს კუბოსთან დგას ფერმიხდილი,
მან შენს წინაშე დახარა თავი.

და ისმის, ისმის ხმა საკვირველი,
თავისუფლების მტერთა მზარავი,
და შებღავიან ცას საყვირები
შენს უკვდავებას აწ და მარადის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალეკო შენგელია

გორში

★

ის რკინიგზელმა შენიშნა ხალხში,
მგზავრების ტალღა გასწია ფრთხილად:
— შენ საით? —
შეკრთა, შეტოკდა ბავშვი:
— მე არ წამიყვანთ? მეც მოსკოვს
მივალ!

ქარი არხევდა დროშებს თავდახრილს,
ლიახვის კვნესა ისმოდა შორით,
ტიროდა ბავშვი, გმინავდა ხალხი,
ძაძამოსილი გმინავდა გორი.

— მერე-და მარტო? — წარმოსთქვა
მძიმედ
და ბავშვს მთრთოლვარე ჩაჰკიდა
ხელი.
ადამიანებს ხმაგაკმენდილებს
ცეცხლს უმატებდა ბიჭუნას ცრემლი.

— მარტოდ რა მიჭირს. ის ხომ იქ
არის! —
ბავშვმა მუდარით მიაპყრო თვალი...
სადღაც ყინულის ჩატყდა ფიქალი
და ნაზამთრალი დაიძრა წყალი.

მღელვარე ქოხთან ამტყდარმა ქარმა,
სითბო ჩქერებად ჩამოატარა...
ბავშვს გადახედა მოხუცმა მგზავრმა:
— გაზაფხულია, ხედავ, პატარავ?

გაზაფხულია!
ეს სიტყვა, თითქოს
თქმული ბიჭუნას დასამშვიდებლად,
მწუხარ გულებში ისე ჩაინთო, —
ღამეში შუქი რომ გაბრწყინდება;

თვით გაზაფხულთან რა უნდა
სიკვდილს,
ეს რა შავ ღრუბელს გადაუვლია?
ის ცოცხალია, ცოცხალი! იგი
ჩვენი მარადი გაზაფხულია!

და ამ გულისხმამ გულის იარა
წუთით დააცხრო მწველი, მთუთქავი;
ვინც გაზაფხული ააბრიალა, —
გაზაფხულივით არის უკვდავი.

იდგა ყმაწვილი, იმედიანი:
— ის ცოცხალია, არ არის მკვდარი!
თმას უვარცხნიდა ფრთხილად ნიავი...
დროშის შავ კალთებს წეწავდა ქარი.

— . —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერა შუბლაძე

გლოვობს ქვეყანა

★

რა საშინელი გათენდა დილა,
ცამ ძველებურად აღარ იალა;
ვით ყორნის ფრთებმა — გლოვის აჩრდილმა
გულშემზარავად გაიშრიალა.
გავხედავ დროშებს, ფრთებს შავად შლიან,
მხარე დათალხულ ტალღებს მოარხევს
და საშინელი შავი არშია
არა, არ შვენის შენს სპეტაკ სახეს.
ძვირფასო სტალინ, ვერაფერს გშველით,
დნება მამული ცრემლის ცვარებად;
ვით ავიტანოთ სიკვდილი შენი, —
ბელადო, შენი გარდაცვალება.
სხვა დარდს არა გავს ეს ჩვენი სევდა,
გულს ბნელი მწუხრი გადაგვაფარე;
გლოვობს ქვეყანა, მშობელი დედა,
არ გვყავს სტალინი, სტალინის მხარევ.
ლენინ-სტალინის პარტიავ ჩვენო,
თუმც მძიმე ხვედრი გვრგებია წილად —
დავდგეთ სტალინის დროშის გარშემო,
სტალინის დროშით ვიაროთ წინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

სტალინი ჩვენთანაა

★

მეოთხე დღეა სამგლოვიარო მელოდიის მწუხარე ჰანგები მძიმედ დაჰკვნესის ძაძით მოსილ თბილისს — ბელადის სიჭაბუკის ქალაქს. მწუხარე ჰანგები ისმის ქუჩებში, მოედნებზე, ბინებში და დაწესებულებებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ასე მწარედ ჯერ არ უტირია თბილისს, არ უკვნესია მიწას. მიწას, სადაც სტალინმა თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები გადადგა, სადაც მუშები იატაკქვეშეთიდან ქუჩებში გაიყვანა, ააღებინა თოფ-იარაღი, აღამაღლებინა ხმა, აღამართვინა დროშა, რომელიც აღარ დახრილა.

კაცობრიობას არასოდეს არ დაავიწყდება ექვსი მარტის ტრაგიკული დილა. ისე ადრე არასოდეს არ გაღებულა ქარხნებისა და დაწესებულებების კარები, როგორც იმ დილით. არავის სჯეროდა რადიოს მიერ მოტანილი საშინელი ცნობა. ყველა ისწრაფოდა ქუჩაში გასულიყო. „იქნებ სმენამ მოგვატყუა! იქნებ... იქნებ!“

ქუჩებში გასულებს ერთმანეთისათვის ვერაფერი გვეკითხა. მაგრამ ადამიანთა სახეები ამბობდნენ ყველაფერს. და მაინც არა, არა გვჯეროდა.

თვალცრემლიან, განუზომელი ვარამისაგან სახეშეკრულ ადამიანებს სახლების კედლებიდან დაგვყურებდა შავარშიამემოვლებული საყვარელი ადამიანის მომღიმარი სახე, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ჩვენთვის ზრუნავდა, ფიქრობდა და იბრძოდა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე გვინერგავდა იმედს, სიხარულს, რწმენას, სიმტკიცეს, სიყვარულსა და სიცოცხლეს. მოგვიწოდებდა ბრძოლისა და გამარჯვებებისაკენ, გვიძღოდა ქარსა და ცეცხლში, გვიგეგმავდა ლეგენდარულ ხუთწლედებს, უცვლიდა სახეს მთასა და ბარს, ვისი გულიც იტევდა იმდენ სიყვარულს, რამდენსაც მთელი ქვეყანა ვერ დაიტევდა.

სტალინი ამ ტრაგიკულ დილას, ადამიანთა ყველაზე მწარე უბედურების დილას, თითქოს ჩვენზე ფიქრობდა, თითქოს გვამშვიდებდა. ჩვენ მას დავტიროდით, იგი ჩვენ გვაიმედებდა. და ჩვენ იმ დილით კიდევ უფრო დაგვაახლოვა ბელადმა ერთმანეთს, საქმემ, რომელიც ჩვენ მან დაგვიტოვა, კიდევ უფრო შეგვკრა და შეგვადუღაბა.

არასოდეს ისე ადრე არ შედგომიან მუშები და მოსამსახურეები მუშაობას, სტუდენტები და მოწაფეები მეცადინეობას, როგორც იმ სამწუხარო დილას. თითქოს ძნელი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის ასეთ მწარე ჟამს საქმისათვის გულის დადება, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მონდომებით მუშაობდა ქალი და კაცი, რადგან ასე მოგვიწოდებდა სტალინი, კიდევ უფრო ბეჯითად მეცადინეობდა ახალგაზრდობა, რადგან ასე გვასწავლიდა სტალინი.

მე იმ დილით თბილისის ერთ-ერთ სკოლაში გაკვეთილს ვესწრებოდი. ტიროდნენ ბავშვები, ტიროდა მასწავლებელი. არავინ ამშვიდებდა ერთმანეთს. მთელი კლასი ფეხზე იდგა. ფეხზე იდგნენ შემდეგ გაკვეთილებზეც. იმ დღეს მოწაფეები მერხზე არ დამჯდარან.

მე იმ დილით ქუჩაში ვნახე ქალი.

მას ხელში ოთხი წლის ბალღი ეჭირა. ტიროდა დედა. ტიროდა ბავშვი. დედა სტალინის სურათისაკენ უთითებდა შვილს.

— ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი იმედი! — ჩურჩულებდა გამშრალი ტუჩებით.

რამდენი დედის თვალები იცრემლებოდა იმ საბედისწერო დილას ჩვენთან და ჩვენს საზღვრებს იქით. რამდენი ქალის სახე განბანა ცრემლმა, რამდენ მამაკაცს შეუკრა შუბლი.

იმ დილას ჩვენ თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით გაირბინეს ქარიშხლების, ბრძოლების, შენების, ზრდის, აყვავების, სიხარულისა და გამარჯვებების გმირულმა წლებმა და ამ წლებში მთელი თავისი ძლევამოსილობით მიაბიჯებდა ყველა ამ საქმეთა მესვეური — დიდი სტალინი. მიდიოდა ზეკაცი და ახალ-ახალ გამარჯვებებისაკენ მიჰყავდა ქვეყანა.

სტალინთან ერთად მიდიოდა პარტია, ხალხი. და აი, წამით, ერთი წამით შეწყდა ბელადის ნაბიჯების ხმა. მაგრამ უმალ მხარში ამოუდგნენ სტალინს მისი უახლოესი თანამებრძოლები, მისი მოწაფეები და მთელი ხალხი. არ შეხრილა დროშა, რომელიც ბელადს მიჰქონდა, პარტიამ, ხალხმა უფრო მტკიცედ შეჰკრა რიგები.

ჩვენი ხალხი ყოველი განსაცდელისა და გაჭირვების ჟამს უფრო მონოლითურად, შეუდრეკელად და თავდადებულად იბრძოდა ლენინისა და სტალინის საქმისათვის. ახლაც დიდმა მწუხარებამ ვერ გატეხა ჩვენი გული. დიდმა უბედურებამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ნებისყოფა, ჩვენი რწმენა დიადი მომავლისადმი. იმ დღიდან, რაც რადიომ სტალინის ავადმყოფობის ამბავი მოგვიტანა, საბჭოთა ხალხმა გადაწყვიტა კიდევ უფრო თავდადებით იბრძოლოს იმ საქმისათვის, რომელიც ჩვენ სტალინმა დაგვიტოვა. ახალი, გაზრდილი ვალდებულებები აიღეს ქარხნებმა და ფაბრიკებმა, შახტებმა და მაღაროებმა, მენავთობეებმა, მემინდვრეებმა, მუშებმა, მეცნიერებმა და კოლმეურნეებმა.

ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თავს: ცუდად არ ვმუშაობდით, მაგრამ ახლა კიდევ უფრო უკეთ უნდა ვიმუშაოთ; კარგად ვსწავლობდით, მაგრამ ახლა კიდევ უკეთ უნდა ვისწავლოთ, რათა დავაჩქაროთ სტალინის საქმე, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმე.

ჩვენ ისევ და ისევ ვიხსენებდით ბელადის დიდი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველ ნაბიჯს, სადამდისაც კი მიგვიწვდებოდა თვალი და გონება, და ჩვენი ცხოვრების ამ ყველაზე მწუხარე და მძიმე დღეებში ეს გვშველოდა შეგვენარჩუნებინა სიმხნევე, სულის სიმტკიცე. ჩვენ ვფურცლავდით სტალინის ტომებს და ჩვენს ვარამს ანელებდნენ ისინი, ჩვენ ვკითხულობდით ჟურნალ-გაზეთებში მის სტატიებს და ჩვენ რწმენას ამაგრებდნენ ისინი, ჩვენ კიდევ და კიდევ ვკითხულობდით ბელადის ბიოგრაფიას და ვხედავდით შეუპოვრობისა და თავდადების განუმეორებელ სურათებს.

თბილისში, გორში, ბათუმში, ჭიათურასა და ქუთაისში ვნახულობდით ადგილებს, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა სტალინი.

ჩვენ ვიყავით თბილისის ყოფილ სასულიერო სემინარიაში, სადაც ახალგაზრდა სტალინმა პირველმა დაიწყო მარქსიზმის პროპაგანდა. ჩვენ ვიყავით სტალინის თაოსნობით შოწყობილ ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, სადაც იბეჭდებოდა „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“. და ჩვენ ვხედავდით, როგორ უნდა ბრძოლა.

ჩვენ ვიდექით „თბილისის ზღვასთან“, სადაც სტალინმა პირველი არალეგალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მაისობა მოაწყო და ვხედავდით, რა მოუტანა სტალინმა ხალხს.

ჩვენ ვიყავით თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა სტალინი, ჩვენ ვიყავით ნაძალადევის მოედანზე, სადაც მეფის 1905 წლის მანიფესტის გამო გამართულ მუშათა მრავალრიცხოვან მიტინგზე სტალინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მენშევიკ გამცემლებს და შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდა მუშებს. ჩვენ ვიყავით სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, სადაც სტალინის ხელმძღვანელობით მოეწყო რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშების გრანდიოზული გაფიცვა...

ვინ ჩამოთვლის სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ყველა ადგილს! სად არ არიან ისინი, რამდენს უნდა მისწვდეს ადამიანის თვალი და გონება!

არ არის ჩვენი ცხოვრების არც ერთი მხარე, არც ერთი ხანა, რომელიც სტალინის სახელთან არ იყოს დაკავშირებული. მთელი ჩვენი ცხოვრება გამსჭვალულია მისი გენიით, მისი სითბოთი და სიყვარულით, მისი სიბრძნითა და ძლიერებით. იგი ცხოვრობდა ყველა ჩვენგანის სულში და ამიტომ იყო ჩვენი ცხოვრება ასე ლამაზი და დიადი.

ჩვენ არასოდეს არ დავიჯერებთ, რომ აღარა გვყავს სტალინი. ის არასოდეს არ წავა ჩვენგან. და, ჩვენ მაინც ვტირით, მაგრამ ეს მხოლოდ დიდი მწუხარების ცრემლებია და არა უიმედობის, გულგატეხილობის.

ჩვენ არ ვფარავთ ჩვენს მწუხარებას, ისე როგორც არ ვფარავდით მას ლენინის გარდაცვალების დღეებში. არ ვიკავებთ ცრემლებს, ისე, როგორც არ ვიკავებდით ლენინის გარდაცვალების დღეებში.

სამგლოვიარო მელოდიის ჰანგები სულ უფრო და უფრო მწუხარე ხდება. ახლოვდება უმძიმესი წუთები.

1953 წლის 9 მარტი.

არასოდეს არ ყოფილა ამდენი ხალხი სტალინის სახელობის ისტორიული ქარხნის იმ დარბაზებში, რომლებსაც აქ „სტალინის ოთახებს“ ეძახიან. ამ პატარა მუზეუმში ასახულია სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის პირველი წლები. თავისუფლებისათვის განუხრელ ბრძოლებს ასახავენ აქ გამოფენილი ექსპონატები.

ხუთი მარტიდან არ დაკეტილა ამ ოთახების კარები. აქ მოდიან არა მარტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, ამ მძიმე დღეებში თბილისის ყოველი კუთხიდან მოდიან აქ იმ დიდი ადამიანის მუზეუმის სანახაოდ, ვინც მთელი თავისი მგზნებარე სიცოცხლე ხალხის საქმეს შესწირა.

მნახველთა ნაკადი ერთი წუთით არ წყდება. ეს ორი ოთახი სტალინის მოღვაწეობის მხოლოდ ერთ პატარა პერიოდს ასახავს, მაგრამ რამდენს მეტყველებენ ისინი. აქ, ამ ქარხანაში, ახალგაზრდა სტალინი სათავეში ჩაუდგა მუშათა წრეებს და ერთბაშად გაიყოლია ისინი, აქ პირველად მან ააღებინა მათ იარაღი ხელში. აქ მარქსისტული წრეების მეცადინეობა სტალინის მიერ შედგენილი პროგრამით მიმდინარეობდა. აქ გაიარა მან რევოლუციური პრაქტიკული მუშაობის პირველი სკოლა აქ მიიღო „პირველი საბრძოლო ნათლობა.“

— ჩვენი ქარხნის მუშათა წრეებში, — იხსენებს ქარხნის ძველი მუშა 81 წლის მოხუცი გიორგი ნინუა, — 1896-1897 წლებში „მესამედასელები“ ხშირად გვიმართავდნენ საუბრებს, — მოხუცის სახე გაფითრებულია, თვალებში ცრემლი უბრწყინავს, ლაპარაკობს ყრუდ, აღელვებით. — მაგრამ ეს „საუბრები“ არ გვაკმაყოფილებდა. ჩვენ გვინდოდა ისეთი საუბრები, რომლებიც ბრძოლისათვის წაგვაქეზებდა. და აი, ერთხელ ქარხანაში 18 წლის ჭაბუკი სოსო ჯუღაშვილი გვეწვია. მისმა პირველმა სიტყვამ ჩვენ

ყველა ისე მოგვაჯადოვა, ისე გაგვიტაცა, რომ აღარ გვინდოდა „ვაი-მარქსისტების“ მოსმენა. სოსო ლაპარაკობდა იმაზე, რაც ჩვენ გვაწუხებდა, რაზედაც ვოცნებობდით, საითკენაც ვისწრაფოდით. მისი სიტყვა იმდენად ნათელი იყო, რომ ჩვენ არა მარტო გვესმოდა მისი აზრი, თითქოს ვხედავდით იმას, რასაც ის გვეუბნებოდა...

საორთქლმავლო დეპოს ამწყობ საამქროს არხის ორივე მხარეს ჩამომდგარია შესაკეთებლად მოსული ორთქლმავლები. მზის სხივები ანათებს უზარმაზარ საამქროს, არხის თავში მდგარ მოძრავ საზიდარის ვრცელ ბაქანს. აი, ამ ბაქანზე გამართულ ტრიბუნაზე იდგა 1926 წლის 10 ივნისს ბელადი და ესაუბრებოდა მუშებს. კრებას ესწრებოდა რამდენიმე მუშა იმ წრიდან, რომელსაც სტალინი 1898 წელს ამეცადინებდა. ამ მუშებს ბელადმა თავისი პირველი მასწავლებლები უწოდა. კრებას ესწრებოდა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ყველა მუშა.

— ისე იყო გაჭედილი ეს ორასი მეტრის სიგრძის საამქრო, ნემსი რომ ჩაგეგდო, ძირს არ დავარდებოდა, — უყვება ახალგაზრდა მუშების ჯგუფს ვიქტორ კაშია. იგი ისე მოწიწებით დგას მოძრავი საზიდარის ბაქანთან და ისეთი სიყვარულით ამბობს ყოველ სიტყვას, თითქოს ახლაც, აქ, თვალწინ ედგას ბელადი. — ყველას გვინდოდა ახლო გვენახა სტალინი, რიგი რიგს ცვლიდა, ერთხანს წინა რიგი უსმენდა ბელადს, შემდეგ იგი უკან გადაინაცვლებდა და მეორეს უთმობდა ადგილს და ასე გრძელდებოდა მთელი კრების განმავლობაში. მე ეს დღე არასოდეს არ დამავიწყდება. თექვსმეტი წლის ბიჭი ვიყავი მაშინ, მექვაბის თანაშემწედ ვმუშაობდი. არ ვემდუროდი ჩემს ბედს. მაკმაყოფილებდა ჩემი ცოდნა და მუშაობა. მაგრამ ბელადის სიტყვის მოსმენის შემდეგ ახალი ცხოვრება დავიწყე: შევედი საღამოს სკოლაში და დაკვრითი წესით დავამთავრე, ამით არ დავკმაყოფილდი, შევედი ინსტიტუტში, იქ ინჟინრის დიპლომი მივიღე. ვსწავლობდი და ვმუშაობდი. ერთ წუთს არ ვკარგავდი უქმად. ჩემი ცოდნა, ჩემი შრომა საჭირო იყო ჩემი ხალხისათვის. ეს მე შემაგნებინა სტალინმა. მე ბევრს მავალებდა ის, რომ ვმუშაობდი იმ ქარხანაში, სადაც მოღვაწეობდა სტალინი. მე ვცდილობდი მემუშავა ისე, როგორც გვასწავლიდა სტალინი.

სუნთქვაშეკრული უსმენენ ახალგაზრდა მუშები ინჟინერ ვიქტორ კაშიას.

— არასოდეს არ დამავიწყდება ბელადის სიტყვები. იგი ყოველ საქმეში ლამპარივით წინ გამიძღვება. ყოველი წუთი, რომელიც მან გაატარა ჩვენს ქარხანაში, სამუდამოდ იცოცხლებს ჩვენს გულში. მისი სიცოცხლე დარჩა ყველაფერში, რასაც ჩვენ ვხედავთ აქ, და ეს კი იმაზე, ნიშნავს, რომ ჩვენი გული, ჩვენი ქარხანა, საამქრო, დაზგა ყოველ ჟამს მოგვაგონებს: ვიმუშაოთ ისე, როგორც სტალინი მუშაობდა.

რამდენი ადამიანი აღუფრთოვანებია სტალინის ნახვას, მის სიტყვას, მის რჩევა-დარიგებას, მის მამობრივ ღიმილს, რამდენისათვის შეუსხამს ფრთები, წაუქეზებია დიდი საქმისათვის, გამოუყვანია დიდი ცხოვრების გზაზე.

ცხრა მარტი სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში საწარმოო წარმატებების განსაკუთრებული დღე იყო.

საათის ისარი მოსკოვის დროით თორმეტს უახლოვდება.

დღეს არავინ წასულა სასაუზმოდ. ყველა თავის დაზგასთან ხვდება ბელადის დაკრძალვის მძიმე წუთებს.

მუშები სულ უფრო დაძაბულად მუშაობენ.

ზეინკალმა დავით ამირანაშვილმა დღიური ნორმა შუადღემდე მოათავა და იგი ახლა მეორე დღისათვის მუშაობს. 27 წლის იყო დავითი, პირველად რომ ნახა აქ სტალინი.

— მას აქეთ მე სხვა ადამიანად ვიქე-

ცი. ვაკეთებდი იმას, რასაც ერთი ადამიანი თუ გაწვდებოდა, ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი.

დავით ამირანაშვილი ახლა 54 წლისაა, ჭაღარა შერევია თმაში. თავის დაზგასთან დგას. მაღალი, ძარღვებისა და კუნთებისაგან შეკრული. უძნელდება ლაპარაკი. კიდევ რამდენიმე წუთი და წითელი მოედანი ქვეყანას ამცნობს ბელადის დაკრძალვას.

— მაგრამ მე მარტო არ ვიყავი,—განაგრძობს დავითი, — ჩემთან იყო სტალინი. იმ დღიდან, როცა მე ის ვნახე ჩვენს ქარხანაში, ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი, რომ იგი ჩვენთან იყო, ჩვენთან იყო გაჭირვებისას, დალხინებისას და აღარ მიკვირდა, რომ მე ორი-სამი კაცის საქმეს ვაკეთებდი.

დავითი წამით გაჩუმდა, შუბლზე გადაისვა ხელი, თმა უკან გადაიყარა.

— ჩემი ოცნება იყო, კიდევ ერთხელ მენახა სტალინი. მის ნახვას დამსახურება უნდოდა. ამის უფლებას კი მხოლოდ ბეჯითი შრომა მომიპოვებდა. სტალინის დაბადების 70 წლისთავზე საქართველოდან სხვებთან ერთად მეც გამგზავნეს. მე მაშინ ორწელიწადნახევარში თერთმეტი წლისა და ექვსი თვის გეგმა ვქონდა შესრულებული.

თუ რა განუზომელია საბჭოთა ადამიანთა ერთსულოვნების ძალა, ეს თვალნათლივ გამოვლინდა ამ მძიმე დღეებში. ქარხნის სამჭედლო საამქროში ლითონის შეუნელებელი ხმაური და ზათქი დგას, გუგუნებს გავარვარებული ღუმელები. აქ მზადდება მრავალი დეტალი ორთქლმავლებისათვის, ვაგონებისათვის, ჩვენი ქვეყნის დიდი სარკინიგზო კვანძებისათვის.

თითქოს ერთი ძლიერი ხელი ამოძრავებდეს დღეს აქ მთელ საამქროს. ამ საამქროში მუშაობს ქარხნის სახელოვანი მჭედელი კონსტანტინე ილურიძე. ბელადის გარდაცვალების დღიდან ილურიძე შრომითს ვახტაზე დადგა და დღეში ოთხი დღის საქმეს აკეთებს.

— როცა მე წავიკითხე სტალინის სიტყვები, იმის შესახებ, რომ საბჭოთა ადამიანის შრომა არის ღირსების საქმე, დიდების საქმე, სიმამაცის და გმირობის საქმე, მე უნებლიეთ გამახსენდა მამაჩემის შრომა, — იხსენებს ილურიძე. — ათასობით ქართველი გლეხის შავბედითი შრომა. როგორ არა ჰგავს დღეს საბჭოთა მუშის, საბჭოთა გლეხის შრომა, ჩვენი მამების და პაპების შრომას. ვინ ვიყავი მე წინათ? გორის რაიონის, სოფელ მეჯვრისხევის ერთი უბრალო მჭედელი, ურმის თვლების სალტეებს და ნალებს ვაკეთებდი, გაუნათლებელი, ღარიბი გლეხი. აი ასეთი ჩამოვედი თბილისში. მე აქ გავხდი კვალიფიციური მუშა, აქ ვიგრძენი, რომ შრომა მართლაც ღირსების, გმირობის და დიდების საქმე იყო. აქ ვიგრძენი, თუ რა დიდად აფასებდა სტალინი, პარტია და საბჭოთა მთავრობა შრომას. ხალხმა მე საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატად ამირჩია. პარტიამ მე-19 ყრილობის დელეგატად გამგზავნა. ყველაფერი ეს მე მომცა ჩვენმა ძლევამოსილმა პარტიამ, დიდმა სტალინმა, — იმან, ვინც ასე აღამაღლა შრომა, ადამიანი. ყრილობაზე გამგზავრების წინ მე დღიურ გეგმას ოთხას-ხუთასი პროცენტით ვასრულებდი. მხოლოდ ასეთი მაჩვენებლები მანიჭებდა უფლებას, მენახა სტალინი, მომესმინა მისთვის, მენახა ბელადი, რომლის ტრადიციებზე იზრდებოდნენ და იზრდებიან მისი სახელობის ქარხანაში ასობით ადამიანები.

მექანიკურ საამქროში იმ დაზგის პირდაპირ, რომელზედაც მიხეილ ივანეს-ძე კალინინი მუშაობდა 1900 წელს, მუშაობს ახალგაზრდა ხარატი ილია მელვინიშვილი. დიდმა მწუხარებამ შეარყია მისი გული, მაგრამ ვერ გაუტეხა რწმენა და ნებისყოფა, კიდევ უფრო ენერგიულად და მტკიცედ ამუშავდა მისი ხელი.

ილია მელვინიშვილი ოთხი წელიწადი იბრძოდა ფრონტზე. მას იქაც ახსოვდა კალინინის სიტყვები სტალინის ტრადი-

ციების შესახებ. ეს სიტყვები ზეპირად იცის ქარხნის მთელმა კოლექტივმა: „ამ სახელოვან ტრადიციებს წმინდად უნდა იცავდეს და განაგრძობდეს მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, და, განსაკუთრებით, თბილისის, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდობა“. ამ სიტყვებს ილია მელვინიშვილი იხსენებდა ბრძოლის მძიმე წუთებში და მაშინ იგი უფრო მამაცურად იბრძოდა. ფრონტიდან რომ დაბრუნდა, პირობა დადო — უკეთ ემუშავა.

— ვმუშაობდი და ასე მეგონა სტალინი შემომყურებდა, აბა, შენს პირობას როგორ ასრულებო...

თორმეტს ხუთი წუთი აკლია.

ილია მელვინიშვილმა თვალი მოაშორა საამქროს საათს. შეაჩერა დაზგა.

ერთიმეორის მიყოლებით აჩერებენ ხარატები დაზგებს.

წყდება სამჭედლო საამქროში ლითონის ზრიალისა და ზათქის ხმა.

ჩუმდებიან სამონტაჟო, საქვაბო, ამწყობი და შემდუღებელი საამქროებიც.

როგორც ჯარისკაცები თავის საგუშაგოზე, ისე დგანან თავმოშიშვლებული მუშები დაზგებთან. მკაცრია მათი სახეები, ცრემლით სავსეა მათი თვალები.

მთელი ქვეყანა წითელ მოედანს უსმენს.

მოლოტოვი ამთავრებს სიტყვას.

თორმეტ საათს რეკავენ კრემლის კურანტები.

საშინელი სიჩუმე დგას ქარხანაში.

მეთორმეტეჯერ ჩამოკრა საათმა და შეწყდა მისი ხმა.

სამგლოვიაროდ აგუგუნდა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მძლავრი საყვირი, რომელიც ყოველთვის ბრძოლისა და შრომისაკენ უხმობდა ადამიანებს.

მოთქვამენ საყვირები თბილისის სხვა ქარხნებშიც.

წივიან სირენები.

შეირყა მიწა.

შეჩერდა მანქანები, შეჩერდა ტრანსპორტი.

შეწყდა ქვეყნის გულისცემა.

ისმის ზარბაზნების სამგლოვიარო სალუტი.

ხუთი წუთი.

უმძიმესი მწუხარების და ტკივილების ხუთი წუთი.

ქუდმოხდილი დგას მთელი ქვეყანა.

სტალინი თავისი მასწავლებლის გვერდით ასვენია.

აღარა სცემს მისი მგზნებარე გული. აღარ ამეტყველდება მისი ბაგე, აღარ აეხილება თვალები, მაგრამ ამ თვალებმა იმდენი სითბო და სიყვარული მოჰფინეს კაცობრიობას, მისმა ბაგეებმა იმდენი თქვეს, მისმა ხელებმა იმდენი შექმნეს, რომ ამის გაკეთებას საუკუნეები დასჭირდებოდა.

თორმეტ საათზე და ხუთ წუთზე ილია მელვინიშვილმა კვლავ ჩართო დაზგა. ამუშავდა სხვა დაზგებიც, ამუშავდა საამქრო, მთელი ქარხანა.

ქარხნიდან რომ გამოვდიოდი საქვაბე საამქროში, რომელსაც მუშები ქარხნის გულს ეძახიან, ქერათმიანი ქალიშვილი კედლიდან „ელვას“ ხსნიდა.

„ყველა პროფესიის, ამხანაგო სტახანოველებო! ვიბრძოლოთ დეკადის ყველა დავალების 10 მარტამდე შესრულებისათვის. ჩავაბაროთ ქვაბები...“

ჩამოთვლილი იყო ქვაბების ნომრები. ქვაბები უკვე ჩაებარებინათ. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე საამქრო ახალ ვალდებულებებს იღებდა.

წითელი მოედნიდან საბჭოთა კავშირის ჰიმნის ხმა ისმოდა.

სამგლოვიარო ცერემონიალი გრძელდებოდა.

მექვაბე მიხეილ აბულაშვილი თავისი ოქროიერი ხელით წერდა: „საქვაბე საამქროს კოლექტივი მარტსა და აპრილს სტახანოვურ თვეებად ვაცხადებთ და ვალდებულებას ვიღებთ ჩვენი ქარხნის დაარსების 70 წლისთავისთვის გეგმის ზევით შევაკეთოთ ორი ქვაბი...“

წითელ მოედნიდან ისმოდა საბჭოთა ჯარების მწყობრი და მკვეთრი ნაბიჯების ხმა. მავზოლეუმის წინ სახელოვან გვარდიელებს საბრძოლო დიდებით მოსილი დროშები მიჰქონდათ.

ყოველთვის ასეთი დროშებით გაივლიან აქ ჯარისკაცები, სარდლები, მუშები, კოლმეურნეები, მილიონობით საბჭოთა ადამიანები და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შუა მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგომებ ... ყველა-ფერელი სტალინი.

ბიბლიოთეკა

ჩვენ დავინახავთ მას მისასალმებლად აღმართული მარჯვენა ხელით, ჩვენ დავინახავთ მის ნაცნობ და მშობლიურ ღიმილს, რომელიც სამუდამოდ აღბეჭდილია ჩვენს გულებში.

სტალინი ყოველთვის ჩვენთან იქნება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიკა ჩხარგიშვილი

ყველაზე ძვირფასს, ყველაზე საყვარელს!

★

რამ დამაჯეროს უკვდავების გარდაცვალება,
თუგინდ ცრემლებმა დედამიწის მკერდი დაფაროს,
აბა, მითხარით, სად ნახულა, სად გაგონილა
ორი მოვლენა ასე ძლიერ შეუსაბამო.

რამ დამაჯეროს... მაგრამ რატომ ქვითინებს მაშინ
მთელი მსოფლიო ჭირისუფლად გადაქცეული,
მაშ, რატომ ვხედავ შავ არშიებს, გლოვისთვის გაშლილს?
რატომ დამდგარა გლოვის წამი მარად წყეული?

დახარეთ თავი, ვის უნახავს გლოვა ამგვარი,
გაუწყდა ღამით დედამიწას სიცოცხლის ძარღვი,
შესაფერისი, მიკარნახეთ, სიტყვა სად არი,
რომ გადაწვდეს და ჩაიტიოს მსოფლიო დარდი.

დიდო ბელადო, დიდო მამავ, თბილო და ტკბილო,
შენს ნათელ სახეს რა სიფითრე დაჰკონებია,
არ დავიჯეროთ საზარელი ამბავი, ვცდილობთ,
რადგან მზეკაცნი არასოდეს არა კვდებიან.

ჩვენო იმედო, დასასრული არა აქვს შენს მზეს,
საუკუნეებს გააჩაღებს მისი ნათელი,
რომ კომუნიზმის მწვერვალებზე ღიმილით შედგეს
ხალხი, რომელსაც დაერქმევა შენი სახელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ცეცხლაძე

გლოვის ზარი

★

ჯერ არ ჰქონია გლოვის ზარს
ხმა გამგმირავი, ასეთი;
არ დარჩა დედამიწაზე
ჩაგრულის ქოხი არც ერთი,
შავი არშიით მოსილი
არ დაეცრემლოს გაზეთი.

აღარ გვყავს დიდი სტალინი,
მზის შესადარი გენია;
ცა დათალხულა, მწუხარე
ძაძები გადმოჰფენია;
კაცი მსოფლიოს შემძრავი,
უძრავად აწ ასვენია!

ასეთ სევდას და ჟრუანტელს
ჯერ არ მოუცავს საამყარო.
აღარ გვყავს დიდი სტალინი!
მის წინ თვალები დავხაროთ!
სიცოცხლით სავსე ვარდები
მის კუბოს გადავაყაროთ!

ჭიქას ნუ ავწევთ აწ ისე,
პურიც ნუ გაიტეხება,
თუ არ ვახსენოთ, ვინც მუდამ
მტრებს რისხვას ცემდა მეხებად,
მის დიად სახელს სხივოსანს
დრო-ჟამი ვერ შეეხება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ჭიჭინაძე

სტალინი

★

სტალინი — გმირი მტერთა მძლეველი,
სტალინი — სიბრძნე დაულეველი,
ხალხთა ბელადი, დაჩაგრულთა იმედი — სტალინ...

სტალინი — ჩვენი მზე დიდებული —
დღეს კუბოშია ჩასვენებული...
ერთი სიკვდილით აცრემლებული
ჯერ ქვეყანაზე არ ყოფილა ამდენი თვალი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ხოშგარია

წავიდა ჩვენგან

★

წავიდა ჩვენგან დიდი ბელადი,
მშრომელი ხალხის მოჭირნახულე,
მასზე ვფიქრობდი, გული მწყდებოდა,
რომ სიცოცხლეში ვერ ვინახულე.

აქვითინებულს პატარა შვილებს
დედის ცრემლებიც შუბლზე დაეფრქვა,
ჩემო იმედო, დილის ცისკარო,
მე, სანუგეშო მათთვის რა მეთქვა!

თითქოს ბუნებაც ატირდა მწარედ
დათალხულ დროშებს ნიავი არხევს,
ახლა კუბოში როგორ ვუცქირო
შენს დადუმებულ ბრწყინვალე სახეს.

შენ არ გვირჩევდი ჭმუნვას, გოდებას,
ამ ლექსსაც, სტალინ, ასე ვამთავრებ:
ჩვენი პარტიის მეც ერთი წევრი
შენს უკვდავ საქმეს გულით ვატარებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაზიმ ჰიქმეთი

ვიგონებ

★

ვიგონებ:
მე ვარ თვრამეტი წლის.
სამშობლო ჩემი
ამბოხებულა,
მედგრად იბრძვის ანატოლია.
მივყვებით შარას.
ბრუნავს ხვატი, არსად ჩანს ჩერო,
გლეხი მეჰმედი ჩემებრ ბრძოლის გზას გაჰყოლია;
ამბობს:
„სულ მალე მოეღება ბოლო ჩვენს სევდას,
ბოლშევიკები ცეცხლს ანთებენ განთიადისთვის.
რადგან ლენინი და სტალინი
არიან ჩვენთან,
მწამს, ინტერვენტებს ზღვაში გადვისვრით“.

ვიგონებ.
მოსკოვს ჩამოვედი.
მე ვიწყებ სწავლას
უნივერსიტეტში,
რომ ატარებს სახელს სტალინის.
უდიადესი აღტაცება იმ დღეებს ახლავს,
ის მოდის ჩვენთან და საუბრობს მეგობარივით...
იქნება მტვერი მოჰყოლია ცარიცინისა —
ვფიქრობდი,
როცა იმის ჩექმებს მე თვალს მოვკრავდი —
იქნებ მაშინაც ეს უბრალო ფრენჩი ემოსა,
როდესაც იხსნა მან პეტროგრადი.
... მახსოვს
შავ-შავი ულვაშები
და მზერა მშვიდი,
გვიმზერს ბელადი
და გვენთება ცეცხლით გულები.
ის მოდის ჩვენთან,
ხელს გვართმევს და მთელ ტანში გვივლის
ლენინის ხელის სითბო ულევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიგონებ.
წითელ მოედანზე თოვლი და ყინვა...
დგას ოცდაოთხი წელი — მკაცრი და მოწყენილი.
და ჯარისკაცულ მაზარაში, ადამიანი
მოდის და მოაქვს კუბო ლენინის.
მე კარგად მახსოვს მისი სახე გაქვავებული,
შეთეთრებია საფეთქლები,
იქნებ თოვლისგან?
არა, ეს კვალი არის მძიმე განშორებისა,
ეს ნიშანია შეკავებულ, უხმო გლოვისა.

ვიგონებ.
ისევ თურქეთში ვარ.
(არ მაგონდება,
რომელ წელს იყო),
ჩემს წინ არის ციხის კედელი.
მისი სურათი მომაწვდინეს ამხანაგებმა
ფარულად, ფრანგულ გაზეთიდან ამოკვეთილი.
მან გზა იპოვა.
არ შეუკრთა ციხის სქელ კედლებს,
ვხედავდი ნაბრძოლს,
უომნია და არ მოღლილა.
თეთრ კიტელში და მოელვარე ვარსკვლავით მკერდზე
ჯარისკაცს — სარდალს
შევყურებდი მშვიდად მოღიმარს.
ჩანდა, მას შემდეგ გადაეღო იგი სურათი,
რაც გამარჯვება მოიპოვა უდიდეს ომში,
რაც რაიხსტაგის მაღალ გუმბათზე
იმისი სამი მეომარი აიჭრა დროშით.
მერე ვოლგაზე —
როცა წლები წლებს მშვიდად გაჰყვნენ —
სტახანოველი შოფრის ტასიას კაბინაში
ზუსტად ისეთი სურათი ვნახე:
კვლავ მოღიმარი დგას ჩვენს წინაშე.
პეკინში ვნახეთ ჩვენ,
კონგრესის დელეგატებმა
უკანასკნელი მისი სურათი,
ის მეცხრამეტე ყრილობაზე, —
ტრიბუნაზე დგას,
ხალხს და პარტიას დიდ გზას უნათებს.

ჩემთან უხელო კორეელი მებრძოლი იდგა,
ინდოელ პოეტს გვერდით ფრანგი ასოთამწყობი
ედგა ძმასავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვთქვი მაშინ:
„ახალგაზრდაა,
ყოჩაღადაა ჩვენი მამა და წინამძღოლი“.
ფრანგმა თქვა:
„იგი მოსკოვში ვნახე,
რომ ადიოდა კიბეებზე მხნედ, ჭაბუკურად“.
კორეელმა თქვა:
„ოცნება ხომ არ იცვლის სახეს,
ის ოცნებაა — ანთებული, როგორც შუქურა“.
ინდოელმა თქვა:
„იგი თვითონ კომუნიზმია,
მის მძლავრ ქვეყანას მიზნად რომ აქვს
დღეს დასახული.
კომუნიზმი ხომ
სიჭაბუკე და ხალისია,
მარადიული სიცოცხლეა
და გაზაფხული“.

თარგმანი ზიორზი ხუხაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალ. აბულაძე

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი

★

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ეს კანონი აღმოაჩინა და მისი სრულყოფილი დასაბუთება მოგვცა ი. ბ. სტალინმა თავის კლასიკურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში".

ი. ბ. სტალინის მიერ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის აღმოჩენა და მისი მეცნიერული დასაბუთება მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური მოძღვრების ძვირფასი შენაძენია. ი. ბ. სტალინმა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის განვითარების უდიდეს ისტორიულ გამოცდილებათა მეცნიერული განზოგადების საფუძველზე გენიალურად განავითარა მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური მოძღვრება. ამ ნაშრომში, როგორც ამხანაგი გ. მალენკოვი აღნიშნავდა პარტიის XIX ყრილობაზე, „...ყოველმხრივ გამოკვლეულია სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონები, გარკვეულია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მეცნიერული საფუძვლები, ნაჩვენებია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები". ეკონომიკური თეორიის ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემების ღრმა მეცნიერული ანალიზით ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა დიდად წასწია წინ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია.

*
* *

ბუნება და საზოგადოება ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე გარკვეულ ობიექტურ კანონზომიერებათა საფუძველზე ვითარდება. ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა გვიჩვენა იმ ეკონომისტების შეხედულებათა მცდარობა, რომლებიც უარყოფდნენ საზოგადოებრივი კანონების ობიექტურ ხასიათს. მათ მიაჩნდათ, რომ ადამიანებს შეუძლიათ ეკონომიკური კანონების „შექმნა", „მოსპობა" და „გარდაქმნა" თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით. ი. ბ. სტალინმა ასეთი სუბიექტივისტურ-იდეალისტური შეხედულება გააქარწყლა და უდიდეს პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანა ეკონომიკური კანონების ობიექტური ხასიათის დასაბუთება. მან აღნიშნა, რომ „მარქსიზმს მეცნიერების კანონები ესმის, — სულ ერთია ეხება საქმე ბუნებისმეცნიერების კანონებს თუ პოლიტიკური ეკონომიის კანონებს, — როგორც ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესების ასახვა. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი, შეისწავლონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ისინი. მით უფრო არ შეუძლიათ მათ ჩამოაყალიბონ ან შექმნან მეცნიერების ახალი კანონები" („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", გვ. 4).

სოციალიზმის დროს ობიექტური ეკონომიკური კანონების არსებობის უარყოფას მოჰყვებოდა ქაოსი და შემთხვევითობანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას მოჰყვებოდა პოლიტიკური ეკონომიის, როგორც მეცნიერების, მოსპობა, რადგან მეცნიერებას არ შეუძლია იარსებოს და განვითარდეს, თუ ის არ ცნობს ობიექტურ კანონზომიერებებს და არ სწავლობს მათ.

მარქსიზმ - ლენინიზმი გვასწავლის, რომ ეკონომიკური კანონები წარმოიშობიან გარკვეულ ეკონომიკურ პირობათა საფუძველზე. მათი მოქმედების პერიოდი დამოკიდებულია იმ ეკონომიკური პირობების არსებობის ხანგრძლივობაზე, რომელთა საფუძველზეც ისინი წარმოიშვნენ. როდესაც ასეთი ეკონომიკური პირობები აღარ იქნება, მის საფუძველზე წარმოშობილი ეკონომიკური კანონები თავიანთ მოქმედებას შეწყვეტენ, ძალას დაკარგავენ და ადგილს დაუთმობენ სხვა ეკონომიკურ კანონებს, რომლებიც წარმოიშობიან სხვა ეკონომიკური პირობების გაჩენის შედეგად.

ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ ეკონომიკური „კანონები კი არ ისპობიან, არამედ ძალას კარგავენ ახალი ეკონომიკური პირობების გამო და ტოვებენ ასპარეზს, რათა ადგილი დაუთმონ ახალ კანონებს, რომლებიც ადამიანთა ნებით კი არ იქმნებიან, არამედ ახალი ეკონომიკური პირობების ბაზაზე წარმოიშვებიან“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 6).

ეს, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, რომ საზოგადოება უძლურია ეკონომიკური კანონის წინაშე.

ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ობიექტური კანონები, შეიცნონ ისინი, დაეყრდნონ მათ, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესთა სასარგებლოდ, შეზღუდონ მათი მოქმედების სფერო და სხვა მიმართულება მისცენ ზოგიერთი კანონის ნგრევითს მოქმედებას.

ამ საკითხის გარკვევას უაღრესად დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური საზოგადოებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების მძლავრი განვითარების წარმმართველ და ხელმძღვანელ ძალას, ემყარება საზოგადოების განვითარების კანონების მეცნიერულ ცოდნას. „...პროლეტარიატის პარტია, თუ მას სურს იყოს ნამდვილი პარტია, — ამბობს ამხანაგი ი. ბ. სტალინი, — უნდა დაეუფლოს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარების კანონების ცოდნას, საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონების ცოდნას.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვას, პროლეტარიატის პარტია როგორც თავისი პროგრამის აგებაში, ისე თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში უნდა გამოდიოდეს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარების კანონებიდან, საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონებიდან“ („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 691 — 692).

ეკონომიკური კანონების ღრმად შესწავლა და მათი გამოყენება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის მეცნიერული და პრაქტიკული მუშაკების მთავარი საბრძოლო ამოცანაა.

*
* *

ეკონომიკური კანონების საკითხების დამუშავების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ საზოგადოებაში ძირითადი ეკონომიკური კანონის აღმოჩენასა და მეცნიერულ დასაბუთებას.

ცნობილია, რომ ეკონომიკური კანო-

ნების აღმოჩენა შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, მაშინ როდესაც ადამიანის გონებას, როგორც ბუნების უმაღლეს პროდუქტს, დაგროვილი აქვს უმდიდრესი გამოცდილება, შესწევს უნარი და შესაძლებლობა განაზოგადოს იგი ობიექტური პროცესების მეცნიერული ასახვის მიზნით.

ი. ბ. სტალინმა მეცნიერულად ჩამოაყალიბა და ყოველმხრივ დაასაბუთა თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები, რითაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა კაპიტალიზმის ყველა ჯურის აპოლოგეტებს. ამ აღმოჩენით ი. ბ. სტალინი ერთხელ კიდევ ცხადყოფს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უდიდეს გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

ძირითადი ეკონომიკური კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების არა რაიმე ცალკეულ მხარეს ან რაიმე პროცესს, არამედ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ყველა მთავარ მხარეს და ყველა მთავარ პროცესს, ის განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების არსებას.

სხვა ეკონომიკური კანონები კი განსაზღვრავენ საზოგადოებრივი წარმოების ამა თუ იმ მხარეს და ცალკეულ პროცესებს.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი მიგვითითებს, რომ ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმაციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ძირითადი ეკონომიკური კანონი, როგორც ძირითადი კანონი, ხოლო სხვა ეკონომიკური კანონი — რამდენიმე. ეკონომისტ იაროშენკოს შესაძლებლად მიაჩნდა რამდენიმე ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებობა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის დროს. იგი სოციალიზმის დროს რამდენიმე ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებობას გულისხმობდა. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვექნებოდა თვითეული საზოგადოებრივი ფორმაციისათვის რამდენიმე ძირითადი ეკონომიკური კანონი, რაც ეწინააღმდეგება თვით ძირითადი კანონის ცნებას.

ისევე როგორც სხვა ეკონომიკური კანონები, ძირითადი ეკონომიკური კანონი წარმოიშობა გარკვეული ეკონომიკური პირობების ბაზაზე. მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეკონომიკური პირობების ბაზაზე წარმოიშვა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, რომლის მთავარი ნიშნები და მოთხოვნები ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა ასე ჩამოაყალიბა: „მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 42).

სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის არარსებობა, საზოგადოების წევრებს შორის მეგობრული და ურთიერთდამხმარე დამოკიდებულება, ნიშნავს სულ სხვა, პრინციპულად განსხვავებულ, ახალი ეკონომიკური პირობების შექმნას. ასეთ ეკონომიკურ პირობათა ბაზაზე წარმოიშვა ახალი, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, რომლის არსებით ნიშნებსა და მოთხოვნებს შეადგენს „მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალის-

ტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით" („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", გვ. 44).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ძირფესვიან ცვლილებათა გამო თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადმა ეკონომიკურმა კანონმა (ასევე კაპიტალიზმის სხვა სპეციფიკურმა ეკონომიკურმა კანონებმა) ჩვენში დაკარგა მოქმედების ძალა და ადგილი დაუთმო ახალი ეკონომიკური პირობების ბაზაზე წარმოშობილ სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს.

კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირეულად განსხვავებულმა ეკონომიკურმა პირობებმა შექმნეს თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პრინციპულად განსხვავებული ძირითადი ეკონომიკური კანონები.

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის საპირისპიროდ, სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონის განხორციელებას ახასიათებს „ნაცვლად მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფისა, — საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა; ნაცვლად წარმოების აღმავლობიდან კრიზისისაკენ და კრიზისიდან აღმავლობისაკენ წყვეტილი განვითარებისა, — წარმოების განუწყვეტელი ზრდა; ნაცვლად ტექნიკის განვითარების პერიოდული წყვეტილებისა, რასაც თან სდევს, საზოგადოების საწარმოო ძალების დანგრევა, — წარმოების განუწყვეტელი სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე" („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", გვ. 44).

სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს, რომელიც გამოხატავს სოციალისტური წარმოების წესის არსებას, არ შეიძლებოდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის დასაწყისშივე სრულყოფილი მოქმედების ასპარეზი მოეპოვებინა. მართალია, დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენებას, მაგრამ კაპიტალიზმის ეკონომიკის გარდაქმნა სოციალისტურ ეკონომიკად არ მომხდარა ერთბაშად, ის გაგრძელდა თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში კომუნისტური პარტია, ეყრდნობოდა რა წარმოებითს ურთიერთობათა საწარმოო ძალების ხასიათისადმი სავალდებულო შესაბამისობის კანონს, ახდენდა უდიდეს სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის **სასტიკი კლასობრივი** ბრძოლის პირობებში ლენინის ფორმულის მიხედვით — „ვინ-ვის". ქვეყნად ადგილი ჰქონდა რამდენიმე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობას, რომელთა შორის თავიდანვე წარმმართველი როლი დაიკავა სოციალისტურმა სექტორმა.

რადგან გარდამავალი პერიოდის მანძილზე იყო მრავალწყობიანობა, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედებას შეზღუდული მოქმედების სფერო ეკავა; თუმცა ის თანდათანობით აფართოებდა თავისი მოქმედების სფეროს, მაგრამ მან მაინც ვერ მიიღო შეუზღუდველი მოქმედების საშუალება მთელ საზოგადოებრივ წარმოებაში, ვიდრე წვრილი და საშუალო მწარმოებლები სოფლად გადაყვანილი არ იქნენ სოციალისტური მეურნეობის რელსებზე და ჩვენში არ მოხდა კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაცია. ასეთი ძირეული სოციალისტური გარდაქმნების შედეგად, სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემა განუყოფლად გაბატონდა ქალაქად და სოფლად, შეიქმნა სოციალიზმის ეკონომიკა, აშენდა სოციალისტური საზოგადო-

ება და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედებამ ყოვლისმომცველი გავრცელება მიიღო ჩვენი საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში.

*
* *

ძირითადი ეკონომიკური კანონის ღრმა მეცნიერული ანალიზით ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა გვიჩვენა ამ კანონში მოცემული საზოგადოებრივი წარმოების მ ი ზ ა ნ ი და მიზნის განხორციელების ს ა შ უ ა ლ ე ბ ა.

ძირითადი ეკონომიკური კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების არსებას, გამოხატავს, „თუ რ ა მ ი ზ ა ნ ს უსახავს საზოგადოებრივ წარმოებას საზოგადოება, რა ა მ ო ც ა ნ ა ს უმორჩილებს ის საზოგადოებრივ წარმოებას“... („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 82).

საზოგადოების განვითარების ყველა ისტორიულ საფეხურზე საზოგადოებრივი წარმოების საერთო მიზანი ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა. წინაალმდეგ შემთხვევაში საზოგადოება არსებობას შეწყვეტდა. „..საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაგან მოწყვეტილი წარმოება მჭლევდება და იღუპება“. („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 82). მაგრამ ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხასიათები სხვადასხვა წარმოების წესის დროს ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება დამოკიდებულია იმაზე, თუ წარმოებით ურთიერთობათა რა ტიპთან გვაქვს საქმე.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც წარმოების საშუალებებზე განხორციელებულია საზოგადოებრივი საკუთრება, სადაც მოსპობილია ექსპლოატაციის სისტემა და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოებრივ წარმოების პროცესში მეგობრობასა და ურთიერთ დახმარებას გამოხატავს, საზოგადოებრივი წარმოება მიზნად ისახავს მთელი ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ „...მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, — ესაა სოციალისტური წარმოების მ ი ზ ა ნ ი; უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა, — ესაა ს ა შ უ ა ლ ე ბ ა მიზნის მისაღწევად“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 84).

საზოგადოებრივ წარმოებას, რომელიც მშრომელთა ხელშია, რომელიც მშრომელებს ეკუთვნის და მათ მიერ წარიმართება, არ შეიძლება სხვა მიზანი ჰქონდეს, თუ არა მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ მთელი საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა არ გულისხმობს მარტო ცალკე პიროვნების პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, — ის გულისხმობს აგრეთვე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა საჭიროების დაკმაყოფილებასაც.

კ. მარქსი თავის შესანიშნავ ნაშრომში „გოთას პროგრამის კრიტიკა“, იკვლევდა რა სოციალისტურ საზოგადოებას, მიგვითითებდა, თუ რა სახის მოთხოვნილებანი უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ამ საზოგადოებაში. მარქსი სოციალისტური საზოგადოების პირობებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილებას თვლიდა მოხ-

მარებულ საწარმოო საშუალებათა ანაზღაურებისათვის, წარმოების გაფართოებისათვის, სარეზერვო ანუ სადაზღვევო ფონდისათვის, მმართველობის ხარჯებისათვის, კულტურულ დაწესებულებათა და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებისათვის, შრომისუნარმოკლებულთა ფონდისათვის და მშრომელთა პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფონდისათვის. მარქსი ამბობს: ის „რაც მწარმოებელს, როგორც კერძო ინდივიდუმს გამოერთვა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მის, როგორც საზოგადოების წევრის, სასარგებლოდ მიდის“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 11,-გვ. 15).

ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, ვგულისხმობთ პიროვნებათა როგორც პირად, ისე საერთო — საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა, დაკმაყოფილების უზრუნველყოფას. სოციალისტური წესის შექმნით ჩვენში პრაქტიკულად განხორციელდა ფ. ენგელსის მიერ „ანტი-დიურინგში“ მოცემული მეცნიერული შორსგანჭვრეტა, რომ „როდესაც თანამედროვე საწარმოო ძალებს, ბოლოს მათი შეცნობილი ბუნების მიხედვით მოვეპყრობით, საზოგადოებრივი წარმოების ანარქიის ადგილს დაიჭერს წარმოების საზოგადოებრივად გეგმაშეწონილი მოწესრიგება, რომელიც ანგარიშს გაუწევს როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკე პირის მოთხოვნილებებს“. („ანტი-დიურინგი“, გვ. 333, 1952 წელი).

სოციალისტური წარმოების მიზანი არის ადამიანი თავისი მოთხოვნილებებით; ესე იგი ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. კაპიტალისტური წარმოების მიზანია მოგების ამოქაჩვა, ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი კაპიტალიზმის მხედველობის არიდან ქრება.

„კაპიტალისტური წარმოების განსაზღვრულ მიზანს, — ამბობს მარქსი, — შეადგენს ყოველთვის ავანსად გაღებული ღირებულების ზრდა...“ („კაპიტალი“, ტ. II, გვ. 120). ავანსად გაღებული ღირებულების ზრდა ზედმეტი ღირებულების წარმოების საფუძველზე ხდება. ამიტომ კაპიტალისტური წარმოების მიზანი — ზედმეტი ღირებულების წარმოება.

„არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ზედმეტი ღირებულების წარმოება — და მისი ერთი ნაწილის უკუგარდაქმნა კაპიტალად, ანუ დაგროვება, ზედმეტი ღირებულების ამ წარმოების ინტეგრალურ ნაწილს შეადგენს—უშუალო მიზანი და განსაზღვრული მოტივია კაპიტალისტური წარმოების“. (კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III ტ. ნაწ. 1, გვ. 206).

კაპიტალისტები ისწრაფვიან იქითკენ, რომ ავანსად გაღებული კაპიტალისაგან რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ.

„...კაპიტალისტური წარმოების მიზანია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — მოგების ამოქაჩვა. რაც შეეხება მოხმარებას, კაპიტალიზმს ის მხოლოდ იმდენად ესაჭიროება, რამდენადაც ის უზრუნველყოფს მოგების ამოქაჩვის ამოცანას. ამის გარეშე მოხმარების საკითხი კაპიტალიზმისთვის აზრს კარგავს. ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი მხედველობის არედან ქრება“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 83-84).

კაპიტალისტური წარმოების მიზნის განხორციელება იწვევს მშრომელი ხალხის მუდმივ გაღატაკებასა და გაჩანაგებას. კაპიტალი ყოველთვის ჭუჭყში და სისხლში არის გასვრილი.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის მამოძრავებელ ძალას მაქსიმალური მოგება წარმოადგენს. მაქსიმალური მოგების მიღების აუცილებლობა აიძულებს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, რათა მან გადადგას სარისკო ნაბიჯები, როგორიცაა „კოლონიებისა და სხვა ჩა-

მორჩენილი ქვეყნების დაკაბალება და სისტემატური ძარცვა, რიგი დამოუკიდებელი ქვეყნების დამოკიდებულ ქვეყნებად გადაქცევა, მოწყობა ახალი ომებისა, რომლებიც თანამედროვე კაპიტალიზმის საქმოსნებისათვის საუკეთესო „ბიზნესს“ წარმოადგენენ მაქსიმალური მოგების ამოსაქაჩავად, ბოლოს, მსოფლიო ეკონომიკური ბატონობის მოპოვების ცდები“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გვ. 42-43).

სოციალისტური წარმოება კი, კაპიტალიზმთან, შედარებით პირიქით, ახორციელებს მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

სსრ კავშირში შექმნილმა ახალმა, სოციალისტურმა ეკონომიკურმა პირობებმა ობიექტურ აუცილებლობად გახადეს სოციალისტური საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა წარმოადგენს სოციალისტური წარმოების მძლავრი აღმავლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი პარტიის XVII ყრილობაზე ამბობდა: „სოციალიზმი შეიძლება აშენდეს მხოლოდ საზოგადოების საწარმოო ძალთა სწრაფი ზრდის ბაზაზე, პროდუქტებისა და საქონლის სიუხვის ბაზაზე, მშრომელთა შეძლებული ცხოვრების ბაზაზე, კულტურულობის სწრაფი ზრდის ბაზაზე. ვინაიდან სოციალიზმი, მარქსისტული სოციალიზმი. ნიშნავს პირად მოთხოვნილებათა არა შემცირებას, არამედ მათ ყოველნაირად გაფართოებას და გაფურჩქვნას, ამ მოთხოვნილებათა არა შეზღუდვას ან მათ დაკმაყოფილებაზე უარისთქმას, არამედ კულტურულად განვითარებული მშრომელი ადამიანების ყველა მოთხოვნილების ყოველმხრივ და სრულ დაკმაყოფილებას“. (ი. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 380).

სოციალისტური წარმოების წესის შექმნით ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებას ისეთი განვითარება მიეცა, რომ წარმოებას, მიუხედავად მისი სწრაფი ზრდისა, წინუსწრებს მოთხოვნილება, რაც ჩვენს განუსაზღვრელ შესაძლებლობათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს.

სსრ კავშირის მშრომელი ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სისტემატური გადიდება სოციალისტური წარმოების მუდმივად მზარდ წყაროს წარმოადგენს. „მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობესება და მათი მოთხოვნილებების (მყიდველობითი უნარის) შეუჩერებელი ზრდა, — ამბობს ამხანაგი ი. ბ. სტალინი, — წარმოადგენს რა წარმოების გაფართოების განუწყვეტლივ მზარდ წყაროს, უზრუნველყოფს მშრომელებს ჭარბი წარმოების კრიზისებისაგან, უმუშევრობისა და სიღატაკის ზრდისაგან“ (ი. სტალინი, თხზ., ტ. 12 გვ. 350).

ჩვენი მოთხოვნილება რომ წინ უსწრებს წარმოებას, ეს არის წინააღმდეგობა, მაგრამ წინააღმდეგობა ზრდისა, განვითარებისა. სოციალისტური წარმოება, ახორციელებს რა საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზანს, ამით სტიმულს, ბიძგს აძლევს სოციალისტური წარმოების შემდგომ მძლავრ აღმავლობას. მაშასადამე, სოციალისტური წარმოება თავის მიზანს ახორციელებს. ხოლო მიზნის მიღწევა თავის მხრივ წარმოების მძლავრი განვითარების წყაროდ ხდება. ის უყენებს წარმოებას ახალ მოთხოვნებს და სახავს მის წინაშე ახალ ამოცანებს. ეს კი გა-

მოხატავს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედების პროგრესულ ხასიათს.

სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება სრული სიცხადით ააშკარავებს საბჭოთა საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების სისტემატურ გადიდებას.

საბჭოთა საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისა და საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა.

ნაციონალური შემოსავალი 1940 წლიდან 1951 წლამდე სსრ კავშირში 83 პროცენტით გადიდდა, ხოლო 1952 წელს, შედარებით 1951 წელთან, იგი 11 პროცენტით გაიზარდა. მთელი ნაციონალური შემოსავალი სოციალისტურ საზოგადოებაში მშრომელებს ეკუთვნის. კაპიტალისტურ საზოგადოებაში კი ნაციონალური შემოსავლის ნახევარზე მეტს ექსპლოატატორული კლასები ითვისებენ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით სამ მეოთხედს თავიანთ პირად მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებას აბმარენ, ხოლო დანარჩენი ნაწილი სოციალისტური წარმოების გაფართოებასა და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საჭიროებას ხმარდება. პარტიის XIX ყრილობის დირექტივების მიხედვით მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ 1951-1955 წლებში ნაციონალური შემოსავალი გადიდდება, სულ ცოტა, 60 პროცენტით.

სისტემატურად იზრდება მშრომელი ხალხის შემოსავალი. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე (1928 — 1940წ. წ.) მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი გაიზარდა 5,7-ჯერ. მუშათა და მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 1951 წელს, 1940 წელთან შედარებით, დაახლოებით 57 პროცენტით მეტი იყო, ხოლო გლეხთა რეალური შემოსავალი, ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით — 60 პროცენტით მეტი. მუშათა და მოსამსახურეთა შემოსავალი 1952 წელს, 1951 წელთან შედარებით, ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გადიდდა 7 პროცენტით, ხოლო გლეხთა შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით — 8 პროცენტით. მშრომელი ხალხის შემოსავლის ასეთი გაზრდის მთავარ წყაროს წარმოადგენს მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასების სისტემატური შემცირება, რასაც პარტია და ხელისუფლება განუწყვეტლივ ახორციელებს.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასის გადიდება საცალო ფასების შემცირების გათვალისწინებით, სულ ცოტა, 35 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი (ფულადი გამოხატულებით), სულ ცოტა 40 პროცენტით.

მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთა შემოსავლის გადიდება იწვევს ფართო მოხმარების საქონელზე მოთხოვნის ზრდას. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისა და პირადი მოთხოვნილების საქონელზე მოთხოვნის გადიდების შესაბამისად ჩვენში სისტემატურად იზრდება საქონელბრუნვა. ომისშემდგომ წლებში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა გადიდდა 2,9 ჯერ.

მეხუთე ხუთწლედში გათვალისწინებულია სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გადიდება დაახლოებით 70 პროცენტით. საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის ერთ-ერთ პირო-

ბას წარმოადგენს საბინაო პირობების გაუმჯობესება.

ომის შემდგომ წლებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აგებულია საცხოვრებელი სახლი 155 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობით, ხოლო სოფლად აშენდა 3,8 მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

ახალი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, 1951-1955 წლებში სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდება გადიდდება დაახლოებით ერთიორად მეოთხე ხუთწლედთან შედარებით. ქალაქებსა და მუშათა დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სახელმწიფო მშენებლობის ხაზით 105 მილიონამდე კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი საცხოვრებელი სახლები.

გარდა ამისა, ხელი შეეწყობა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ქალაქებსა და მუშათა დაბებში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელი ხალხის საბინაო პირობები დღითიდღე უარესდება. მდგომარეობა მეტისმეტად მძიმე გახდა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში 48 მილიონი კაცი, ე. ი. მოსახლეობის 43% მეტი, ჯურღმულებში ცხოვრობს. ინგლისში, მიუხედავად საცხოვრებელი ბინების დიდი კრიზისისა, საბინაო მშენებლობა ყოველწლიურად მცირდება. სტანდარტული საცხოვრებელი ბინების მშენებლობა 362 ათასიდან 1937 წელს შემცირდა 187 ათასამდე 1951 წელს. საბინაო პირობების მუდმივ გაუარესებას ადგილი აქვს აგრეთვე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ხალხის კეთილდღეობისათვის სისტემატური ზრუნვა შეიცავს აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობისათვის მუდმივ ზრუნვას. 1932 წელს სახელმწიფო. საკოლმეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხარჯები ჯანმრთელობის დაცვისათვის შეადგენდა ერთ სულზე 12 მანეთსა და 69 კაპიკს, ხოლო 1937 წელს — 60 მანეთსა და 16 კაპიკს.

მეოთხე ხუთწლედში ჯანმრთელობის დაცვისათვის სახელმწიფოს მიერ გაღებული ქნა 94,4 მილიარდი მანეთი.

მეხუთე ხუთწლედის პირველ წელს ჯანმრთელობის დაცვისათვის სახელმწიფო ხარჯები, მათ შორის სოციალური დაზღვევის სახსრებიდან ამ მიზნისათვის გაწეული ხარჯები, შეადგენდა 26,4 მილიარდ მანეთს, რაც 1940 წელთან შედარებით თითქმის 2,5 ჯერ მეტია.

საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის სისტემატური ამაღლებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შედეგად ჩვენში შემცირდა სიკვდილიანობა. განუწყვეტლივ მატულობს მოსახლეობის წმინდა მატება. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოსახლეობის წმინდა მატება 9,5 მილიონ კაცს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლები სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედების ბრწყინვალე გამოხატულებაა.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი გამოხატულებას პოულობს აგრეთვე საბჭოთა საზოგადოების კულტურული დონის მუდმივ ამაღლებაში.

საბჭოთა ადამიანების კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა ჩვენი სოციალისტური წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მომზადების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საბჭოთა კულტურის განუხრელი ზრდა. „აუცილებელია მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, — გვასწავლის ამხანაგი ი. ბ. სტალინი, — რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზო-

გადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, შრომის არსებული დანაწილების გამო, მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია" („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", გვ. 74).

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ ყველა იმ აუცილებელ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მძლავრი განვითარებისათვის საჭირო კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

სსრ კავშირში ხორციელდება საყოველთაო შვიდწლიანი განათლება, ფართოვდება სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერულ-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი. ახლა ყველა სახის სასწავლებელთა მოსწავლეების რიცხვი შეადგენს 57 მილიონ კაცს, რაც წარმოადგენს თითქმის 8 მილიონით მეტს, ვიდრე 1940 წელს.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1955 წლისათვის დამთავრდეს შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე (ათწლედი) გადასვლა რესპუბლიკის დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში. მზადდება პირობები, რათა შემდგომ ხუთწლედში მთლიანად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება (ათწლედი) დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში. მეხუთე ხუთწლედში დაიწყება პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება საშუალო სკოლებში და მიღებული იქნება ღონისძიებანი, რაც საჭიროა საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად. ხუთწლედის მანძილზე გადიდდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან ყველა გვარეობის სპეციალისტთა გამოშვება 30-35 პროცენტით. ყოველმხრივი დახმარება გაეწევა მეცნიერების ცოდნის ყველა დარგის თეორიული პრობლემების დამუშავებას.

ყველა ეს მაჩვენებელი ჩვენი საზოგადოების მატერიალური ყოფაცხოვრებისა და კულტურის მიღწევების საქმეში სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედების ბრწყინვალე გამოხატულებაა.

* * *

ძირითად ეკონომიკურ კანონში მოცემული საზოგადოებრივი წარმოების მიზნის განხორციელება შეპირობებულია ამ მიზნის მიღწევის საშუალებით. საზოგადოება წარმოებას უსახავს მიზანს და თან განსაზღვრავს იმ საშუალებას, რითაც განხორციელდება დასახული მიზანი. მაგრამ საზოგადოების მიერ წარმოებისადმი მიზნის დასახვა და ამ მიზნის განხორციელების საშუალების განსაზღვრა გამომდინარეობს ობიექტურად არსებული ეკონომიკური პირობებისაგან. ძირითადი ეკონომიკური კანონის ფორმულაში მოცემულია წარმოების მიზნისა და მიზნის განხორციელების საშუალება.

სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილების წყაროს წარმოადგენს მუდმივად მზარდი სოციალისტური წარმოება. სოციალისტურ წარმოებას საზოგადოებრივი მოთხოვნილებისაგან მოწყვეტით არსებობა არ შეუძლია.

სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონში მოცემული წარმოების მიზნის განხორციელების საშუალებას წარმოადგენს „უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა..." („სოცია-

ლიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", გვ. 84).

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონში მოცემული კაპიტალისტური წარმოების მიზანი — მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა — ხორციელდება „მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით..." („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", გვ. 42).

მაშასადამე, თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების მიზნის განხორციელების საშუალებანი ააშკარავებენ კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადიის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა აგრესიულ და მძარცველურ პოლიტიკას, მის მიზეზებსა და ფესვებს, რომლებიც გამომდინარეობენ არსებული წარმოების წესის ხასიათიდან. სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე განისაზღვრება თვით სოციალისტური წარმოების წესის ხასიათით. სოციალისტურ საწარმოო ძალთა მძლავრი აღმავლობა შედეგია იმისა, რომ ძველი, კაპიტალისტური ურთიერთობანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად შეიცვალა ახალი, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობებით, რაც საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების მთავარ და გადამწყვეტ ძალად გახდა. სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა მთავარი მამოძრავებელი ძალის როლი ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების დროს საწარმოო ძალების სისტემატური აღმავლობის მუდმივ პირობას წარმოადგენს. საწარმოო ძალების ასეთი მძლავრი აღმავლობა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედების ბრწყინვალე დადასტურებაა.

სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა უახლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის პროგრესული მოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ამ კანონის მოქმედება გამოხატავს გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის განუწყვეტელ ზრდას. საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდით, წარმოადგენს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის მომზადების ერთ-ერთ ძირითად პირობას.

წარმოების განვითარების ასეთი მიმართულება „აუცილებელია არა მარტო იმიტომ, — გვასწავლის ამხანაგი ი. ბ. სტალინი, — რომ მან მოწყობილობით უნდა უზრუნველყოს როგორც თავისი საკუთარი საწარმოები, ისე სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგის საწარმოებიც, არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ უიმისოდ საერთოდ შეუძლებელია განხორციელდეს გაფართოებული აღწარმოება" („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", გვ. 72).

ამიტომ არის, რომ სტალინური ხუთწლედების მანძილზე წარმოების საშუალებათა წარმოების ტემპი ყოველთვის წინ უსწრებდა მოხმარების საშუალებათა წარმოების ტემპს. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით განსაზღვრულია წარმოების საშუალებათა („ა" ჯგუფი) წარმოების საშუალო წლიური ზრდის ტემპი 13 პროცენტის ოდენობით, ხოლო მოხმარების საგნების („ბ" ჯგუფი) წარმოების — 11 პროცენტით. იმის შედეგად, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად უზრუნველყოფდნენ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს განვითარებას, ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი მიღწევები მოიპოვა საზოგადოების მატერია-

ლური სიმდიდრის გადიდების საქმეში. სამრეწველო წარმოების პროდუქცია 1929-1951 წლებში სსრ კავშირში გაიზარდა თითქმის 13-ჯერ.

შეხუთე ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების პროდუქციის დონე ამაღლდება 70 პროცენტით. 1952 წელს სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1951 წელთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა.

სოციალისტურ მრეწველობასთან ერთად ალმავალი გზით ვითარდება სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ ჩვენში შექმნა სოფლის მეურნეობის სოციალისტური საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების შესაძლებლობა. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში სოციალისტურმა საწარმოო ძალებმა განვითარების იმ დონეს მიაღწიეს, რომ 1952 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა შეადგინა 8 მილიარდი ფუთი. მარცვლეულის პრობლემა, რომელიც წინათ მწვავე პრობლემად ითვლებოდა, გადაჭრილია საბოლოოდ.

ამრიგად, საწარმოო ძალების მძლავრი განვითარება მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში ქმნის პირობებს საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ასამაღლებლად, რაც წარმოადგენს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის აუცილებელ პირობას.

სოციალისტური მრეწველობა, როგორც წამყვანი ძალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, სამრეწველო პროდუქციის იმ ნაწილის გადიდებით, რომელსაც ქალაქი სოფელს მიაწვდის, თანდათანობით უზრუნველყოფს მომავალში საქონელმიმოქცევის მოქმედების სფეროს თანმიყოლებით შემცირებას და პროდუქტგაცვლის მოქმედების სფეროს თანმიყოლებით გაფართოებას. ასეთი ეკონომიკური პროცესი თავის მხრივ ხელს შეუწყობს საწარმოო ძალების შემდგომ მძლავრ ალმავლობას, რადგან საკოლმეურნეო საკუთრებისა და საქონელმიმოქცევით გამოწვეული შემაფერხებელი გარემოებანი დროთა ვითარებაში თანდათანობით გაქრებიან, მოხდება ამ მხრივ შექმნილი წინააღმდეგობის ლიკვიდაცია.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება, როგორც საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ყველა მთავარი პროცესის განმსაზღვრელი, ასახავს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ამ პირობის განუხრელ და უყოყმანო განხორციელების პერსპექტივებს.

სოციალისტური წარმოება ჩვენში განუწყვეტლივ იზრდება უახლესი ტექნიკის საფუძველზე. წარმოების განვითარება ჩვენში მიმდინარეობს, როგორც რაოდენობრივი ცვლილების, ასევე თვისობრივი მაჩვენებლების განუწყვეტელი გაუმჯობესების გზით.

წარმოების განუწყვეტელი განვითარების ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს ტექნიკური შეიარაღების გაზრდა და გაუმჯობესება. ჯერ კიდევ 1926 წელს ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „...წინსვლისათვის საჭიროა ტექნიკის გაუმჯობესება, საჭიროა ძველი ქარხნების ხელახლა მოწყობა, ახალი ქარხნების აშენება. უამისოდ ახლა შეუძლებელია წინსვლა“ (ი. სტალინი, თხზ. ტ. 8, გვ. 134).

სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემის არსებობა სსრ კავშირში ტექნიკის განვითარების ფართო შესაძლებლობას ქმნის, რაც წარმოების სისტემატური განვითარების დაუშრეტელი წყაროა. ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაინერგა დიდი რაოდენობით ახალი ტიპის მრავალი მანქანა და მექანიზმი. საბჭოთა მანქანათმშენებლობის მძლავრმა განვითარებამ მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შექმნა 1.600-მდე ახალი ტიპის მანქანები და მექანიზმები.

ტექნიკის მძლავრი განვითარებისა და განუწყვეტელი სრულყოფის გარეშე შეუძლებელია ჩვენი სახალხო მეურნეობის წინსვლა კომუნიზმისაკენ. ტექნიკური პროგრესი წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას. ის წარმოადგენს სოციალისტური წარმოების მუდმივ გაფართოებული რეპროდუქციის ფაქტორს, წარმოების პროდუქციის გადიდების ფაქტორს. ჩვენი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების ხალხის კეთილდღეობისათვის წარმატებით გამოყენება წარმოუდგენელია ტექნიკური პროგრესის გარეშე. წარმოების ტექნიკის მუდმივი სრულყოფა საწარმოო ძალების ზრდას გულისხმობს, როგორც ამ უკანასკნელის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი. საწარმოო ძალები კი საზოგადოებრივი წარმოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამიტომ ტექნიკის განვითარება სოციალისტური ეკონომიკის ზრდისა და წარმატების ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ეხება რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმატებებს, აღნიშნავს: „ჩვენ ყველას გვიხარია ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზარმაზარი ზრდა, მარცვლეულის წარმოების, ბამბის, სელის, ჭარხლისა და სხვა წარმოების ზრდა. სად არის ამ ზრდის წყარო? ამ ზრდის წყაროა თანამედროვე ტექნიკა, მრავალრიცხოვანი თანამედროვე მანქანები, რომლებიც წარმოების ყველა ამ დარგს ემსახურება. საქმე აქ საერთოდ მარტო ტექნიკა კი არაა, არამედ ის, რომ ტექნიკა არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგეს, ის მუდამ სრულყოფილი უნდა ხდებოდეს, რომ ძველი ტექნიკა მწყობრიდან უნდა გამოდიოდეს და იცვლებოდეს ახალით, ახალი კი-უახლესი ტექნიკით. უამისოდ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედების წინსვლა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ არც დიდი მოსავალი, არც სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 97-98).

როგორც ვიცით, სოციალისტური წარმოების მიზანია მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელია, თუ სოციალისტური წარმოება განუწყვეტლივ არ იზრდება და სრულყოფილი არ ხდება უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე. უამისოდ ჩვენ ვერ შევძლებდით სოციალისტური წარმოების პროდუქციის მუდმივ გადიდებას, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი წარმოების მიზნის განხორციელებისათვის.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ტექნიკის განვითარება მოგების ამოქაჩვას ემსახურება. თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი ცხადყოფს, რომ „კაპიტალიზმი მომხრეა ახალი ტექნიკისა, როდესაც ეს ტექნიკა მას უდიდეს მოგებას ჰპირდება. კაპიტალიზმი წინააღმდეგია ახალი ტექნიკისა და მომხრეა ხელის შრომაზე გადავლისა, როდესაც ახალი ტექნიკა მას უკვე აღარ ჰპირდება უდიდეს მოგებას“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 43).

სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპს, რაც ჩვენი ეკონომიკური განვითარების დამახასიათებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კანონზომიერულ პროცესს წარმოადგენს.

სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა მოითხოვს მისი განვითარების მაღალ ტემპს, რაც სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა.

•
• •

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი წარმოადგენს საბჭოთა ეკონომიკის განვითარების გასაღებს, რადგან ის იძლევა ყველა საზოგადოებრივი მოვლენისა და ეკონომიკური პროცესის განსაზღვრას და ახსნას.

ამიტომ სოციალისტური საზოგადოების სხვა ეკონომიკური კანონები, რომლებიც საზოგადოებრივი წარმოების ცალკეულ პროცესებს განსაზღვრავენ, თავიანთ მოქმედებას უმორჩილებენ ძირითად ეკონომიკურ კანონს.

სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოქმედებას მაშინ ეძლევა სრული გასაქანი და მას მაშინ შეუძლია მოგვცეს ჯეროვანი ეფექტი, თუ ეს კანონები ისახავენ იმ ამოცანებს, რომლებიც მოცემულია ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებში. ძირითადი ეკონომიკური კანონი უსახავს ამოცანებს საზოგადოებაში მოქმედ სხვა ეკონომიკურ კანონებს.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ „სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მოგვცეს ჯეროვანი ეფექტი, თუ მოცემულია ამოცანა, რომლის განსახორციელებლადაც მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარება. ამ ამოცანას ვერ მოგვცემს თვითონ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი... ამ ამოცანას შეიცავს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი ზემოთ გადმოცემული მისი მოთხოვნების სახით. ამიტომ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონის მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიეცეს სრული გასაქანი თუ ის სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს ეყრდნობა“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 44-45).

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მეცნიერულად დაასაბუთა სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონსა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ (პროპორციულ) განვითარების კანონს შორის ურთიერთდამოკიდებულება. ი. ბ. სტალინმა ცხადყო იმ შეხედულების მცდარობა, რომელიც სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონს სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონად თვლიდა.

სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონად, იმიტომ რომ ის ვერ გვისახავს იმ ამოცანას, რომლის განსახორციელებლად მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარება. ამ ამოცანას გვისახავს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი.

ამიტომ არის, რომ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი თავის მოქმედების სრულ გასაქანს პოულობს სოციალისტური სახალხო მეურნეობის წარმართვის საქმეში, მაშინ, თუ ის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს ეყრდნობა. აქედან სავსებით ნათელია სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ამოცანები. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს აძლევს მგეგმავ ორგანოებს სწორად დაგეგმონ საზოგადოებრივი წარმოება. მაგრამ ამის განხორციელება (სწორად დაგეგმვა) მოითხოვს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონის დაუფლებას და მის გამოყენებას საქმის სრული ცოდნით, რათა სახალხო მეურნეობის გეგმაში სრულად იყოს ასახული ამ კანონის მოთხოვნები.

*
* *

ი. ბ. სტალინის მიერ აღმოჩენილი სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები განსაზღ-

ვრავენ ეკონომიკური განვითარების პრინციპულად განსხვავებულ ორ სხვადასხვა გეზს.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი სახავს სოციალიზმის ეკონომიკის, მშვიდობიანი ეკონომიკის, განუწყვეტელ აღმავალ გეზს, რომლისთვისაც უცხოა კრიზისები და რომელიც ვითარდება მთელი საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფის ნიშნით. ეს ეკონომიკა უზრუნველყოფს ხალხთა მასების კეთილდღეობის სისტემატურ ამაღლებას და სრულყოფას. სოციალიზმის ეკონომიკა თავისი მძლავრი აღმავლობით ამზადებს პირობას უმაღლეს ეკონომიკაში — კომუნიზმის ეკონომიკაში — გადასვლისათვის. ამ ეკონომიკისათვის დამახასიათებელია დემოკრატიულ ქვეყნებთან მეგობრული სამეურნეო თანამშრომლობა.

კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი სახავს კაპიტალიზმის ეკონომიკის გეზს „...კაპიტალიზმისა, რომლის საწარმოო ძალები ერთ ადგილს ტკეპნიან, ეკონომიკისა, რომელიც მარწუხში ჰყავს მომწყვდეული კაპიტალიზმის სულ უფრო მზარდ საერთო კრიზისს. ეკონომიკურ კრიზისებს, რაც განუწყვეტლივ მეორდება. ეს არის ეკონომიკის მილიტარიზაციის და ომისათვის მომუშავე წარმოების დარგების ცალმხრივი განვითარების გეზი, ქვეყნებს შორის კონკურენციული ბრძოლის. ერთი ქვეყნის მიერ მეორის დამონების გეზი. ასეთი მდგომარეობა იქმნება იმის შედეგად, რომ ეს ეკონომიკა ვითარდება არა საზოგადოების ინტერესებისათვის, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალისტთა მაქსიმალური მოგება ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დამონებისა და სისტემატური ძარცვის გზით, დასასრულ, ომებისა და საბალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით" (გ. მალენკოვი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, გვ. 7-8).

აქედან ნათელია, რომ ლპობადი, პარაზიტული კაპიტალიზმის აშკარა წინააღმდეგობას წარმოადგენს მუდმივად მზარდი და განვითარებადი სოციალისტური სისტემა.

სოციალისტური საწარმოო ძალების შემდგომი და თანაც მძლავრი განუხრელი აღმავლობა, რაც საკუთრივ განსაზღვრულია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობებით, ამზადებს პირობებს სოციალისტური ეკონომიკიდან უმაღლეს ეკონომიკაში — კომუნიზმის ეკონომიკაში — გადასასვლელად. ეკონომიკური განვითარების ასეთი ძლევამოსილი პროცესი განისაზღვრება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ კარგად იციან, რომ კომუნიზმის ეკონომიკის შექმნა მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ სიძნელეთა დაძლევა და ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ მით უფრო მეტ წარმატებას მოიპოვებს, რამდენადაც ჩვენ სრულყოფილად განვახორციელებთ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს.

*
* *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ ამხანაგ ი. ბ. სტალინის საპროგრამო დებულებათა საფუძველზე დაამტკიცა დირექტივები მეხუთე ხუთეწლიანი გეგმის შესახებ, რომელთა განხორციელება წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე.

ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომლის ამოცანები განსაზღვრულია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონით, მოგვცემს ჩვენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგთა ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას.

ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახულია ამოცანა: ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში, თანდათანობით გადასვლის გზით და განუწყვეტლივ ამაღლდეს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნების წარმატებით განხორციელება ჩვენი უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანაა.

თანამედროვე კაპიტალიზმის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, სადაც თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება ამ საზოგადოების ყველა წინააღმდეგობის გარდუვალ ზრდასა და აფეთქებას იწვევს, მშრომელი ხალხის მდგომარეობა მეტისმეტად აუტანელი ხდება. ეგრეთწოდებული „პიროვნების თავისუფლება“ გათელილია. პიროვნების უფლება იმათთვის არის, ვისაც კაპიტალი აქვს, ხოლო დანარჩენი ადამიანები ნედლ მასალად ითვლებიან, — ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ექსპლოატაციისათვის არიან გამოსადეგი. ბურჟუაზია ერის მეთაურად დიდი ხანია აღარ ითვლება, ის ახლა დოლარებზე ყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას.

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა, გაუკეთა რა ღრმა მეცნიერული ანალიზი კაპიტალისტური ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობას, კაპიტალისტურ ქვეყნების კომუნისტურ და დემოკრატიულ პარტიებს უდიდესი ისტორიული პროგრამა დაუსახა. „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა, — ამბობს ი. ბ. სტალინი, — გადაგდებულია. მე ვფიქრობ, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიხდებათ ამ დროშის აღმართვა და მისი წინ წაღება, თუ გსურთ ხალხის უმრავლესობა შემოიკრიბოთ. თქვენს მეტი ვერავინ აღმართავს მას.

წინათ ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, რასაც „ყველაფერზე მაღლა“ აყენებდა. ახლა „ეროვნული პრინციპებისაგან“ კვალიც აღარ დარჩენილა. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ჰყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია. ეჰვს გარეშეა, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიხდებათ ამ დროშის აღმართვა და მისი წინ წაღება, თუ გსურთ თქვენი ქვეყნის პატრიოტები იყოთ, თუ გსურთ ერის ხელმძღვანელი ძალა გახდეთ. თქვენს მეტი ვერავინ აღმართავს მას“ (ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე).

კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების ბრძოლის ასეთი ამოცანები მოამწიფა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედებამ.

ი. ბ. სტალინის მიერ პარტიის XIX ყრილობაზე დასახული პროგრამა აღაფრთოვანებს ყველა კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტურ და დემოკრატიულ პარტიებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ი. ბ. სტალინის მიერ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის აღმოჩენა და დასაბუთება შემოქმედები-

თი მარქსიზმის შემდგომი განვითარების ახალ, უმაღლეს ნიმუშს წარმოადგენს. ამ კანონის მოთხოვნების წარმატებით განხორციელება ავალებს სოციალისტური საზოგადოების წევრებს შეიარაღდნენ ობიექტური ეკონომიკური კანონების მარქსისტულ-ლენინურ ცოდნით ჩვენი ბრწყინვალე მიზნის — კომუნიზმის — წარმატებით აშენებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. ჩხიკვიშვილი

ი. სტალინის მოძღვრება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შესახებ

★

„ამხანაგ სტალინის სახელთან, — აღნიშნა ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა დიდი სტალინის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე 1953 წლის 9 მარტს, — დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხის—ეროვნული საკითხის გადაჭრა. ეროვნული საკითხის უდიდესმა თეორეტიკოსმა ამხანაგმა სტალინმა ისტორიაში პირველად, უზარმაზარი მრავალეროვანი სახელმწიფოს მასშტაბით, უზრუნველყო საუკუნეობრივი ეროვნული შუღლის ლიკვიდაცია. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ დაძლია წინათ დაჩაგრული ხალხების ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, ერთიან ძმურ ოჯახად დარაზმა საბჭოთა კავშირის ყველა ერი და გამოჭედა ხალხთა მეგობრობა“.

ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში უდიდესი როლი შეასრულა ი. სტალინის მოძღვრებამ ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შესახებ. ამ მოძღვრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირში კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის.

განსხვავებით იდეალიზმისაგან, რომელიც კულტურას განიხილავს როგორც ზეკლასობრივ, საზოგადოების ცნობიერებით განსაზღვრულ მოვლენას, სტალინური მოძღვრება გვასწავლის, რომ კულტურა კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი ხასიათისაა და საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებით, საზოგადოების ყოფიერებით განისაზღვრება.

„... საზოგადოების სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბების წყაროს, საზოგადოებრივ იდეათა, საზოგადოებრივ თეორიათა, პოლიტიკურ შეხედულებათა, პოლიტიკურ დაწესებულებათა წარმოშობის წყაროს, — მიუთითებდა სტალინი, — უნდა ვეძებდეთ არა თვით იდეებში, თეორიებში, შეხედულებებში, პოლიტიკურ დაწესებულებებში, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში, საზოგადოებრივ ყოფიერებაში, რომლის ასახვასაც წარმოადგენენ ეს იდეები, თეორიები, შეხედულებები და სხვა“ [1].

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი კერძო საკუთრებაა წარმოების საშუალებებზე, სადაც ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა-უფლება ბურჟუაზიის ხელშია, გაბატონებული ეროვნული კულტურა თავისი შინაარსით ბურჟუაზიულია. სოციალური ჩაგვრა, ეროვნული შუღლი, კოლონიური მტაცებლობა, რასისტული კაცთმოძულეობა — ასეთია ბურჟუაზიული ეროვნული კულტურის შინაარსი.

ითვალისწინებდნენ რა ამ გარემოებას, ბურჟუაზიულ-ფეოდალურ რუსეთში

---

[1] ი. სტალინი, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, 1950 წ. გვ. 141.

ვ. ი. ლენინი და ი. სტალინი გამოდიოდნენ „ეროვნული კულტურის“ ლოზუნგის წინააღმდეგ.

მენშევიკები, ბუნდელები და ბურჟუაზიის სხვა აგენტები, პირიქით, ჩქმალავდნენ „ეროვნული კულტურის“ ლოზუნგის ბურჟუაზიულ კლასობრივ არსს და ქადაგებდნენ რეაქციულ „ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის“ თეორიას, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული ნიშნის მიხედვით მშრომელთა გამიჯვნას, ეროვნული ბურჟუაზიის მიერ „საკუთარი“ პროლეტარიატის სულიერ დამორჩილებას.

ი. სტალინი ილაშქრებდა ერის ყველა წევრის ნაციონალურ-კულტურული შეკავშირების წინააღმდეგ, შეკავშირებისა, რომელსაც ქადაგებდა რეაქციული „ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის“ თეორია. „არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი ერის „კულტურულ ერთობაზე“, — აღნიშნავდა ი. სტალინი, — როდესაც ერთი და იმავე ერის მეპატრონეებსა და მუშებს ერთმანეთის აღარა გაეგებათ-რა. რა „ბედის ერთობაზე“ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ბურჟუაზიას ომი სწყურია, პროლეტარიატი კი „ომს ომს“ უცხადებს?“ [1]

ბურჟუაზიის ბატონობის დროს ყოველ ეროვნულ კულტურაში საქმე გვაქვს ორ კულტურასთან: ერთი მხრით, ბურჟუაზიულ კულტურასთან, რომელიც მისი მატარებელი კლასის ეკონომიკაში და პოლიტიკაში გაბატონებული მდგომარეობის გამო საზოგადოების გაბატონებულ კულტურას წარმოადგენს და, მეორე მხრით, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტებთან, კულტურისა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში ვერ ახერხებს ყოველმხრივ განვითარებას.

„ორი ერია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — თვითეულ თანამედროვე ერში... არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში, არის ველიკოროსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეების, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკოროსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები. ასეთივე ორი კულტურაა უკრაინელობაში, ისევე როგორც გერმანიასა, საფრანგეთსა, ინგლისში, ებრაელებში და სხვა“ [1].

ამრიგად, კაპიტალიზმის ეპოქაში ერი ქმნის შინაარსით ორ კულტურას: ბურჟუაზიულს და პროლეტარულს. ამ ორ, ბურჟუაზიულ და პროლეტარულ, კულტურას შორის მიმდინარეობს შეურიგებელი ბრძოლა, რომელიც კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიურ ფორმას წარმოადგენს, და რადგანაც „ეროვნული კულტურის“ ლოზუნგი ბურჟუაზიის ეპოქაში ნიშნავს ბურჟუაზიული ეროვნული კულტურისათვის და არა სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლას, ამიტომ ბოლშევიკები უარყოფდნენ ამ ლოზუნგს.

მარქსიზმ-ლენინიზმი კულტურას არასოდეს არ განიხილავს, როგორც უეროვნო მოვლენას; კულტურა არსებობს და ვითარდება გარკვეულ ეროვნულ ფორმაში. „დიახ, პატივცემულო ბუნდისტო, ინტერნაციონალური კულტურა უეროვნო არ არის, — პასუხობდა ვ. ი. ლენინი ბუნდისტ ლიბმანს, — ეს არავის უთქვამს. არავის გამოუცხადებია არც პოლონური, არც ებრაული, არც რუსული, არც სხვა რომელიმე „წმინდა“ კულტურა“... [2]

ი. სტალინი გვასწავლის, რომ ბურჟუაზიული წყობილების დროს კულტურის როგორც ბურჟუაზიული, ისევე პროლეტარული შინაარსი ვლინდება ეროვნულ ფორმაში, რომ ეროვნული ფორმა სამსახურს უწევს ორ მოწინააღმდეგე ხასიათის კულტურას. თუ „კულ-

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 353.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 21.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 9—10.

ტურა თავისი შინაარსით იცვლება საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ პერიოდში"...[1], ეროვნული ფორმა კულტურისა, რომლის მთავარ ელემენტს ეროვნული ენა წარმოადგენს, ძირითადად, იმავე ეროვნულ ფორმად რჩება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და თანაბრად ემსახურება, როგორც ახალი კულტურის შინაარსს, ისევე ძველს. პარტიის XVI ყრილობაზე ი. სტალინი ამბობდა: „განა ცხადი არ არის, რომ ლენინი, ებრძოდა რა ეროვნული კულტურის ლოზუნგს ბურჟუაზიული წყობილების დროს, ლახვარს სცემდა ეროვნული კულტურის ბურჟუაზიულ შინაარსს და არა მის ეროვნულ ფორმას?"[2].

კულტურის ბურჟუაზიულ შინაარსსა და ეროვნულ ფორმას შორის არსებობს შინაგანი წინააღმდეგობა. მიზეზი ამ წინააღმდეგობისა იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული ფორმისაგან განსხვავებით, შინაარსი ბურჟუაზიული კულტურისა არ გამოხატავს საყოველთაო-სახალხო ინტერესებს, ეროვნული ფორმა ბურჟუაზიული კულტურისა საყოველთაო-სახალხოა, შინაარსი კი შებოჭილია ვიწრო ექსპლოატატორული კლასების ინტერესებით. ამ წინააღმდეგობას ბურჟუაზიული კულტურა მიჰყავს მძიმე კრიზისამდე, ხოლო იმპერიალიზმის ეპოქაში — სრულ დაცემამდე, გახრწნამდე.

საწინააღმდეგო სურათია სოციალისტურ კულტურაში. ეს კულტურა თავისი წარმოშობის პირველი დღიდანვე, — ხოლო წარმოიშობა იგი კაპიტალისტური წყობილების წიაღში სოციალისტური და დემოკრატიული კულტურის ელემენტების სახით, — გამოხატავს რა ხალხის უმრავლესობის ინტერესებს, სრულ შესაბამისობაშია მის ეროვნულ ფორმასთან.

[1] ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 19.

[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 400.

რა არის კულტურის ეროვნული ფორმა? კულტურის ეროვნული ფორმა, კულტურის შინაარსის გამოვლინების ყველა იმ თვისობრივი, მხოლოდ გარკვეული ერისათვის დამახასიათებელი, თავისებურებების ერთობაა, რომლებიც ერში საუკუნეების მანძილზე მუშავდება, ეროვნულ სპეციფიკას შეადგენს და ერთი ერის კულტურას ასხვავებს სხვა ერების კულტურისაგან.

კულტურის ეროვნული სპეციფიკა, ფორმა ძირითადად ეროვნული ენით განისაზღვრება. „ნუთუ ჩვენი ამხანაგები არ იცნობენ მარქსისტების ცნობილ ფორმულას იმის შესახებ, — მიუთითებდა ი. სტალინი თავის გენიალურ ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები", — რომ ახლანდელი რუსული, უკრაინული, ბელორუსული და სხვა კულტურები სოციალისტურია შინაარსით და ეროვნულია ფორმით, ე. ი. ენით?"[1].

ეროვნული ენა კულტურის ეროვნული ფორმის ძირითადი გადამწყვეტი ელემენტია, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს გავაიგივოთ ენა კულტურასთან. ი. სტალინმა ამხილა არამარქსისტული „მოძღვრება" ნ. მარისა და მისი „მოწაფეებისა", რომლებიც ვერ ხედავდნენ განსხვავებას ენასა და კულტურას შორის. „...კულტურა და ენა სულ სხვადასხვა რამეა. კულტურა შეიძლება ბურჟუაზიულიც იყოს და სოციალისტურიც, ენა კი, როგორც ურთიერთობის საშუალება, ყოველთვის საერთო-სახალხო ენაა და შეუძლია ბურჟუაზიულ კულტურასაც ემსახურებოდეს და სოციალისტურსაც"[2].

მაგრამ ეროვნული ენით არ ამოიწურება კულტურის ეროვნული სპეციფიკა. ამის შესახებ არაერთხელ მიუთითებდა ი. სტალინი თავის ნაშრომებში.

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950 წ., გვ. 19.

[2] ი. სტალინი, იქვე, გვ. 18.

დიდი რუსი პოეტი ა. პუშკინი წერდა, რომ ლიტერატურულ ქმნილებაში ეროვნული სპეციფიკის გამოსავლენად არ არის საკმარისი ნაწარმოები დაიწეროს დედაენაზე. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", თარგმნილს, ვთქვათ, რუსულ ენაზე, უნდა დაეკარგა ქართული ეროვნული სპეციფიკა, ან თანამედროვე ამერიკისა და ინგლისის რეაქციულ ლიტერატურებს შორის არ უნდა არსებობდეს სხვაობა ეროვნული სპეციფიკის თვალსაზრისით, რადგანაც ერთიც და მეორეც ინგლისურ ენაზე იწერება.

ლ. ტოლსტოის ნაწარმოების — „ომი და მშვიდობა", როგორც რუსული კლასიკური ლიტერატურის უდიდესი ქმნილების, რუსული ეროვნული ფორმა ვლინდება არა მარტო რომანის ეროვნულ ენაში, არამედ მოქმედი გმირების, როგორც რუსი ადამიანების, „ეროვნულ ხასიათში", იმ თვისობრივ სპეციფიკაში, რომელიც რუსი ხალხის ფსიქიკური წყობისთვისაა დამახასიათებელი.

ს. ბაბაევსკის „ოქროს ვარსკვლავის კავალერი" და კაზახი მწერლის გ. მუსტაფინის „მილიონერი" ომისშემდგომ პერიოდში კოლმეურნე გლეხების შემოქმედებითი შრომის ეპიკურ სურათებს ხატავენ. ამ ორი ნაწარმოების თემა და იდეა ერთნაირია, მათში საბჭოთა ადამიანებია დახატული, მაგრამ ამ ადამიანთა მოქმედებებს განსხვავებული ეროვნული ხასიათის დაღი აზია, რადგანაც ისინი სხვადასხვა ერის შვილებია.

ერის ფსიქიკური წყობა, ეროვნული ხასიათი ერის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. ერები, გვასწავლის ი. სტალინი, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო ცხოვრების პირობებით, არამედ სულიერი სახით, ერის ფსიქიკური წყობითაც, რაც ეროვნული კულტურის თავისებურებაში ვლინდება. დიდი სტალინი მიუთითებს, რომ ერის ფსიქიკური წყობა „ერისათვის საერთო კულტურის თავისებურებებით გამოიხატება". ერის საერთო კულტურაში ამხანაგი სტალინი გულისხმობდა კულტურის ეროვნულ ფორმას, სპეციფიკას, რომელიც კულტურის შინაარსისაგან განსხვავებით, საერთოა ერის ყველა წევრისათვის.

ერის ფსიქიკური წყობის შედარებით მკვეთრი გამოხატულება შეიმჩნევა კულტურის ისეთ დარგებში რომელთა მიერ შექმნილი მხატვრული სახეები მოკლებული არიან კონკრეტულ სიტყვიერ მასალას. აქ იგულისხმება ქორეოგრაფია, სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა, მუსიკა და სხვა, რომელთა ეროვნული ფორმა, როგორც ცნობილია, პირდაპირ არ არის დაკავშირებული ეროვნულ ენასთან.

ეროვნული ფორმის განსაზღვრაში ეროვნული ენის გარდა მონაწილეობას იღებს აგრეთვე ერის თავისებური ყოფა და ამით განპირობებული ერის ფსიქიკური წყობა, ეროვნული ხასიათი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საკითხის მატერიალისტურ გაგებამდე მივიდა დიდი ქართველი პოეტი ა. წერეთელი. მუსიკის ეროვნული სპეციფიკის შესახებ იგი წერდა: „ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, მიხვრა-მოხვრა, გამოთქმის კილო, გამომეტყველება და სხვანი. სიმღერა არის ხალხის გრძნობისა და ნაფიქრალის, თავგადასავლის გამოხატვა. და ამიტომაც, როგორც ცხოვრება, ისევე სიმღერაც სხვადასხვაა. მიბაძვა ერთი მეორესი, გინდა გამშვენიერებულიც იყოს, გაფუჭებაა. ქართულ ხმებსაც თავისი განსაკუთრებული კილო აქვს — თავისი ეროვნული საიდუმლოება... ეს უნდა შეიგნონ ჩვენმა მომღერლებმა და კომპოზიტორებმა და მაშინ ექნება ფასი მათ მოღვაწეობასაც. ამგვარ შეგნებას დიდი შრომა, მეცადინეობა, ხალხის შესწავლა და დაკვირვება უნდა" [1].

[1] ლ. ასათიანი, ცხოვრება ა. წერეთლისა, 1940, გვ. 466.

ამრიგად, ეროვნული ენა და ერის თავისებური ყოფით განპირობებული „ეროვნული ხასიათი“ ერის თვისობრივ თავისებურებას, ერის სპეციფიკას შეადგენს. „საბჭოთა ადამიანები ფიქრობენ, — გვასწავლის ი. სტალინი, — რომ ყოველ ერს, — სულ ერთია — დიდსა თუ მცირეს, თავისი თვისობრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს. ამ აზრით ყველა ერი — მცირეც და დიდიც — თანაბარ მდგომარეობაშია, და თვითეული ერი ყოველი სხვა ერის თანაბარმნიშვნელოვანია“ [1].

ამრიგად, კულტურის ეროვნული ფორმა ერის ამ თვისობრივი თავისებურებებით, ერის სპეციფიკით განისაზღვრება.

რევოლუციის ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მოღვაწეობის პირველი დღიდანვე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მუშათა კლასის კულტურული დონის ამაღლების საქმეს, სოციალისტური კულტურის განვითარების საქმეს. მაგრამ, როგორც გვასწავლიდნენ ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი და როგორც დაასაბუთა პრაქტიკამ, სოციალისტური კულტურის ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც მოსპობილია კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და მის ადგილზე დამკვიდრებულია საკუთრების საზოგადოებრივი ფორმა, სადაც არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც კომუნიზმის იდეოლოგია საზოგადოების გაბატონებულ და ერთადერთ იდეოლოგიას წარმოადგენს. სოციალისტური კულტურის ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა პირობებში.

[1] „ბოლშევიკი“, № 4 1948, გვ. 2.

სოციალისტური კულტურის აყვავება სოციალისტური ერების არსებობასთან და განვითარებასთანაა დაკავშირებული.

საქმე ისაა, რომ საერთოდ ერები კაპიტალიზმის ლიკვიდაციასთან ერთად არ ისპობა, ისპობა მხოლოდ ბურჟუაზიული ერები. ძველი ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე წარმოიშობიან და ვითარდებიან ახალი სოციალისტური ერები, რომლებიც ძირფესვიანად განსხვავდებიან ბურჟუაზიული ერებისაგან როგორც თავისი კლასობრივი სტრუქტურით და სულიერი სახით, ისე თავისი სოციალურ-პოლიტიკური მიზნებითა და ამოცანებით.

თუ ბურჟუაზიული ერების კულტურა — ამ ერების ანტაგონისტურ კლასებად დაყოფის გამო — გაყოფილია ორ ანტაგონისტურ კულტურად, საბჭოთა ერებს მოეპოვებათ შინაარსით ერთიანი სოციალისტური კულტურა. ამ კულტურის ეკონომიკურ საფუძველს წარმოების სოციალისტური წესი წარმოადგენს, — მისი იდეოლოგიურ-პოლიტიკური საფუძველი მარქსიზმ-ლენინიზმია. კულტურის სოციალისტური შინაარსი განისაზღვრება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლით საბჭოთა სახელმწიფო სისტემაში, რომელიც წარმართავს კულტურის განვითარების საქმეს.

სოციალისტური კულტურა ძირფესვიანად განსხვავდება ყველა დროის კულტურისაგან. საბჭოთა კულტურა ექსპლოატაციისაგან თავისუფალი, კომუნიზმის მშენებელი მილიონების კულტურაა. საბჭოთა კულტურა ახალი მსოფლიოს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი გამარჯვების საფუძველზე შექმნილი კულტურაა. იგი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური კულტურაა, რომლის განვითარების დაუშრეტელ წყაროს მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი იდეები წარმოადგენენ.

სოციალისტური კულტურის განვითა-

რებაში ნათლად ჩანს საბჭოთა ხალხის სტალინური მეგობრობა.

ერთიან საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთდახმარების ბაზაზე დამყარებული ხალხების ძმური თანამშრომლობა განსაზღვრავს სოციალისტური კულტურის ერთიანობას, საბჭოთა ხალხის თანამშრომლობასა და ძმურ ურთიერთდახმარებას კულტურული მშენებლობის საქმეში.

სოციალისტური კულტურის განვითარებაში ნათლად ჩანს საბჭოთა ხალხებს შორის არსებული სტალინური მეგობრობის პრინციპი. საბჭოთა კულტურის განვითარების საქმე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის საყოველთაო მზრუნველობისა და ყურადღების საქმეა. სტალინურმა მეგობრობამ შესაძლებელი გახადა საბჭოთა ხალხების მტკიცე კულტურული ურთიერთობა.

შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავის იუბილეს წინა დღეებში ამხანაგი ლ. ბერია გაზეთ „პრავდაში" წერდა: „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მთელი ხალხის შემოქმედებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის პირობებში, გახდა შესაძლებელი გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების დღიდან 750 წლისთავის აღნიშვნა. მხოლოდ ჭეშმარიტი სტალინური მეგობრობის პირობებში გახდა შესაძლებელი სსრ კავშირის ხალხთა ის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა, როდესაც ხალხთა კულტურის უდიდესი ძეგლები მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად ხდებიან, როდესაც უკვდავი რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად თანაბარი სიყვარულით ემზადებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში" [1].

საბჭოთა ხალხის ამ თანამშრომლობაში პირველი ადგილი ეკუთვნის დიდ რუს ხალხს. რუსმა ხალხმა უდიდესი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირის ხალხებს კულტურული რევოლუციის ჩატარების საქმეში. დიდმა რუსმა ხალხმა გადამწყვეტი როლი შეასრულა სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში.

სოციალისტური კულტურის დამახასიათებელ ნიშანს მისი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი წარმოადგენს. სოციალისტური კულტურა გამსჭვალულია თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. საბჭოთა კულტურის თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს ნაციონალურს, რადგანაც ინტერნაციონალიზმი ხელოვნებაში, როგორც აღნიშნავდა დიდი სტალინის თანამებრძოლი ა. ჟდანოვი, ისახება არა ეროვნული ხელოვნების დამცირებისა და გაღარიბების საფუძველზე, არამედ, პირიქით, ინტერნაციონალიზმი წარმოიშვება იქ, სადაც იფურჩქნება ეროვნული ხელოვნება. უთვისტომო კოსმოპოლიტიზმისაგან განსხვავებით, რომელიც ნაციონალურ ნიჰილიზმს ქადაგებს, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი აღიარებს დიდი და პატარა ერების თანაბარფასოვნებას, თანასწორუფლებიანობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ძირფესვიანად განსხვავდება ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმისაგან, რომელიც, როგორც იმპერიალიზმის იდეოლოგია, ერთა ძალდატანებით ასიმილიზაციის პოლიტიკას ემსახურება.

დღეს, როდესაც მსოფლიო ორ ბანაკადაა გაყოფილი — ომისა და იმპერიალიზმის ბანაკად და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკად — სოციალისტური კულტურის ინტერნაციონალიზმი ინგლისისა და ამერიკის რეაქციული იდეოლოგიის — კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უძლიერეს იარაღს წარმოადგენს.

[1] ლ. პ. ბ ე რ ი ა. ლენინ-სტალინის დიადი დროშით: სტატიები და სიტყვები. 1941 წ. გვ. 60.

სოციალისტური კულტურა ხალხის ინტერესებს, სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება. ამხანაგი სტალინი პირდაპირ მიუთითებდა, რომ კომუნისტური პარტიის მიზანს წარმოადგენს გახადოს ყველა მუშა, ყველა გლეხი კულტურული, განათლებული, აქედან სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას სამეურნეო-ორგანიზაციული და კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქცია წარმოადგენს. მსგავსი ფუნქცია არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ტიპის სახელმწიფოს. სოციალისტური სახელმწიფოს ეს არსი შეპირობებულია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონით, რომელიც დიდმა სტალინმა აღმოაჩინა. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსია „მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“ [1].

სოციალისტური კულტურა საყოველთაო-სახალხო კულტურაა. ეს ნიშნავს არა მარტო იმას, რომ საბჭოთა ხალხი სარგებლობს კულტურული მონაპოვრით, რაც თავისთავად სოციალისტური რევოლუციის უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს, არამედ იმასაც, რომ საბჭოთა ხალხი წარმოადგენს კულტურისნამდვილ შემოქმედს.

სოციალისტური კულტურა ხასიათდება აგრეთვე იმით, რომ შინაარსით ერთიანი საბჭოთა ხალხების კულტურა სხვადასხვა ეროვნულ ფორმებში ვითარდება.

ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, რევოლუციის გამარჯვებამ შექმნა ყველა პირობა სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის. მაგრამ იბადება კითხვა: რა ფორმით უნდა გამოვლინებულიყო საბჭოთა ხალხების შინაარსით ერთიანი სოციალისტური კულტურა? არსებობს თუ არა შინაარსით ერთიანი სოციალისტური კულტურის ერთიანი სოციალისტური ფორმით გამოვლინების საშუალება პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების პირობებში?

ამ კითხვას ღრმა მეცნიერული პასუხი გასცა ამხანაგმა სტალინმა. მან დაასაბუთა, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებით არ იქმნება ერების და ეროვნული ენების ერთმანეთთან შერწყმისათვის საჭირო პირობები, რომ — პირიქით — ეს პერიოდი ქმნის ხელსაყრელ ვითარებას იმ ერების აღორძინებისა და აყვავებისათვის, რომლებიც წინათ მეფის იმპერიალიზმისაგან იჩაგრებოდნენ, ახლა კი საბჭოთა რევოლუციით განთავისუფლებული არიან ეროვნული ჩაგვრისაგან.

ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ, რადგანაც ეროვნული თავისებურებანი შენარჩუნებული იქნებიან პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების პირობებში, კულტურის სოციალისტური შინაარსის გამოსავლინებლად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ფორმა.

ი. სტალინმა პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს უჩვენა სოციალისტური კულტურის განვითარების ერთადერთი სწორი გზა. ამ გზით სოციალისტური კულტურის განვითარების წარმართვამ უზრუნველყო სსრ კავშირში კულტურული რევოლუციის ჩატარება და კულტურის მხრით ჩამორჩენილ ეროვნებათა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ჩაბმა. „...მხოლოდ ეროვნული კულტუ-

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ. გვ. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების განვითარების დროს შეიძლება ჩამორჩენილ ეროვნებათა ნამდვილად ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში“ [1].

პარტიის X ყრილობის რეზოლუციაში, რომელიც დაწერილია ამხანაგ სტალინის მიერ, აღნიშნულია, რომ „პარტიის ამოცანაა დაეხმაროს არაველიკოროს ხალხთა მშრომელ მასებს დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ რუსეთს, დაეხმაროს მათ: ა) განავითარონ და განამტკიცონ თავიანთი საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იმ ფორმებით, რომლებიც ამ ხალხების ეროვნულ-საყოფაცხოვრებო პირობებს შეესაბამება; ბ) განავითარონ და განამტკიცონ დედაენაზე მოქმედი სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ხელისუფლების ორგანოები, შედგენილნი ადგილობრივი პირებისაგან, რომლებიც იცნობენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრებასა და ფსიქოლოგიას; გ) განავითარონ თავიანთი პრესა, სკოლა, თეატრი, საკლუბო საქმე და საერთოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი დედაენაზე; დ) მოაწყონ და განავითარონ როგორც საერთო-საგანმანათლებლო, ისე პროფესიულ-ტექნიკური ხასიათის კურსებისა და სკოლების ფართო ქსელი დედაენაზე“. [2]

ი. სტალინი მოითხოვდა ეროვნული კულტურის საკითხის დიალექტიკურ განხილვას. როგორც კლასების საბოლოო ლიკვიდაციამდე საზოგადოებას შეუძლია მივიდეს მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით, ასევე ეროვნებათა შეერთებამდე, ე. ი. ეროვნულ კულტურათა შეერთებამდეც, საზოგადოებას შეუძლია მივიდეს მხოლოდ და მხოლოდ ერების განთავისუფლების, მათი ეროვნული კულტურის აყვავების გზით.

როგორც ვხედავთ, პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა შინაარსით სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმის ლოზუნგი. ამრიგად, თუ კაპიტალიზმის ეპოქაში ბოლშევიკებიუარყოფდნენ „ეროვნული კულტურის“ ლოზუნგს, სოციალიზმის ეპოქაში შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის ლოზუნგი პარტიის მოღვაწეობის პროგრამად იქცა.

შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის ლოზუნგის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ტროცკისტები, ზინოვიეველები და სხვა ჯურის ოპორტუნისტები. ისინი „ამტკიცებდნენ“, რომ საბჭოთა პირობებში კულტურის ეროვნული ფორმის მოთხოვნა ნიშნავს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, რომ ეროვნული კულტურის ლოზუნგი ყოველთვის, საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე არის ბურჟუაზიული ლოზუნგი.

ამხანაგმა სტალინმა ამხილა ხალხის მტრების ეს ოპორტუნისტული შეხედულებანი. მან დაგვანახა, რომ ეროვნული კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში შინაარსით სოციალისტურია, რომ საბჭოთა კულტურის სოციალისტური შინაარსი სსრ კავშირის სხვადასხვა ეროვნებებში, რომლებიც ჩაბმული არიან სოციალისტური მშენებლობის საქმეში გამოვლინების სხვადასხვა ფორმებსა და ხერხებს პოულობს.

აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებაზე, 1925 წ. 18 მაისს, ამხანაგი სტალინი ამბობდა: „პროლეტარული კულტურა, თავისი შინაარსით სოციალისტური, გამოხატულების სხვადასხვა

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 401.

[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 398—399.

ფორმებსა და საშუალებებს იღებს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხებში, ენის, ყოფაცხოვრების და სხვ. განსხვავების მიხედვით. თავისი შინაარსით პროლეტარული, ფორმით ნაციონალური, — ასეთია ის საერთო-საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა კი არ უარყოფს ნაციონალურ კულტურას, არამედ შინაარსს აძლევს მას. და, პირიქით, ნაციონალური კულტურა კი არ უარყოფს პროლეტარულ კულტურას, არამედ ფორმას აძლევს მას. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიული ლოზუნგი იყო, სანამ ძალაუფლება ხელთ ეპყრა ბურჟუაზიას... ნაციონალური კულტურის ლოზუნგი პროლეტარული ლოზუნგი გახდა, როცა ძალაუფლება პროლეტარიატმა მოიპოვა..." [1]

ამხანაგმა სტალინმა ნათელყო, რომ ოპორტუნიზმის საფუძველს წარმოადგენს კაუცკის შოვინისტური თეორია, რომლის ძალით უკვე სოციალიზმის ეპოქაში უნდა შეიქმნეს ერთი საერთო ენა, ხოლო სხვა ენები უნდა გადაშენდნენ. რენეგატი კ. კაუცკი „ამტკიცებდა", რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება XIX საუკუნეში გაერთიანებული ავსტრია-გერმანიის სახელმწიფოში აუცილებლად გამოიწვევდა ერების ერთ საერთო გერმანულ ერში შერწყმას საერთო გერმანული ენით, რომ ასეთი რევოლუცია გამოიწვევდა ჩეხების გაგერმანელებას.

საბჭოთა გამოცდილებამ, სოციალისტურმა სინამდვილემ დაასაბუთა კაუცკისა და ნაციონალშოვინისტების შეხედულებათა რეაქციულობა, მათი მეცნიერული და ისტორიული უსაფუძვლობა.

სოციალისტურმა რევოლუციამ კი არ შეამცირა, არამედ გაზარდა ენათა რაოდენობა. მან, მოძრაობაში მოიყვანა რაკაცობრიობის ულრმესი დაბალი ფენები, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა და ახალი ცხოვრებისათვის გამოაღვიძა მთელი რიგი ახალი ეროვნებები, რომლებიც წინათ უცნობი ან ნაკლებად ცნობილი იყვნენ. „ვინ იფიქრებდა, რომ მეფის ძველი რუსეთი, — წერდა სტალინი, — სულ ცოტა 50 ერსა და ეროვნულ ჯგუფს წარმოადგენდა? მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ძველი ბორკილები გაგლიჯა და ასპარეზზე გამოიყვანა მთელი რიგი დავიწყებული ხალხები და ეროვნებანი, რითაც მისცა მათ ახალი ცხოვრება და ახალი განვითარება" [1].

სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმის ყოველმხრივ სრულყოფას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კულტურის განვითარებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

მაგრამ ეროვნული ფორმა სოციალისტური კულტურისა არ წარმოადგენს პარტიის თვითმიზანს, რადგანაც ეროვნული ფორმის სოციალისტური შინაარსისაგან დამოუკიდებლად განვითარებას მივყავართ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმისაკენ, სოციალისტური კულტურის უარყოფისაკენ.

მარქსიზმ-ლენინიზმი, წინააღმდეგ იდეალიზმისა და მეტაფიზიკისა, შინაარსისა და ფორმის დიალექტიკურ ერთიანობაში შინაარსს ანიჭებს პირველადს, გადამწყვეტ მნიშვნელობას, ფორმას კი — მეორეულს. შინაარსი განსაზღვრავს ფორმას.

ჩვენი კულტურის ეროვნული ფორმა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია სოციალისტურ შინაარსთან, წარმოადგენს ისტორიულად მიზანშეწონილ და აუცილებელ ფორმას. სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმა გზაა კულტურის სოციალისტური ფორმის გამო-

1 ი. სტალინი, თხზ., ტ. 7, გვ. 152.

1 ი. სტალინი, თხზ., ტ. 7, გვ. 153.

მუშაებისათვის. მაგრამ საკმარისია ეროვნული ფორმა მოსწყდეს მის სოციალისტურ შინაარსს, საკმარისია დაირღვეს შინაარსისა და ფორმის ერთიანობა, რომ ეროვნული ფორმა გადაიქცევა რეაქციულ ფაქტორად, რომელიც მხოლოდ ხელს შეუშლის საბჭოთა კულტურის განვითარებას, ვინაიდან ეროვნულ ფორმას შეუძლია სამსახური გაუწიოს არა მარტო კულტურის სოციალისტურ შინაარსს, არამედ ბურჟუაზიულ კულტურასაც.

კულტურის სოციალისტური შინაარსი და ეროვნული ფორმა მთლიანობაში უნდა იყვნენ, ეროვნული ფორმა სოციალისტურ შინაარსს უნდა ემსახურებოდეს. ამ ერთიანობაში, უპირველეს ყოვლისა, მთავარია სოციალისტური შინაარსი და არა ეროვნული ფორმა.

ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1927 წელს ამხანაგი სტალინი მოითხოვდა ეროვნული კულტურის საბჭოთა საფუძველზე განვითარებას, ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტია გადაჭრით ებრძვის მათ, ვინც ცდილობს ეროვნული ფორმა მოსწყვიტოს კულტურის სოციალისტურ შინაარსს.

1926 წლის აპრილში ი. სტალინი ლ. კაგანოვიჩისა და უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრების სახელზე გაგზავნილ წერილში მიუთითებდა უკრაინელ კომუნისტებს იმ ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საშიშროებაზე, რომელიც წარმოიშვა უკრაინაში იმის გამო, რომ ეროვნული კულტურის განვითარების საქმეს ხელმძღვანელობდნენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ამხანაგი სტალინი წერდა: „... უკრაინაში ძირითადი კომუნისტური კადრების სისუსტის გამო ამ მოძრაობამ, რომელსაც ძალიან ხშირად სათავეში უდგას არაკომუნისტური ინტელიგენცია, შეიძლება ადგილ-ადგილ მიიღოს საერთო-საბჭოთა კულტურისა და საზოგადოებრიობისაგან უკრაინული კულტურისა და უკრაინული საზოგადოებრიობის განკერძოებულობისათვის ბრძოლის ხასიათი, საერთოდ „მოსკოვის“ წინააღმდეგ, საერთოდ რუსების წინააღმდეგ, რუსული კულტურისა და მისი უმაღლესი მიღწევის — ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი“ [1].

სოციალისტური შინაარსი საბჭოთა კულტურისა პირველადია ეროვნული ფორმის მიმართ, ეროვნული ფორმა სოციალისტური შინაარსით განისაზღვრება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ფორმა პასიურია სოციალისტური შინაარსის მიმართ. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ფორმა, რომელიც შესაბამისობაში იმყოფება შინაარსის მიმართ, ფორმა, რომელიც პროგრესულ შინაარსს ემსახურება, მამობილიზებელი და გარდამქმნელი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს, აჩქარებს შინაარსის განვითარებას, წინსვლას. ჩვენი სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმა სწორედ ისეთ აქტიურ ძალას წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს სოციალისტური კულტურის განვითარებას, აყვავებას.

რომ ეროვნული ფორმა სოციალისტური კულტურისა აჩქარებს სოციალისტური კულტურის წინსვლას, საბჭოთა ხალხის კულტურული დონის ზრდას, ამას მოწმობს საბჭოთა კავშირში კულტურული რევოლუციის ისტორიულად ხანმოკლე პერიოდში განხორციელება. განა ცხადი არაა, რომ ეროვნული ფორმის გარეშე, სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული ენის, ყოფისა და ეროვნულ თავისებურებათა მხედველობაში მიღების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად ასე მოკლე ვადაში კულტურული რევოლუციის ჩატარება?

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 8, გვ. 166—167.

ეხებოდა რა ამ საკითხს, ამხანაგი სტალინი თავის ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ წერდა, რომ საბჭოთა ხალხის კულტურის წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა „...ძოვაწყოთ პრესა, თეატრები, კინო და სხვა კულტურული დაწესებულებანი დედაენაზე.

გვეკითხებიან — რატომ დედაენაზე? იმიტომ, რომ ხალხის მილიონიან მასებს შეუძლიათ კულტურული, პოლიტიკური და სამეურნეო განვითარების საქმეში წარმატებებს მიაღწიონ მხოლოდ დედაენაზე, ეროვნულ ენაზე“ [1].

ამხანაგ სტალინის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ იმ ამოცანების მტკიცე და თანმიმდევრული განხორციელების შედეგად, რომლებიც დიდმა სტალინმა დასახა, წინათ მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარეები გადაიქცნენ აყვავებულ რესპუბლიკებად განვითარებული სოციალისტური ინდუსტრიით და მძლავრი კოლექტიური სოფლის მეურნეობით. ამ რესპუბლიკებმა კულტურის განვითარებაში უკან ჩამოიტოვეს დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა.

ასეთია კაცობრიობის უდიდესი გენიის — დიდი სტალინის ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი ნაყოფი.

დიდმა სტალინმა შეაიარაღა კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ნათელი პროგრამით. ი. სტალინმა ერების განვითარების ისტორიისა და კანონზომიერების ანალიზის საფუძველზე მოგვცა გენიალური პროგნოზი ერების შემდგომი განვითარების გზების შესახებ.

ი. სტალინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვების შედეგად, როდესაც დამყარდება ერთიანი ეკონომიკური სისტემა, დადგება საკითხი ეროვნულ თავისებურებათა და ეროვნულ ენათა კვდომისა, ერთიანი ენის შექმნისა და ეროვნული კულტურების ერთ საერთო (შინაარსითაც და ფორმითაც) კულტურად შეერთების შესახებ.

თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ დიდმა სტალინმა წამოაყენა პროგრამული დებულებანი კომუნიზმში გადასვლის მომზადების სამი ძირითადი წინასწარი პირობის შესახებ.

ჯერ-ერთი, საჭიროა მტკიცედ უზრუნველვყოთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა. მეორეც, საჭიროა საკოლმეურნეო საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე, ხოლო საქონლის მიმოქცევა აგრეთვე თანდათანობით გადასვლის გზით შევცვალოთ პროდუქტების გაცვლის სისტემით.

კომუნიზმში გადასვლის ძირითადი წინასწარი პირობების მოსამზადებლად, — გვასწავლის დიდი სტალინი, — საჭიროა, მესამე „მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ შრომის არსებული დანაწილების გამო, მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია“ [1].

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 393

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 74.

სსრ კავშირის უდიდესი, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მიღწევები ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში, მოკავშირე რესპუბლიკების სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული აყვავების საქმეში, საბჭოთა ხალხებს შორის სტალინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში — ლენინ-სტალინის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას მოასწავებს. ეს პოლიტიკა, რომელსაც პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებს, საბჭოთა ხალხს მიიყვანს კომუნიზმის გამარჯვებამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ჯუმბურიძე

სალიტერატურო ენის ზოგიერთი საკითხი ი. სტალინის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“

★

ი. სტალინის გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც პარტიის XIX ყრილობის წინა დღეებში გამოქვეყნდა, შემოქმედებითი მარქსიზმის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. ამ ნაშრომში ი. სტალინმა აღმოაჩინა სოციალიზმისა და თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები.

თანამედროვე კაპიტალისტური სისტემის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ი. სტალინმა გააშუქა ერთიანი მსოფლიო ბაზრის დაშლის მიზეზები და შედეგები, დაასაბუთა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისის შემდგომი გამწვავების და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობა.

ი. სტალინმა თავის ნაშრომში მოგვცა კომუნიზმის მშენებლობის ნათელი პროგრამა, განსაზღვრა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის ძირითადი პირობები, დასახა საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე საკოლმეურნეო საკუთრების ამაღლების გზები, გააშუქა სოფელსა და ქალაქს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებათა და არსებით წინააღმდეგობათა ლიკვიდაციის საკითხი.

„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის უმაღლეს ეტაპს. მისი მნიშვნელობა განუზომელია საერთოდ მეცნიერების ყველა დარგისათვის. კერძოდ, ამ ნაშრომის დებულებები ნათელს ჰფენენ ენათმეცნიერების ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხსაც.

*
* *

ენათმეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოძღვრებას მეცნიერების კანონთა ობიექტური ხასიათის შესახებ, რაც ბრწყინვალედაა დასაბუთებული ი. სტალინის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ მეცნიერების კანონები, რომლებიც ასახავენ ბუნებასა თუ საზოგადოებაში ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტურ პროცესებს, და ის კანონები, რომლებსაც გამოსცემენ ხოლმე მთავრობები, რომლებიც იქმნება ადამიანთა ნებით და რომლებსაც მხოლოდ იურიდიული ძალა აქვთ. „მარქსიზმს მეცნიერების კანონები ესმის, — სულ ერთია ეხება საქმე ბუნებისმეცნიერების კანონებს თუ პოლიტიკური ეკონომიის კანონებს, — როგორც ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესების ასახვა. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი

თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ისინი. მით უფრო არ შეუძლიათ მათ ჩამოაყალიბონ ან შექმნან მეცნიერების ახალი კანონები“ [1].

დიდი ბელადის ეს სიტყვები უშუალოდ ეხება ენის განვითარების შინაგან კანონებსაც.

თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ი. სტალინი აღნიშნავს, რომ ენა ვითარდება მისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით.

სავსებით ნათელია, რომ ენის განვითარების ეს შინაგანი კანონები ობიექტური ხასიათისანი არიან. ენა საზოგადოებრივი მოვლენაა და ადამიანებს არ შეუძლიათ შეცვალონ მისი განვითარების კანონები.

მაგრამ ადამიანებს, როგორც ი. სტალინი აღნიშნავს, შეუძლიათ აღმოაჩინონ მეცნიერების კანონები, შეიცნონ ისინი. ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლა წარმოადგენს სწორედ ენათმეცნიერების მთავარ ამოცანას. ამ კანონების აღმოჩენითა და შესწავლით ენათმეცნიერება ხელს შეუწყობს კერძოდ სალიტერატურო ენის განვითარებას, რაც ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ არის მიჩნეული.

ცნობილია, რომ არსებობს სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიები. ამგვარი კომისიების მუშაობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ნაყოფიერი, თუ იგი ენის განვითარების შინაგან კანონებს დაემყარება და ამ კანონთა შესაბამისად წარმართავს სალიტერატურო ენის ნორმებს. უამისოდ ეს „ნორმები“ დაბრკოლებად იქცევიან სალიტერატურო ენის განვითარების გზაზე, გამოიწვევენ მის მოწყვეტას ცოცხალი ენისაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტურად მცდარია მოსაზრება, თითქოს წერით მეტყველებას საკუთარი, ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებული, განვითარების შინაგანი კანონები გააჩნდეს. ამგვარი მოსაზრების დაცვას ცდილობს დოც. ი. მეგრელიძე, რომელიც წერს:

„წერითსა და ზეპირ მეტყველებას, საერთოს გარდა, აქვთ თავიანთი სპეციფიკური მხარეებიც, რომელთაც საკუთარი განვითარების შინაგანი კანონები განსაზღვრავენ“ („შენიშვნები სასცენო მეტყველებაზე“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 12.XII. 1952 წ.).

წერით მეტყველებას არავითარი საკუთარი განვითარების შინაგანი კანონი არ გააჩნია და ამგვარ „კანონს“ ვერავინ დაასახელებს. ორთოგრაფიის წესები არასგზით არ შეიძლება გავათანაბროთ ენის განვითარების შინაგან კანონებთან, რადგან არ შეიძლება, ი. სტალინის მითითების თანახმად, ერთმანეთში ავურიოთ მეცნიერების კანონები და ის კანონები რომლებიც იქმნება ადამიანთა ნებით და რომლებსაც მხოლოდ იურიდიული ძალა აქვთ.

*

* *

ი. სტალინის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გვხვდება აგრეთვე ისეთი დებულებები, რომლებიც ნაწარმოების სტილს შეეხება. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სტილის საკითხები საერთოდ ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი და სტილისტიკა ენათმეცნიერების ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ი. სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აზრის სიზუსტესა

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ., გვ. 4.

და სიცხადეს. ამ მიზნით იგი თავის ნაშრომში არაერთხელ მიუთითებს ცნებების, ფორმულირებების, ცალკეული გამოთქმების დაზუსტების აუცილებლობაზე.

მაგალითად, ეხება რა მარქსის „კაპიტალიდან“ აღებულ ისეთ ცნებებს, როგორიცაა „აუცილებელი“ და „ზედმეტი“ შრომა, „აუცილებელი“ და „ზედმეტი“ პროდუქტი, „აუცილებელი“ და „ზედმეტი“ დრო, ი. სტალინი აღნიშნავს, რომ ეს ცნებები მარქსმა კაპიტალიზმის ანალიზისათვის იხმარა და ისინი სავსებით შეესაბამებიან კაპიტალისტურ ურთიერთობებს. მაგრამ უაზრობაა ვიხმაროთ ეს ცნებები სოციალისტურ ურთიერთობათა დასახასიათებლად, როცა მუშათა კლასს ხელთ უპყრია ძალა-უფლება და ფლობს წარმოების საშუალებებს. ჩვენი წყობილებისათვის შეუფერებელია და საკმაოდ უაზროდ გაისმის სიტყვები სამუშაო ძალაზე როგორც საქონელზე, მუშების „დაქირავებაზე“, ან „აუცილებელ“ და „ზედმეტ“ შრომაზე. ამ სიტყვების მიხედვით გამოდის, თითქოს მუშათა კლასი, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგას და წარმოების საშუალებებს ფლობს, თვითონვე ექირავება თავის თავს, ან თითქოს მშრომელი საზოგადოების განათლების, ჯანმრთელობის, თავდაცვის განმტკიცებისათვის დახარჯული შრომა ზედმეტ შრომას წარმოადგენს.

„ვფიქრობ, რომ ჩვენმა ეკონომისტებმა ბოლო უნდა მოუღონ ამ შეუსაბამობას ძველ ცნებებსა და ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში შექმნილ ახალ მდგომარეობას შორის და შეცვალონ ძველი ცნებები ახალი მდგომარეობის შესაბამისი ახალი ცნებებით.“ [1] ასკვნის ამხანაგი სტალინი.

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ. გვ. 20 — 21.

აზრის გარკვეულობისა და სიცხადის მიზნით ი. სტალინი არაერთხელ მიუთითებს ზოგიერთი ფორმულირების დაზუსტების, ხოლო ზოგიერთის უკუგდების საჭიროებაზე. მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ სიზუსტის ინტერესებისათვის მოგვიხდება ხელი ავიღოთ ეკონომიკური კანონების გარდაქმნის ფორმულაზე, რომელიც ეკონომიკური კანონების შექმნის მცდარი ფორმულის გადმონაშთს წარმოადგენსო. [1]

ეხება რა თავის ცნობილ ფორმულირებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების მოსპობის შესახებ, ი. სტალინი საჭიროდ თვლის აღნიშნოს, რომ ეს ფორმულირება არაზუსტი, არადამაკმაყოფილებელი იყო, რადგან მასში არ ჩანდა, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ არსებით განსხვავებათა მოსპობას. [2] ასეთივე შენიშვნა აქვს გაკეთებული ენგელსის ერთ-ერთ ფორმულასაც, საიდანაც არ ჩანს — საზოგადოების მიერ წარმოების ყველა საშუალების დაუფლებას ეხება საქმე, თუ წარმოების საშუალებათა მხოლოდ ნაწილის დაუფლებას [3].

ი. სტალინი სპეციალურ ყურადღებას აქცევს ცალკეული დებულებებისა და გამოთქმების სიზუსტეს პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს პროექტში. მაგალითად, პროექტში ნათქვამი ყოფილა: „თვითეულ საკოლმეურნეო კომლს პირად სარგებლობაში ჰყავს ძროხა, წვრილფეხა პირუტყვი და ფრინველი“. სინამდვილეში კი ძროხა, ფრინველი და სხვანი საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში კი არაა. არამედ მისი პირადი საკუთრებაა.

ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო განსხვავებაა, პატარა დეტალია. მაგრამ ბელადი ამას სპეციალური შე-

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ. გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 32.

[3] იქვე, გვ. 12.

ნიშვნის ღირსად სთვლის და მოითხოვს, რომ სახელმძღვანელოში დაცული იყოს სიზუსტე, ისიც კი დაწვრილებით ითქვას, თუ რამდენი ძროხა, ცხვარი, თხა და ა. შ. შეადგენს კოლმეურნის პირად საკუთრებას.

სახელმწიფო აპარატთან მონოპოლიების შეზრდის საკითხზე ი. სტალინი შენიშნავს: „გამოთქმა „შეზრდა“ შეუფერებელია. ეს გამოთქმა ზერელედ და აღწერილობით აღნიშნავს მონოპოლიებისა და სახელმწიფოს დაახლოებას, მაგრამ არ ააშკარავებს ამ დაახლოების ეკონომიკურ აზრს. საქმე ის არის, რომ ამ დაახლოების პროცესში ხდება არა მხოლოდ შეზრდა, არამედ სახელმწიფო აპარატის დაქვემდებარება მონოპოლიებისადმი. ამიტომ საჭიროა ამოვაგდოთ სიტყვა „შეზრდა“ და შევცვალოთ იგი სიტყვებით „სახელმწიფო აპარატის დაქვემდებარება მონოპოლიებისადმი“ [1].

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე მომდევნო შენიშვნაც: „სახელმძღვანელოს პროექტში ნათქვამია, რომ „სსრ კავშირში მანქანები გამოიყენება ყველა შემთხვევაში, როდესაც ისინი საზოგადოებას უზოგავენ შრომას“. ეს სრულიადაც არა არის ის, რაც უნდა თქმულიყო. ჯერ ერთი, მანქანები სსრ კავშირში საზოგადოებას ყოველთვის უზოგავენ შრომას, რის გამოც ჩვენ არ ვიცით შემთხვევები, როდესაც ისინი სსრ კავშირის პირობებში საზოგადოებას არ უზოგავენ შრომას. მეორეც, მანქანები არათუ ზოგავენ შრომას, არამედ ამასთან ერთად ააღვილებენ მუშაკების შრომას, რის გამოც ჩვენს პირობებში, კაპიტალიზმის პირობებისაგან განსხვავებით, მუშები დიდი ხალისით იყენებენ მანქანებს შრომის პროცესში“ [1].

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ., გვ. 47.

[2] იქვე, გვ. 47.

დიდი ბელადის ეს შენიშვნები წარმოადგენს დებულებათა სიზუსტისა და სიცხადისათვის ბრძოლის კლასიკურ ნიმუშს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამხანაგი სტალინი პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს გაუმჯობესებისათვის საჭიროდ მიიჩნევს კომისიის გამოყოფას, რომელშიც სხვებთან ერთად უნდა შევიდესო „გამოცდილი იურისტი ფორმულირებათა სიზუსტის შესამოწმებლად“.

ი. სტალინს სახელმძღვანელოს გაუმჯობესებისათვის საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე „სარედაქციო კომისიის დანიშვნა, ვთქვათ, სამი კაცის შეამადგენლობით, სახელმძღვანელოს საბოლოო რედაქციისათვის. ეს აუცილებელია აგრეთვე იმისათვის, რომ მივაღწიოთ სტილის ერთიანობას, რაც, სამწუხაროდ, სახელმძღვანელოს პროექტში არ არის“ [1].

ამრიგად, სტილის ერთიანობა ყოველი ნაშრომისადმი სავალდებულო მოთხოვნაა. დიდი ბელადის ამ შენიშვნიდან ნათელია, თუ რაოდენ ყურადღებას აქცევდა იგი სტილის ერთიანობას, მთლიანობას. ი. სტალინის ეს შენიშვნა უნდა გაითვალისწინოს და სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადოს ყოველმა ავტორმა, განსაკუთრებით კოლექტიური ნაშრომის წერის პროცესში.

ამრიგად, სტილის სიცხადე, სისადავე და ერთიანობა — ესაა ძირითადი მოთხოვნები ამა თუ იმ ნაწარმოების ენისადმი, რასაც აყენებს ი. სტალინი თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ეს მოთხოვნები უეჭველად უნდა გაითვალისწინოს თავის მუშაობაში ყოველმა მწერალმა, მეცნიერმა, ლიტერატორმა.

[1] იქვე, გვ. 51.

Библиотека

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია,

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IV-53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა $7^3/_4$.
УЕ 00696. შეკვ. № 110. ტირაჟი 5250.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. 3-23-42.

შინაარსი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან . . . 3
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან . . . 6
იოსეფ ბესარიონის ძე სტალინის დაკრძალვა . . . 8
ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა . . . 8
ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვა . . . 12
ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა . . . 15
უკანასკნელი გზა . . . 18
ახალი გამარჯვებებისაკენ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის ბრძოლაში — „პრავდის“ 11/III მოწინავე . . . 21
ირაკლი აბაშიძე — მე გორისაკენ მივქროდი სწრაფად, ლექსი . . . 26
ალიო ადამია — ბელადისადმი, ორი ლექსი . . . 28
ა. ბელიაშვილი — დიადი სიცოცხლე, წერილი . . . 29
ხუტა ბერულავა — გორი ლაპარაკობს, ლექსი . . . 31
იოსანეს ბეხერი — უკვდავს, ლექსი. თარგმანი ვახტანგ ბეწუკელისა . . . 32
კალე ბოგოხიძე — მსოფლიო გლოვობს მშობლიურ სტალინს, ლექსი . . . 34
ვიქტორ გაბესკირია — ბელადის გარდაცვალების დღეს, ლექსი . . . 35
კონსტანტინე გამსახურდია — უკვდავი სტალინი, წერილი . . . 36
ვახტანგ გორგანელი — დიდება სტალინს, ლექსი . . . 39
ვასო გორგაძე — მის ნათელ ხსოვნას, ლექსი . . . 40
ხარიტონ ვარდოშვილი — მზეკაცის სახსოვარი, ლექსი . . . 41
ელიზბარ ზედგინიძე — გორი მწუხარების დღეებში, ნარკვევი . . . 43
სიმონ თავაძე — დედის ხმა, ლექსი . . . 45
გრიგოლ იმედაძე — აწ მზეს დაერქვას შენი სახელი, ლექსი . . . 46
მიხეილ ისაკოვსკი — ჩვენ შევასრულებთ სტალინის ანდერძს, ლექსი. თარგმანი ირ. აბაშიძისა . . . 47
სერგო კლდიაშვილი — უკვდავი, წერილი . . . 49
კარლოს აუგუსტო ლეონი — ის არ მომკვდარა, არა! ლექსი თარგმანი ვასილ ლაფერაშვილისა . . . 50
ზურაბ ლორთქიფანიძე — ბელადისადმი, ლექსი . . . 52
მუხრან მაჭავარიანი — მსოფლიოს ცრემლი, ლექსი . . . 53
მიხეილ მრევლიშვილი — გლოვა რუსთავში, ნარკვევი . . . 55
ვარლამ ძურული — სტალინის უკვდავება, ლექსი . . . 60
გიორგი სამხარა — [illegible] ძარად ცოცხალი სიბრძნე, ლექსი . . . 61
სე[illegible]ან ირი — კორ[illegible] სიტყვა, ლექსი. თარგმანი შალვა ფორჩხიძისა . . . 62
კონსტანტინე სი[illegible]ვი — როგორც თქვენ გვასწავლიდით, ლექსი. თარგმანი ოთარ ჭელიძე . . . 64
არჩილ სულაკაური — ის ცოცხალია, ლექსი . . . 65
ს. ფაშალიშვილი — შენს უკვდავ სახელს, ლექსი . . . 66
შალვა ფორჩხიძე — შენ უკვდავი ხარ, ლექსი . . . 67
ლეო ქიაჩელი — ისტორიის ნამდვილი გმირი, წერ[illegible] . . . 69
ალექსანდრე ჟუთათელი — ის არ მომკვდარა, [illegible] . . . 71
გიორგი შატბერაშვილი — ის უკვდავია, ლექს[illegible] . . . 73
ალეკო შენგელია — გორში, ლექსი . . . 75
ვერა შუბლაძე — სტალინის გარდაცვალებაზე, ლექსი . . . 76
გრიგოლ ჩიქოვანი — სტალინი ჩვენთანაა, ნარკვევი . . . 77
მარიჯა ჩხარტიშვილი — ყველაზე ძვირფასს, ყველაზე საყვარელს, ლექსი . . . 84
გრიგოლ ცეცხლაძე — გლოვის ზარი, ლექსი . . . 85
კონსტანტინე ჭიჭინაძე — სტალინი, ლექსი . . . 86
ილია ხოშტარია — წავიდა ჩვენგან, ლექსი . . . 87
ნაზიმ ჰიქმეთი — ვიგონებ, ლექსი, თარგმანი გიორგი ხუხაშვილისა . . . 88
ვალ. აბულაძე — სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, წერილი . . . 91
დ. ჩხიკვიშვილი — ი. სტალინის მოძღვრება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შესახებ . . . 107
ზურაბ ჭუმბურიძე — სოციალისტური ენის ზოგიერთი საკითხი, წერილი . . . 120

ფასი 8 მ.

4 XII 12
РУСТАВЕЛИ 29
ГРУЗ. ФИЛИАЛ И.М.Е.Л
1 2

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ